


1970



ՄԱՐԿՆԵՐԻ ՆԵՆԵՐԻ



2

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მოამბე

№ 2 (54)

მარტი—აპრილი

11.358



შ ი ნ ა ბ რ ს ი

თეატრალური ლენინიანა

აღ. კოპლავაშვილი — რევოლუციის აღმავლობის წლებში 5

დომ. ჯანელიძე — თეატრმოდერნიზაციის ჩანაწერებიდან 9

რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ნ. ქიქოძე — აღმნიშნული იხადება ერთხელ 11

ქ. ხუციშვილი — თეატრის გამარჯვება 13

ნ. გაბრიელიძე — მე მინდა კნენინა გავხედე 15

ვ. კასრაძე — ცხინვალის ქართული თეატრის ისტორიისათვის 16

ჩვენი იუბილარები

აკაკი ხორავა 75 წლისა , 19

ს. ნაციაშვილი — მხატვარი და პედაგოგი 20

ა. გაჩეჩილაძე — კომპოზიტორი — პიანისტი 21

ღვაწლმოსილთა გახსენება

დ. შულღიაშვილი — ნიკო შიუკაშვილი 23

დ. ჩხეიძე — ელენე დონაური 26

ლ. მარტაშვილი — დიმიტრი მაჩხანელი და თეატრი 27

ვ. სიხარულიძე — პატარა ქალაქის სცენაზე 29

სახალხო თეატრებში

ფ. ხორავა — მსხვერპლი , 33

თ. გომართელი — სტუდენტთა საესტრადო ორკესტრი 34

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

ნ. კვეციანი — გიორგი იოსელიანი 36

ამბ. გაჩეჩილაძე — ისაყ ტორი 37

ი. გოგოლეცკი — ქუთაისიდან ვარშავამდე 39

საიუბილეო საღამო , 41

ქ რ ო ნ ი კ ა 42

თეატრალური წიგნის თარი

გ. ჯიშვილი — მიხეილ ქორელის მოგონებები და წერილები 43

ა. დავითიანი — თვალის ერთი გადავლებით 44

თეატრალური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია 45

რედაქტორი — მარია ქარელიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი — გუგუა ბათიაშვილი

საკრედიტო კოლეჯი: დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ვეგაძე,
ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე,
ბ. ჟღენტო, ნ. შვანგირაძე, გ. ციცი-
შვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.



ვ. ი. ლენინი — კ. მიუფკე
გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრის სპექტაკლი — „მრისხანე წელი“.

ვიტყვი — ლენინი,
პარტია გვყავს
წარმოდგენილი;

ვიტყვი — პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

სკკ ცენტრალური კომიტეტის
საპირველმაისო მოწოდებებიდან

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მალლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობის დროშა, მთელი ძალები და უნარი მოახმარეთ კომუნიზმის მშენებელთა აღზრდას!

სკკ ცენტრალური კომიტეტის
საპირველმაისო მოწოდებებიდან

* *

ჩვენი თაობის გამბედაობას
სხვა მოძრაობის ედვა მოტორი,
ეჰე! რა და რა ქარში გვატარა
დიდი, პატარა, ტოლი და სწორი!

გგონია იქნებ გზას გავიგნებდით,
გზას გავიგნებდა წყვილიაღმი თვალი,
ბრძენი ლენინი კლდეთ რომ არ ჩანდეს,
შეურყეველი, მაგარი, სალი!

გალაპტიონ ტაბიძე

* *

ის მარად ცოცხლობს. მას ჩვენი ხალხი
ჭირში თუ ლხინში მუდამ იგონებს!
ის მარად ცოცხლობს. აქ არის ახლაც
და მიკარანხებს ლექსის სტრიქონებს.

ის ყველგან არის—დნებრზე, ვოლგაზე,
ყარაყუმისკენ გასცქერის სივრცეს.
დუმბილი მოსავეს... მაგრამ პარტია
ლენინის დროშით მიგვიძღვის მტკიცედ.

იოსებ გრიშაშვილი



ვ. ი. ლენინი — აკაკი ვასაძე.
რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი
„ნაპერწყლიდან“



ვ. ი. ლენინი — შ. გომელაური.
მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი
„ნაპერწყლიდან“



ვალოდია ულიანოვი — კ. მახარაძე
რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი
„ოჯახი“

ჩვეულებრივი აღმავლობის წლებში აღმასანდრე კოხლავაშვილი

ამოცე საუკუნის დამდეგით იწყება პოლიტიკურ სფეროში ქართული თეატრის მონაწილეობის ისტორიის ახალი მნიშვნელოვანი პერიოდი, რაც მზარდმა მუშათა მოძრაობამ განაპირობა. მიმდინარე საუკუნის გარეგანზე უფრო მეტად გამწვავდა შრომასა და კაპიტალს შორის მამფერი შეურიგებელი წინააღმდეგობანი, მუშათა ეკონომიკური მოთხოვნები პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზარდა და ბრძოლამ აშკარა რევოლუციური ხასიათი მიიღო დემოკრატიული თავისუფლების მოპოვებისა და თვითმპყრობელობის დამხობისათვის. გროველ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას შეერწყა, რადგან მხოლოდ მუშათა კლასის რევოლუციურ გამარჯვებას შეეძლო მისი იდელების პრაქტიკულად გადაჭრა.

მუშათა კლასის რევოლუციურმა აღმავლობამ, დემოკრატიის ინტერესებისათვის აქტიურმა ბრძოლამ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია ამ კლასთან ახლო მდგომი სოციალური ფენები. რევოლუციური ბრძოლის ზრდას კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა აგრეთვე ინტელიგენციამ, უჩინარეს ყოვლისა მის პროგრესულ, დემოკრატიულ ნაწილზე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა რადიკალური გარდატეხა აღნიშნულ პერიოდში ერთბაშად მკაფიოდ შეიმჩნევა აგრეთვე ქართული თეატრის მოღვაწეთა შორის. ქართული თეატრის მოღვაწენ არა მარტო სცენაზე მოწოდებულ მგზნებარე სიტყვით ალაგზნებდნენ და ცარილს წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მაყებს, არამედ ფულად დახმარებასაც კი უწყვეტდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებსა და მუშებს. პარტიული ორგანიზაციები კარგად ითვალისწინებდნენ თეატრის მნიშვნელობას მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის ზრდის საქმეში და შეუხედულებლად მუშაობას ეწეოდნენ სცენის მოღვაწეთა იდეური აღზრდის, რევოლუციურ მოძრაობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის.

ამ მუშაობას უქმდა არ ჩაუვლია, რასაც მკაფიოდ დასტურებს ჩვემთ დამოწმებული რამდენიმე ზოგადი მათემატიკური მაგალითი.

1900 წლის აგვისტოს რევოლუციური ს. დ. პარტიის ხელმძღვანელობით მოეწყო თბილისის რკინიგზის მთავარი სახელმწიფოს მუშათა პირველი პოლიტიკური გაფიცვა, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებშიც. მას გამოეხმაურა აგრეთვე ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, მათ შორის ქართული თეატრის მოღვაწენი. ამ მხრივ სანტერესითა ის გარემოება, რომ ქანდარმერიამ სწორედ რკინიგზელთა გაფიცვის

დღეებში ფართული მეთვალყურეობა განახალა ეროვნული თეატრის ცნობილი მოღვაწის კოტე მესხის მიმართ, რომელიც ჭერ კიდეც 90-იან წლებში იმყოფებოდა ასეთივე მეთვალყურეობის რკაში. გაფიცვის შემდეგ ქანდარმერიის აგენტები ხანგრძლივად, ფხვდაფხვ არრდილევით დასდეგდნენ მთავარი სახელოსნოს მუშას, იმ დროს უკვე ცნობილ მსახიობს ნიკო გოცირაიეს, აგუთვე ქართული სცენის თვალსაჩინო მოღვაწეს კოტე ანდრონიკაიელს და სხვებს.

მეფის მთავრობამ გაფიცვაში მონაწილე ბევრი მუშა დააპატიმრა, ზოგი გააიციმბირა. ამასთან დაკავშირებით, პარტიის მიითთებით, მუშებმა შექმნეს ე. წ. "ფართული სალაროები", რომელთა დახიზნულებას შეადგენდა დაპატიმრებულთა ოჯახების დახმარება, არალეკალურ სტამბათა მოწყობისათვის სახსრების დაგროვება. აღნიშნულ სალაროებს დახმარებას უწყვეტდნენ ქართველი მსახიობებიც, რომლებიც სპეციალურ წარმოდგენებს მართავდნენ და მთელ შემოსავალს "ფართული სალაროებს" აძლევდნენ.

მუშათა პოლიტიკურმა გამოსვლებმა 1901 წელს უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამ მოვლენისადმი გულგრილნი არ დარჩენილან ქართველი მსახიობებიც. მოწინავე ქართველი მსახიობები ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში სისტემატურად მართავდნენ წარმოდგენებს, საგანგებოდ არჩევდნენ პიესებს, რათა აოლიტიკურად გამოეფხვზებინათ მშრომელი მსახიობები. მსახიობთა ეს საქმიანობა შეუწყვეტელად არ დარჩენილა ქანდარმერიისათვის. ამიტომ ხელსუფლებამ მკაცრი კონტროლი დააწესა თეატრის მუშაობისადმი. იგი კრამალავა არამარტო ზოგიერთი ახალი პიესის, არამედ ადრე ნებადართული პიესის დადგმასაც კი, ხოლო ზოგჯერ წყვეტდა ამა თუ იმ წარმოდგენას.

მიუხედავად ასეთი ტერორისა, ქართველი მსახიობები არ ცხრებოდნენ და მუშათა კლასთან ერთად უფრო მეტი ენერგიით იბრძოდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ. ასე, 1901 წელს ფართოდ გაიშალა მხადგმა საპროლეტარიალი დემონსტრაციისათვის, რაშიც ქართველი მსახიობებიც მონაწილეობდნენ. პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა აგიტაცია და პროპაგანდა, გამოსცა ლიტერატურა და ფურცლები. ამომარავდა ქანდარმერიაც, რომელმაც გააფართოვა აგენტ-პროვოკატორთა ქსელი. ფხვზე დადგა ჭარიც. ყოველივე ამას პირდაპირ ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული შავრამბელი, მთავარმართებელი გრაფი გოლოცინი (სხვათაშორის, ეს ის გოლოცინია, რომელსაც სურამ გაცნობობდა ილია ჭავჭავაძეს და ამ მიზნით შუამავალიც მიაგზავნა, მაგრამ ილიამ კატეგორიულად უარყო თხოვნის დაკმაყოფილება, რადგან



გრაფს ქართველი ხალხის სისხლით ჰქონდა შევსებული ხელები. გოლიკინის გარდაცვალებას შემდეგ, როდესაც ერთ-ერთმა რუსულმა გავანთმა მტკარამ სიტყურ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო სამჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვა გოლიკინის სხონის აღსანიშნავად, ილიამ ეს შეურაცხყოფად მიიჩნა, გახუთების საშუალებით სასტიკი პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია მსგავსი რამ).

მეფის ხელისუფლება იერიში ქართულ თეატრზე მიიტანა და ტლანქად ახშობდა მის მუშაობას, 1901 წლის 16 ივლისს თბილისის ქანდარმერხის პოლიციის დეპარტამენტისათვის უცნობებია: „14 ივლისს, სამმართველოს სააგენტურო განყოფილების გამგებ მომახსენა, რომ ამ დღეს, საღამოთი, პლენარევის ქუჩაზე, პუშკინის ბაღში (ახლა გორკის სახელობის კუბები — ვ. კ.) დანიშნული ქართული წარმოდგენა მოწყობილი ყოფილა სოციალ-დემოკრატების ინიციატივით იმ მიზნით, რათა შემოსავალი გამოიყენებინათ პოლიტიკურ პარტიოთა სასარგებლოდ, და რომ ამ წარმოდგენაზე უმთავრესად დემოკრატების რიგებიდან მუშებისა და ხელოსნების მიხედვით ხელი შეუწყობს მათ გაეროინებას. ამიტომ ბილუთები იყიდება არა სალაროდან, არამედ სავანებოდ გამოყრდილ კერძო პირთა საშუალებით. ამის შესახებ ვაცნობ თბილისის პოლიციისტერს და გამოვთქვი სურვილი, რათა აღნიშნული წარმოდგენა არ შემდგარიყო. პოლიციისტერმა ბრძანება გასცა წარმოდგენის მოხსნაზე და ერთდროულად პუშკინის ბაღთან დანიშნა პოლიციელთა გადრიკებულნი რაზმი. წარმოდგენის ოფიციალურმა მომწიბმმა, ქართველმა მსახიობმა სვიონიძემ (იგულისხმება ქართული თეატრის ძველი მოღვაწე სვიონიძე ჩიტინიძე (1863—1920) — სვიონი პავლეს ძე გოგოლაშვილი), როდესაც მას გამოუცხადეს წარმოდგენის მოხსნის შესახებ, პოლიციისტერთან თვით გამოთქვა იმის იქვე, რომ წარმოდგენის მოხსნა, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ ბილუთები ხელზე იყიდება და ყალბი ხმა ვაერცყვლა თითქმის ბილუთები მუშებს შორის საღებდათ. 8 საათისათვის პოლიციისტერი თვით მივიდა პუშკინის ბაღში, სადაც მუშები საერთოდ არასოდეს არ დაიარებოდნენ. ბაღში მას დახვდა ოცამდე კაცი — ხელოსნები, ალბათ, იმერლები. მათ ხელთ ჰქონდათ ბაღში შესასვლელი ბილუთები, თუმცა, როგორც შეიმოწმებინათ გამოირკვა, სალაროდან ჯერ არც ერთი ბილუთი არ იყო გაყიდული. პოლიციისტერმა გამოუცხადა, რომ წარმოდგენა არ შესაღებებდა და ახლავე შეუღლებოდნენ ფარნების ჩაქრობას. მაშინ ხელოსნები ვაეიდნენ ბაღდან... გრძელდებოდა ბალანდ ჯოხბიანი ლურჯხალათა მუშების პატარა ჯგუფების მოსვლა. პოლიციისტერმა წინადადება მისცა დაშლილიყვნენ, რასაც უმრავლესობა დაემორჩილა. ზოგნი ეს კვლავ ბაღის მახლობლად მილი-მილიოდნენ, ხან შორიახლოს ჩერდებოდნენ, ზოგჯერ ისევე შესავალს უახლოვდებოდნენ, თითქმის რალაკის მოლოდინში... საღამოს 10 საათისათვის ბაღში მოსვლა დაიწყეს მისმა მუდმივმა დამსწრეებმა და კუბებმა თავისი ჩვეულებრივი იერი მიიღო“.

ჩვენ დავინტერესდით ამ ფაქტის ირავლივ დამატებითი ცნობების შეკრეფით და, რადგან

საარქივო საქმეებში საამისო საბუთები არაა მოგვეპოვა, ვესაუბრეთ ქართული სცენის ძველ მოღვაწეს, აწ განსვენებულ გიორგი ჯაბატურს. აღმოჩნდა, რომ იგი აღნიშნული საღამოს მონაწილე ყოფილა და დაწვრილებით ავეიწერა საღამოს ყველი დეტალი. ვაღმოგვატა, რომ უნდა გვეჩვენებინათ პიესა „და-მა-მა“ და საღამოდან მიღებული შემოსავალი, ორგანიზაციის დაეკრებოდა, ვადაეცათ „ფარული სალაროების“ ფონდისათვის. ამასთან ერთად ვ. ჯაბატურს ვკვინობა: „საქმე კარვად მიიღოდა, მაგრამ იმ სჯულძალმა კოპალეიშვილმა გასცა“. ეს უკანასკნელი ყოფილა სახალხო თეატრის გამგებობის წევრი, პოლიტიკურად მეყვევი პიროვნება.

ხელისუფლებას ემინიდა, და არა უსაფუქველოდ, ყოველგვარი სახალხო წამოწყების, კერძოდ ამა თუ იმ მოღვაწის იტილები გამართვის. საარქივო საქმეებიდან ირეკევა, რომ 1902 წელს ქართველი საზოგადოებრიობა ემსახურებოდა ვასო აბაშიძის იუბილეობით. ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარეს ნიკ. ქართველიშვილს თბილისის გუბერნატორისათვის უთხოვია სათანადო ნებართვა, მაგრამ ეს ამბავი დამთხვა ახალ რევოლუციურ გამოსვლებს, რომელსაც გულგრილად არ შეხედვდნენ ქართველი მსახიობები და ამიტომ გუბერნატორმა უნებართვოვან თავი შეიკვია და იუბილეს პროგრამა მოითხოვა, რათა საქმე გაეჭიანურებინა. პროგრამა მყისვე წარუღვდინეს, მაგრამ ნებართვის მიღებას მაინც რამდენიმე თვე დასჭირდა. ნებართვის მიცემისთანავე პოლიციამ გააძლიერა ყურადღება იუბილეს მზადებისადმი. ამის შედეგად გუბერნატორს პოლიციისტერი აცნობებდა: „ვეიროს, 10 მარტს, დილით ქართულ სათაუდაზნაურო თეატრში, ქართული თეატრის მსახიობს, ვასილ ალექსის ძე აბაშიძის არტისტული მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, იუბილარის საპრეცივემულოდ გათვალისწინებულა პიესის დაგება. მაშინდე იუბილარს წუთიოხსვენე აღრეგნეს, მისაღმებდა, დეკემბეს. რა-ვა-ნა... მისი თაყვანისმცემელთა მიერ უთოუდ წარმოითქმება იუბილარისადმი სიტყვები, რომლებშიც შეუძლიანთ შევხონ ეროვნული სასათისის საკითხებსაც... მაქვს პატივი ვთხოვო, ხომ არ მიიხვედით საქიროდ აღნიშნულ ზეიმზე ჩინოვნიკის დასწრებას. ჩემის მხრივ დე-ვა-ველ უბნის ბოქმულს, რათა ზეიმის განმავლობაში თეატრში იმყოფებოდეს განწესება.“

გუბერნატორმა, ცხადია, ეს თათსონობა მოიწონა და ჩინოვნიკი დანიშნა.

საარქივო მასალებით ირეკევა, რომ ქანდარმერხა თავისი ავეტების საშუალებით შეუწელებლად თვალყურს ადევნებდა ე. წ. „აქვალის აღდებობას“, რომელიც თავისი როგორც მსახიობთა, ისე მავურებელთა შემადგენლობით ნამდვილ მუშათა თეატრს წარმოადგენდა. აქ სისტემატურად ეწყობოდა რევოლუციონერთა ფარული კრებები, აქ ხვდებოდნენ ერთი-მეორეს რევოლუციონერები, ამავე თეატრის შენობაში ინახვდნენ ისინი იარაღს, ლიტერატურას, პროკლამაციებს. „აქვალის აღდებობა“ არსებითად წარმოადგენდა რევოლუციური პროპაგანდის ქარას, მუშათა პოლიტიკური გათოთცნობიერების საშქედლის. და თუ ქანდარმერხის მიერ მისკულმა ავეტებმა მაინც ვერაფერი გააწყვეს, ამაში დიდი წყლილი მიუღობდათ ამ თეატრის მსახიობებს, მოელ პერსონალს, რო-



ო. ბ. სკალონი — ვ. ბრაგინი,

ა. გრიბოედოვის სახ. თეატრის

ვ. ი. ლენინი — კ. მიუფეკ

სპექტაკლი „თოფიანი კაცია“

მელნიც თავგანწირვით იცავდნენ რევოლუციის დიად საქმეს.

ამ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიიღო წარმოდგენების დროს პროკლამაციების გავრცელებამ. პროკლამაციები იყრებოდა ჩაბნელებულ დარბაზში, მას ფანტავდნენ თეატრის ქანდარებიდან და მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ყოველთვის იმყოფებოდნენ პოლიციელები და მათი აგენტები, მათ გამავრცელებლეს ვერ იჭერდნენ, რადგან ხალხი თანაგრძნობით ზღვებოდა მათ გაბედულ მოქმედებას, ხოლო ზოგჯერ თვით დასი უწყობდა ხელს. პროკლამაციების ასეთი წესით გავრცელების ერთერთი შემთხვევის შესახებ თბილისის პოლიცემისტერი 1903 წლის 14 თებერვალს გუბერნატორს შემდეგ აცნობებდა: „გუშინ, 13 თებერვალს, ქართულ სათავადაზნაურო თეატრში, პირველი მოქმედების შემდეგ, როდესაც დამსწრი საზოგადოება ბენეფიციანტ გუნისას მილოცვის ბარათებს ესროდა, ქანდარებიდან ამ ბარათებთან ერთად დარბაზში ცვივოდა თეთრ და წითელ ქაღალდზე დაბეჭდილი პროკლამაციები. ერთი მათგანი აიღო თეატრში მორიგედ მყოფმა მეექვსე უბნის ბოქალის ჩინოვნიკმა მორგავესკიმ. ბოქალის თანამემწე მორგავესკიმ, შენიშნა რა ქანდარებიდან პროკლამაციების გადმოყრა, მყისვე იქით მიაშურა, რათა პროკლამაციების გადმომყრელი აღმოჩინა,

მაგრამ, როგორც კი იგი იქ გამოჩნდა, ყველაფერი შეწყდა“.

არქივში მივაცევიეთ ამ პროკლამაციების ჩამდენიმე ცალს. თეთრ ქაღალდზე დაბეჭდილ პროკლამაციას ხელს აწერდა რსდმპ დონის კომიტეტი, ხოლო წითელ ქაღალდზე დაბეჭდილს — სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტი.

აღნიშნულ პერიოდში პროკლამაციების გავრცელებისათვის ორგანიზაციები სხვა ხერხებსაც მიმართავდნენ. თბილისის ქალაქის თავი მეფის „ოხრანის“ თბილისის განყოფილებას აცნობებდა, რომ მან პროკლამაცია მიიღო ვაზ. „კავკაზთან“ ერთად. პროკლამაციებს მიმოფანტავდნენ რკინიგზის სადგურებზე, ქუჩებში, თეატრებში და სხვაგან. შემდეგში ჩვენ დავრწმუნდით, რომ პროკლამაციების გავრცელებას ხელს უწყობდნენ თვით მსახიობები, მთელი დასი. ამისათვის ისინი მოხერხებულად იყენებდნენ წარმოდგენის მსვლელობას — დარბაზის მთლიანად ჩაბნელებას.

ვალერიან გუნისას აღნიშნული ბენეფისიდან ერთი თვის გაცლის შემდეგ ადგილი ჰქონდა პროკლამაციების გავრცელების უფრო დიდ ფაქტს. 1903 წლის 24 მარტს თბილისის იგივე პოლიცემისტერი გუბერნატორს „ფრიალ საილუმოდ“ აცნობებდა: „გუშინ, 23 მარტს, პარტიტული საზოგადოების თეატრში“ (ახლა,

რუსთაველის სახელობის თეატრი — ა. კ.) მსახიობი ბორისენკოს საბუნებისო წარმოდგენას დროს, შეოთხე მოქმედების შემდეგ, როდესაც საზოგადოებამ ბენეფიციანტი გამოიხმო, ზემო ქანდარიდან, უთუოდ ერთ-ერთმა მაყურებელმა, მუა დარბაზში, პირდაპირ ქალის ქვეშ, გადმოისროლა პროკლამაციების მთელი დასკა. შევნიშნე თუ არა ეს, მაშინვე პროკლამაციების დავარდნის ადგილს ვეცი, ისინი იატაკიდან ავკრიფე, ზოგიერთს კი ხელიდან წავგვიღე. სულ ამოჩინდა 80 ცალი. ამის შემდეგ ყურადღება გვაამახვილე ქანდარაზე მყოფი საზოგადოებისაკენ, რათა პროკლამაციების გადამომყრელი აღმომეჩინა, მაგრამ ეს ვერ შეეძლო. შეგროვილი პროკლამაციები, მათი დიდი რაოდენობის გამო, იქვე „არტისტული საზოგადოების“ სამზარეულოში დაწვი“.

ეს პროკლამაციები ქართულ ენაზე ყოფილა დაბეჭდილი რსდმპ თბილისის კომიტეტის მიერ და შეეხებოდა იმ სისხლისღვრას, რომელიც მოხდა 1903 წლის 23 თებერვალს თბილისში ჩატარებული მუშათა დემონსტრაციის დროს. პროკლამაციას ეპიგრაფად მიუმოღდა მ. გორაკის სიტყვები: „მე კი არ გთხოვ, არამედ მოვითხოვ!“ მთავარმართლებლად დაწყებული პოლიციის რიგით ჩინოვნიკამდე დიდხანს ეძებდნენ „დამნაშავეს“, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული თეატრის მოწინავე მოღვაწენი არ კმაყოფილდებოდნენ თბილისში თავიანთი მუშაობით, ისინი ზშირად გადიოდნენ საქართველოს ქალაქებსა და დაბე-

შეც. ზოგიერთი მოწინავე მსახიობი მთელი მზონის განმავლობაში მუშაობდა ამა თუ იმ რაიონში და, რაც უფრო დამახასიათებელია, იათ, მუშებისათვის ხელმისაწვდომ წარმოდგენებს მართავდა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ქართული თეატრის დიდი ამაჯადარის შალვა დადიანის თაოსნობა. ჰიათურის მანგანიუმის მრეწველთა საბჭოს 1903 წ. 12 მარტის სხდომის ოქმში ასეთი რამ არის ჩაწერილი: „მოისმინეს: ჰიათურაში იათი სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ. შალვა დადიანის სიტყვიერ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ იგი კისრულობს გამართოს აღნიშნული წარმოდგენები, დაადგინეს: დაველოს საბჭოს წევრს ცერცკემეს როგორც თეატრალური კომიტეტის დაარსება, ისე დადიანთან მოლაპარაკება წარმოდგენათა გამართვაზე“.

საბუთებიდან ირკვევა, რომ შ. დადიანს განზრახული ჰქონდა სეზონის განმავლობაში 12 წარმოდგენის ჩვენება, მაგრამ მრეწველთა საბჭოს მხოლოდ 8 წარმოდგენაზე მიუცია თანხმობა.

ამრიგად, დამოწმებული მაგალითებიდან, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რომ 900-იან წლებში საქართველოში მუშათა რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში ქართული თეატრი და მისი პროგრესული მოღვაწენი მჭიდროდ დაუკავშირდნენ მუშათა პოლიტიკურ ბრძოლას და შექმლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რუსეთის პირველი რევოლუციის მზადებას.

თეატრალური ლენინიანა



ვალოდია ულიანოვი — ს. ლალიძე
რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი
„ოჯახი“



ვ. ი. ლენინი — პ. კობახიძე
მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი
„კრემლის კურანტები“

თეატრული მოვითი ჩანაწერები

ლიბრირი ჯანელიძე

1. „ის დაკარგული ძველი ვარსკვლავი აღმოგვიცნა“.

1851 წ. თბილისის მანეჟის თეატრში ქართულმა დასმა, რომ „გაყრა“ წარმოადგინა, გაზეთი „საკავკასიის ვესტნიკი“-ი აღნიშნავდა გიორგი ერისთავის ტაქტს, სიმარტყვეს, დამაჯერებლობას და მომთმენ ნებისყოფას რეალისტური სცენის მსახიობთა თაობის აღზრდა-გაწერტანაში და იქვე შენიშნავდა: „თავად ერისთავის ადგილას ვიყო... ე. ი. ისეთივე ნიჭით ვიყო დაჯილდოებული და ვიყო ზუსტად მისსავე მდგომარეობაში სწორედ დაწერილი კომედიას სათაურით „პირველი ქართველი მსახიობი ქალბი“. რა უნდა იყოს იმაზე კომიკური, ვიდრე ეს გადასვლა პროვინციული მიამიტობიდან, გონებრივი უქნარობისგან იმის პირველად გაგებაზე, თუ რა არის სცენა, რა არის როლი და რას მოითხოვენ მისგან“ (გაზ. „საკავკასიის ვესტნიკი“-ი, 1851, № 2).

თბილისის იმდროინდელმა პრესამ ქართული სცენის აღდგენა ისე დასაზა, თითქოს ქართველობისათვის 1850 წლამდე თეატრი უცხოობა რამ იყო. გაზ. „კავკასი“-ი „გაყრის“ წარმოდგენის გამო წერდა: „თბილისის თეატრში ამ კომედიის წარმოდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თამაშობენ ქართველი მსახიობები. თამაშობდნენ ქართულ ენაზე, ასრულებდნენ ქართველის მიერ დაწერილ პიესას. როგორც გავკვირდებოდნენ 50 წლის წინად მცხოვრები თბილისის მოქალაქენი მის სამშობლოზე ასეთი საკვირველი ამბავი რომ მოესმინათ“ (1851 წ. № 1).

გიორგი ერისთავს — ქართული თეატრის აღმადგენელ შემოქმედს, — ყოველივე ამაზე პასუხი უნდა გაეცა. მან გამოწვევა მიიღო — დაწერა ქართული მსახიობი ქალების ამსახველი პიესა. ამ პიესიდან მხოლოდ ერთი ნაწყვეტია ცნობილი (დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში, იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 30). ამ პიესაში გიორგი ერისთავმა საკუთარი თავი მოქმედ პირად გამოიყვანა.

მოქმედება პირველი გამოსვლა პირველი

გიორგი. ახ! ამას მოველოდი რომ ჩემი სურვილი ასე მალე აღსრულდებოდა... ვინ მოიფიქრებდა ჩვენში დრამატული ლიტერატურის აყვავებას... საკვირველია, იმ მაღალ პოეზიის დროსა, ლიტერატურა არა ყოფილა, ან ჩვენამდე აღარ მოუწევია; თუ იყო კვალი რატომ აღარ ჩანს; მაგრამ რა... საქართველოს იმდენი ვაგა, დაწვე, აზრება გამოუვლია, რაღა დარჩებოდა; ვიქნეულბო დღად, რომ მაშინ ლიტერატურა ყოფილიყოს და თუ იყო სადმე, იმ დროს ხალხს ისეთი სიყვარული ჰქონია სწავ-

ლისა, რომ ტანჯვით ინახებოდნენ და თავიანთ პირველ ქმნილებებს ნანინატრად ინახავდნენ და ჩვენამდე მოახწია... რამდენმა საუკუნემ გაიარა და ქართლში არამც თუ ლიტერატურა, არა რაიმე-ღა იყო. და თუ იყო, ისევე დაცემული, ნულის ბოჯით დგებოდა.
(ლექსის ამბობს დაფიქრებული)

რაც უბედურმა საქართველომ იწყო ცხოვრება, როს დაცემვიდრდა დიდ რუსეთის აქ
მართებლობა,
არც ერთმა გამგემ არ იწყო მის აღშენება,
თუ არ ისურვეს? ან მიზეზ იქნა მოუტულელობა.
(სიამოვნებით)
ახლა ქართველო, გავიზაროთ სულ გაგვიტენდა,
ის დაკარგული ძველი ვარსკვლავი აღმოგვიცნა.

გიორგი ერისთავი ამ პიესით პასუხობდა იმათ ვინც თვლიდა, რომ ქართული თეატრი კი არ აღდგა, არამედ თითქოს პირველად დაარსდა. გიორგი ერისთავისათვის საკვირველება იქნებოდა, რომ რუსთაველის დროს („იმ მაღალ პოეზიის დროსა“) ქართველობა დრამატულ ლიტერატურას და, მაშასადამე, თეატრს ყოფილიყო მოკლებული. კვალი რატომ აღარ ჩანს? — ამ კითხვაზე, გიორგი ერისთავმა მუთუგ: საქართველოს იმდენი ვაგა, დაწვე, აზრება გამოუვლია, რაღა დარჩებოდა. რეალისტური თეატრის მამამთავარი უქველობასაც უარყოფს: ჩვენმა ხალხმა ბრძოლებში გამოატარა თავისი „პირველი ქმნილებანი“, ნანინატრად შეიხახა და ჩვენამდე მოიტანაო. მაგრამ არც იმას ფარავს, რომ დრამატულ ლიტერატურის აღდგენა ავბედითად ძნელდებოდა და თეატრი „თუ იყო, ისევე დაცემული ნელის ნაბიჯით დგებოდა“. ამიტომაც იყო, რომ სასცენო ხელოვნების აღმდგენილი თავისი თეატრის დასაბამს შორეულ წარსულში ხედავდა და სახიერად ამბობდა: „ის დაკარგული ძველი ვარსკვლავი აღმოგვიცნა“.

რასაკვირველია, გიორგი ერისთავს „იმ დაკარგული ძველი ვარსკვლავის“ — ქართული თეატრის — ისტორია აინტერესებდა და ზოგი რამ იცოდა კიდევ. შემთხვევითი არ უნდა იყოს XVIII საუკუნის 90-იან წლებში დრამატული ლიტერატურის ტრადიციის აღმდგენელთა — გ. ავალიშვილის და XIX ს. 50-იან წლებში გ. ერისთავის მაყურებლისადმი მიმართვის ურთიერთ დამთხვევა.

მაყურებლებს ასე მიმართავდნენ:

(მეთვრამეტე საუკუნის 90-იანი წლების თეატრში — გიორგი ავალიშვილი)

მსმენელო ვევედრებ, ნუ მკიცხვენ
ამა ლექსისა მდერითა,



არ დაიშლიან, მაჩვენონ
 იგ, თუ ვსახურუ მგ რითა
 თუ ხართ ვინმე მისტრენი
 თეატრს სმეხად ანუ ცნობად,
 შეიძაბებთ განდიდებას,
 ბრძენთა აგებთ თქვენდა მკობად,
 გრიდებთ უსამართლოდ
 ჩემებრ მწერთა ცულად გმობდა,
 არ დაიშლით, ჰგავს — არ რიდებთ
 თქვენთან გლახ გულთ ლახვარ სობად.
 მერწმუნენით არ მას ჟებნობ,
 მქონდეს მეტი მისკენ ვრომბა,
 მაგრამ მწინის განარინდა
 კიცხვითა და ქვემო ჩიომა,
 ნიუ იადრებთ გაცხადლებით
 იქონით ჩემზე წყრომა,
 დაიშლით, თუ რომ სკობდეს,
 მლიქვნელთა, ქვე-ქვე ძრომა.

(მეცხრამეტი საუკუნის 50-იანი წლების
 თეატრში — გიორგი ერისთავი)
 ბატონებო შემინდეთ,

თუ ჰპოვეთ რამ ნაკულეება,
 ამაღ ზნებო, აქ ბრძანებულთ
 ყველასა გაქვსტ განათლება,
 და ამისთვის მამატივებთ
 სუსტსა ამას პირველ შრომას,
 არ შეისხნოთ რანგელთავე
 უსწავლელთა წყენა, წყრომას.
 მე დავწერე იმაზედა,
 ვინც ზნეობით არის მრულდი...
 ჩვენც ვეცადნეთ და განვდევნოთ
 რაცა არის ჩვენში ცულდი.

გიორგი ერისთავი შეიძლება იცნობდა კიდევ
 გიორგი ავალიშვილს თუ უშუალოდ არა
 გრ. ორბელიანისა და სხვათაგან განავრნობით
 მაინც. გრ. ორბელიანს ხომ თავის დღიურში
 ჩაწერილი აქვს 1831 წლის 10 ოქტომბრის თა-
 რილით, როცა ის მოსკოვში იმყოფებოდა: „მე,
 ესტატე და ვახტანგ იოსელინი წავეითთ თეატრ-
 რში. ხალხი არ იყო ისე მრავალ ვითა უწინა-
 რეს წარმოდგენა იყო „ქადლდის მოთამაშის
 ცხოვრება“, საუცხოველ ითამაშეს უფრო მა-
 ჩალოვმა... თეატრის შემდეგ წაველ ავალოვთან
 ვახშმად“. (თხზ. სრული კრებული, ავ. ვაწერე-
 ლიას და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1957,
 გვ. 1877).

ელ. მეტრეველმა, რომელმაც გამოცა „მგზა-
 ერობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ და შესა-
 ნიშნავი გამოკვლევაც დაურთო მისი ავტორის
 ჯ. ავალიშვილის ცხოვრებისა, მოგვაწევობისა და
 შემოქმედების შესახებ, წერს: „გიორგის სახლ
 მუდამ ღია იყო მოსკოვის ემბარანტ ქართვე-
 ლენისა და საქართველოდან ჩასული სტუმრე-
 ბისათვის, მისი სახლი ვადაიქცა ლიტერატურ-
 რულ სალონად. მთელი სიცოცხლის მანძილზე
 გიორგი ავალიშვილი ინტენსიურ ლიტერატურ-
 რულ საქმიანობას ეწეოდა, თარგმნიდა რუსუ-
 ლიდან სხვადასხვა ეპიკის და ლიტერატურული
 მიმართულების თხზულებებს, წერდა ლექსებსა
 და დრამებს, ადგენდა ლიტერატურულ ანთო-
 ლოგიებს და, ბოლოს, დიდი ცოდნით და სიყვარ-
 ულით აგროვებდა ხელნაწერებსა და იშვიათ
 წიგნებს“ (ჯ. ავალიშვილი, „მგზავრობა თბილი-
 სიდან იერუსალიმამდე“, ტექსტი გამოსაცემად
 მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებ-
 ლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი,
 1967, გვ. 12—13).

გიორგი ერისთავს ბევრი რამ შეეძლო ცოდ-

ნოლა ერეკლეს დროინდელ თეატრის შესახებ
 ალ. ჯამბაყურ ორბელიანისგანაც. ალ. ჯამბაყურ
 კურ ორბელიანის მონახობრივ XVIII ს. ქარ-
 თულ თეატრზე ნიკოლოზ ბერძენიშვილმა შეი-
 ტანა თავის ცნობილ ნარკვევში: „ძველი
 დროის ქართველთა ყოფის-ცხოვრების შესა-
 ხებ“ (ვახ. კაკევაძე-ი, 1858, № 86). ხოლო
 შემდეგში ალ. ჯამბაყურ-ორბელიანის ნაწერე-
 ბიც გამოკვეყნდა, სადაც, სხვათაშორის, ავტორს
 აღნიშნული აქვს: „თელავში და თბილისში
 ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფის
 ირაკლის დროში“ (ჯამბაყურ-ორბელიანი ალექ-
 სანდრე და ორბელიანი ვახტანგ. ალ. ორბე-
 ლიანის ნაწერი და ოთხი ლექსი ვ. ორბელია-
 ნისა, თბ., 1879, გვ. 127—128).

ვავიდა ასოცი წელი მას შემდეგ, რაც გიორ-
 გი ერისთავმა მის მიერ აღდგენილი თეატრი
 „დაკარგული ძველი ვარსკვლავის აღმოკვეყნე-
 ბა“ მიიჩნია და მეცნიერება, დამწერლობითი
 მეცვლების, არქეოლოგიური მონახვარისა და
 სხვა უტყუარ მონაცემებზე დამყარებით, ქარ-
 თული თეატრის ისტორიას ერეკლე მეორის მე-
 ფობის დროიდან კი არ ითვისოს, არამედ საქაო-
 თველოში მონათმფლობელური სახელმწიფოე-
 ბის არსებობის ხანიდან. თეატრალური ხელო-
 ნების საწყის ფორმებს ძველ აღმოსავლურ სა-
 ხელმწიფოთა თანამედროვე ქართულ ტომთა
 მცირეაზიურ გაერთიანების ხანამდე მიყუყვართ.
 დიმიტრი ყიფიანი 1854 წელს თავის წერილ-
 ში „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ის-
 ტორიის მასალებს შესახებ“ წერდა: „ძნელად
 დასაჭერებელია, რომ ქართველებს, რომელნიც
 თავის ენისათვის ითვისებდნენ სასწიროტულ და
 ბერძნულ ფორმებსა და იცნობდნენ ამ ენებზე
 შექმნილ მწერლობას, არ გადმოეცათ მათგან
 დრამატული ფორმებიც და არ შეეტყნათ თავის
 მწერლობაში თუ გინდ თარგმნილი პიესები“
 (ვახ. კაკევაძე-ი, 1854, № 37).

ღღეს უკვე კარგად არის ცნობილი, რომ
 ძველი ქართული მწერლობის ძველნი „სი-
 ტყვისგებისაგან ევსტრატოსის და ავრიოკლოს
 მთავრისა“, გიორგი ამარტოლის „ნონოლორა-
 ფში“ (არსენ ივალთოელის თარგმანში), მაქსი-
 მე აღმსარებლის სქოლოგების ქართულ თარ-
 გმანში და ჩაზრუხადის პოემაში „ქება მეფისა
 თამარისი“ გვხვდება არა მარტო სახელები ეს-
 ქილეს, სოფოლეს, ევრიპოდეს და მენანდრესი,
 არამედ ევრიპოდეს პიესის დასახელებაც: „ეუ-
 თარცა ეხადყოფს ევრიპიდე, ანდრომედესა“
 შინა“. როგორც ვრცოლე წერეთელი აღნიშნავ-
 და, ბიზანტიური ხანის სკოლებში ისწავლებო-
 და ევრიპოდეს ტრაგედიები „ევრიპიდიეს პლა-
 ტონთან ერთად ტრისტიათები ანტიკური ეპოქის

¹ კლასიკური ფილოლოგიის IV კონფერენცია-
 ზე, რომელიც თბილისში შეიკრიბა, აკად. სიმონ
 ყაუხჩიშვილმა მოხსენებაში „ბერძნულ-ქართუ-
 ლი და ლათინურ-ქართული გრამატიკული პა-
 რალელები“ ის აზრი განავითარა, რომ ბერ-
 ძნული და ლათინური ენები, როგორც ინდო-
 ევროპული ოჯახის ენები სტრუქტურულდ
 განსხვავდება ქართული ენისაგან, მაგრამ, მიუ-
 ხედავად ამისა, ქართულ ენაში შერჩენილია
 გრამატიკული ფორმები, რომელიც ბერძნული
 და ლათინური ენების სათანადო ფორმებს
 მაკავსნი არიან (კლასიკური ფილოლოგიის IV
 კონფერენცია, ბერძნული და ლათინური ენების
 სექცია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1964,
 გვ. 32—33).

ნიუსაუვკოვს თეატრალური აზიზასთან

„ადამიანი იბადება ერთხელ“ ნიუსაუვკოვს

მტია იოსელიანის პიესის „ადამიანი იბადება ერთხელ“ — დადგმა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში უნდა განვიხილოთ ორი კუთხით. პირველი, როგორც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა სადიპლომო სპექტაკლი და, მეორე, აღნიშნული თეატრის მორიგი წარმოდგენა.

ო. იოსელიანის ამ პიესის დადგმით დაიწყო თავისი შემოქმედება პროფესიულ თეატრში თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც თავიდანვე საგანგებოდ ცხინვალის თეატრისათვის იქნა დაკომპლექტებული. ახალი ნაკადის მოსვლამ თეატრში თავისებური რიტმი შემოიტანა. ეს იგრძნობა პირველ სპექტაკლშივე, რომლის მონაწილეები ჯერ კიდევ სტუდენტი მსახიობები არიან. (სპექტაკლში მათ გარდა მონაწილეობენ მსახიობები: ნ. ჯიოშვილი, ც. გოქაძე და მ. ხეთაგუროვა).

ნაწარმოებს გადაყვართ სამამულო ომის პერიოდში, მაგრამ თავისი მარად უკვდავი პატრიოტიზმით, სიყვარულის,

შეშარიტი ადამიანურობის თემებით პიესა მეტად აქტუალურია. ნაწარმოებში არსებული ორი ძირითადი თემიდან — სიყვარულის გამოცდა და მშობლების ტრაგედია, — სპექტაკლში აქცენტი გადატანილია ახალგაზრდობის თემაზე. ამ ჩანაფიქრზე დამდგმელი რეჟისორი — ხლოვების დამსახურებული მოღვაწე ი. კაკულია მიგვანიშნებს ექსპოზიციულ ნაწილშივე. აქ რეჟისორი პარალელს აწვლავს თანამედროვეობასთან და გვარწმუნებს, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას ისევე მტკიცედ შეუძლია სიყვარული და გმირობა, როგორც 40-იანი წლების თაობას შეეძლო.

მე შემთხვევა მქონდა მენახა ცხინვალის თეატრის თითქმის მთელი მიმდინარე რეპერტუარი და ამიტომაც საშუალება მაქვს პარალელი გავავლო სხვა სპექტაკლებთან იმ მიზნით თუ როგორ შეერწყო იგი თეატრის ცხოვრებას და არ იქნა აღქმული როგორც უცხო მოვლენა. დამდგმელმა რეჟისორმა მალე აუღო ალღო არსებულ სიტუაციას, გაითვალისწინა თეატრის შესაძლებლობა, მაყურებელთა მოთხოვნილებანი და წარმოდგენას შესაფერისი ფორმა მოუწახა. სპექტაკლი რე-

საყვარელ და პატივცემულ მწერალთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ“ (გრ. წერეთელი. ბერძნულა ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 222—223, 226).

კვლევა-ძიებამ ცხადპყო, რომ კოლხეთსა და ქართლში (იბერიაში) და ქართული ტომებიო დასახლებულ პონტოს სამეფოშიც თეატრები არსებობდნენ (იხ. ს. ყაუხჩიშვილის, შ. ამირანაშვილის, დ. ჭანელიძის შრომები). ვარაუდიც არის გამოთქმული იბერიის თეატრში არა მარტო ელენულ, არამედ აღგილობრივი ავტორებას პიესების განხორციელების შესახებ (გ. მელიქიშვილი, საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1959, გვ. 471).

ბოლო დროს, იმის დამატებით, რაც მოზოვებული იყო ხალხური სანახაობრივი შემოქმედების საუხეჯიან. ძველ ქართულ ძეგლებში დაიძებნა და მიკვლეულ იქნა ძველი ქართული ორიგინალური დრამატული პოეზიის ფრაგმენტები და თარგმნილი დრამატული კომპოზიციები. ისე, რომ გიორგი ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის მოსახრებანი სავსებით დადასტურდა და შემდგომი კვლევა-ძიება აღგვითქვამს ბევრი კიდევ ახალის შექმნა-მოზოვებას ძველი ქართული თეატრის, — გიორგი ერისთავის სიტყვით, რომ ვთქვათ, — „ძველი დაკარგული ვარსკვლავის“ სრული შეცნობისათვის.

ყისორული გადაწყვეტის მხრივ ერთგვარად უახლოვდება ადრე განხორციელებულ გ. ნატროშვილის „მიწაში დამარხულ სხივებს“ (რეჟ. ი. მაცხოვანიშვილი). ორივე სპექტაკლში მონაწილე მსახიობები ერთდროულად ქოროსაც ანსახიობებენ და ცალკეულ ეპიზოდებში მოქმედებენ. თუ პირველ სპექტაკლში ქოროში მონაწილე მსახიობ გოგონებში მაიკო ივულისხმებოდა, მეორეში ყველა ვაჟი სისოთა და ყველა ქალიშვილი თათიად აღიქმება. გარდა ამისა, ეს სპექტაკლები ერთმანეთს უახლოვდებიან აწმყოსა და წარსულის შეპირისპირებითა და ძუნწი მხატვრული გაფორმებითაც. რა თქმა უნდა, რეჟისორს ვერ შეგნვლდავთ და მას უფლება აქვს გამოიყენოს ადრე ნახმარი ფორმა (მითუმეტეს, რომ იგი არც ი. მაცხოვანიშვილის სპექტაკლში შეგვხვდა პირველად). მაგრამ მთავარია რამდენადაა არჩევანი გამართლებული? თუ პირველ სპექტაკლში არჩეული ფორმა თავისი შინაარსით ამართლებდა ჩანაფიქრს, მეორეში ნაწარმოების პროზაულობა არ იწვევს მის აუცილებლობას. იგი ამით უფრო ლიტერატურული ისცენირებისაკენ იხრება.

ეს შთაბეჭდილება გააღრმავა, ალბათ, იმანაც, რომ სპექტაკლში თეატრის მიერ ჩამატებულ იქნა ექსპოზიციური ნაწილი, რომელსაც მეტად დიდი დრო უჭირავს. სცენაზე მიმდინარეობს უამრავი სასწავლო ხასიათის ეტიუდების ჩვენება ახალ-გაზრდულ თემაზე, რაც ტვირთავს მაყურებლის ყურადღებას და შემდეგ, როცა პიესის სიუჟეტის მსვლელობას მივყვებით, სპექტაკლი ვეღარ აღწევს სასურველ ეფექტს. თავისთავად ეს ეტიუდები შეიძლება გამართლებულიც ყოფილიყო იმ შემთხვევაში თუ იგი აღიქმებოდა მხოლოდ სტუდენტურ ნამუშევრად, მაგრამ, როცა სპექტაკლი შესულია პროფესიული თეატრის რეპერტუარში, უფრო მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო.

სპექტაკლის დადებით მხარედ უნდა ჩათვალოს ის რეჟისორული მიგნებანი, რომლებიც ეფექტურად გამოხატავენ ამა თუ იმ განწყობილებას, მაგ: გამოცდის ჩაბარების კოლორიტური სცენა, რომელშიც რეჟისორი მიგვანიშნებს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ თვისებებზე.

ემოციურია ფრონტიდან მიღებული

წერილების მონაკვეთი. აქ კარგად გამოხატული ურთიერთგაგება და თანაგრძნობა, რომ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს პირადი სიხარული, ვერ იგრძნობ თავს ბედნიერად თუ შენს ირგვლივ სიკვდილი ბობოქრობს. (ამ ეპიზოდს ძლიერად ატარებს მსახიობი ხეთაგორაძე).

კარგადაა მაყურებლამდე მოტანილი ქორწილში მინაგოს ცეკვის ტრაგიკულობა. მინაგო ცდილობს თავდავიწყებას მისცეს უბედურება და ხელოვნურად შექმნას მხიარულების ატმოსფერო.

სპექტაკლის მხატვრობა (გ. ცერაძე) 10 სკამით, ერთი მაგიდითა და სამი ჯარისკაცის გადიდებული სურათით განისაზღვრება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამარადისო დიდების კოცონს. აღნიშნული სკამები და მაგიდა ნაჩვენებია სპექტაკლის ყველა სიტუაციასა და სცენაში. მართალია, არაა სავალდებულო და დღეს არც მოეთხოვება მხატვარს შექმნას დიდი ბუტაფორული ნაგებობანი, მაგრამ ასეთი გაუბრალოებაც ღირსებას უკარგავს სპექტაკლის ამ კომპონენტს. სცენური კოსტუმებიც შერჩეულია თანამედროვე სტილში, ხოლო ომის ეპიზოდებს ჯარისკაცის შინელით მიგვანიშნებენ.

სპექტაკლის აქტიორული მხარეც ასევე ორი მომენტის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ. სპექტაკლს თუ შევაფასებთ როგორც თეატრის მორიგ დადგმას, აქტიორული შესრულება უდაოდ სუსტად უნდა მივიჩნიოთ. ვარდა იმისა, რომ მონაწილეთა თამაში ფრაგმენტულობით ხასიათდება, თვით პროფესიულადაც დაბალ დონეზე დგას. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ სტუდენტთა გამოცდილებას, გაერთიანებისწინებით იმასაც, რომ ეს მათი პირველი დამოუკიდებელი თამაშია ინსტიტუტის კედლების გარეთ, შესრულების იგივე დონე შეიძლება აკმაყოფილებდეს დებიუტანტთა წინაშე მდგარ მოთხოვნას.

ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის, თათიას ირგვლივ მიმდინარეობს მთელი რივი სიტუაციები. იგი გაივლის სიყვარულის რთულ გამოცდას. ომში გაიწვიეს მისი შეყვარებული სისო, თათია ჩადის სოფელში მის მშობლებთან და პატრონობას უწევს მოხუცებს, იქ ღებულობს სისოს დაღუპვის ცნობას, შემდეგ ფრონტელი მოუთხრობს სისოს სიკვდილის ამბავს... სისოს მშობლები სარძლოს ათხოვებენ, როგორც საკუთარ ქალი-



შვილს. ბოლოს სისო ცოცხალი აღმოჩნდება და დაბრუნდება. აი ეს სცენური ამოცანები იდგა მსახიობ ქ. დანელიშვილის წინაშე. როგორც ჩამოთვლილი მოვლენებიდან ჩანს, თათია როული აქტიორული სახეა. მსახიობმა ყველა სიტუაციაში უნდა დაიცვას სახის ლოკური განვითარების ხაზი. ქ. დანელიშვილმა შეძლებისდაგვარად, საკმაოდ დამაჯერებლად წარმოგვიდგინა თათიას სცენური სახე, მხოლოდ საჭიროა მსახიობი სცენაზე უფრო თავისუფლად გრძნობდეს თავს.

სისოს როლს ასრულებს მსახიობი ს. მელაძე. მის შესრულებაში იგრძნობა უშუალობა, გრძნობათა სიხალისე.

თუ თათიას როლის სირთულე მისი ხასიათის განვითარებაში იკლვისხმება, მინაგოს სახის სირთულე ფსიქოლოგიურ ასპექტში მდგომარეობს. იგი იძულებულია ერთი სიტუაცია ორგვარად შეაფასოს, პირადული უბედურება გულჩათხრობილმა იკლოვოს და ამავდროს სულიერი სიმხნევე და იმედი შეუნარჩუნოს მეუღლესა და თათიას. ასეთი გარებულნი გრძნობის თამაში კი მსახიობისაგან აუცილებლად მოითხოვს გარდასახვის დიდ უნარს. მსახიობ რ. ოტიაშვილის შესრულებაში შეინიშნება ამის მონაცემები. იგი დამაჯერებლად ატარებს სცენებს სოფლის ფოსტალიონთან და

ექიმთან, რომელშიც მაყურებელს გულწრფელად წარმოუდგენს მინაგოს განაღმებლობას და განცდებს. კარგი იქნება თუ მსახიობი რეჟისორთან ერთად გადასინჯავს კუთხური დიალექტის საკითხს, რადგან იგი დისონანსად აღიქმება სპექტაკლის ერთიან ჟღერადობაში.

ც. ბართაია სისოს მაიმინის როლის შესრულებისას ხაზს უსვამს ბრძანებების მოყვარული ქალის თვისებებს. მსახიობი ცდილობს (და ნაწილობრივ აღწევს კიდევ) შექმნას თავისი გამორის ხასიათი. იგი სცენაზე თამაში და გამბედავი. სცენური თავისუფლება კი საშუალებას აძლევს მეტად გამოავლინოს აქტიორული მონაცემები.

სპექტაკლის ეპიზოდურ როლებს წარმოგიდგენს: გ. თავდიდიშვილი (ფოსტალიონი), ვ. ჭილაშვილი (ფრონტელი), გ. მწყერაძე (ექიმი), ნ. ჯიოშვილი (დედა). ისინი ჰქმნიან სპექტაკლის შესატყვის სცენურ გარემოს და მოწონებას იმსახურებენ.

ამრიგად, პირველი სიტყვა მომავალმა მსახიობებმა ცხინვალის თეატრში თქვეს. ადგილობრივი დასი და თეატრის ხელმძღვანელობა მათ დიდი იმედებით და ყურადღებით შეხვდა. გვჯერა, რომ მომდევნო სპექტაკლები მათი პროფესიული ოსტატობის ზრდის მაუწყებელი იქნება.

თ ი ა შ რ ი ს მ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა

ჰათეპან ხუციშვილი

ამასწინათ გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. ყაზბეგის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ი. კაკულიას „განკიცხული“. ი. კაკულია ამჯერად საზოგადოების წინაშე წარსდგა არა მარტო როგორც რეჟისორი, არამედ როგორც პიესის ავტორიც. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესა თითქმის დამოუკიდებელი ნაწარმოებია. ამავდროს, არსად არ ღალატობს ქართული პროზის კლასიკოსის ჩანაფიქრს.

სპექტაკლი მონუმენტური, ზეაწეული რომანტიკული ჟღერადობისაა, რომელიც ხასიათდება კარგი რეჟისორული ქარხით, დახვეწილი და პლასტიკური მიზანსცენებით.

რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა შოთა ხუციშვილმა მეტად ხატო-

ვანი, გააზრებული მხატვრული გადაწყვეტა მოუძებნა სპექტაკლს. მან შესანიშნავი სცენური გარემოცვა შექმნა. იხსნება ფარად და მაყურებლის თვალწინ იშლება უსასრულო კიბეებიანი დანადგარი, რომელზეც აღმართულია უშველებელი სისხლისფრად აელვარებული ჯვარი, — სიმბოლო მშათა სისხლის უსამართლო ღვრისა. მთელი სპექტაკლის მანძილზე დეკორაცია არ იცვლება, მაგრამ მხატვარი პატარა დეტალების ოსტატურად შენაცვლებით ქმნის კარგ სცენურ გარემოს.

ი. კაკულია თავის რეჟისორულ შემოქმედებით უშუალოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსახიობს, მასთან მუშაობას. იგი ცდილობს ყველაფერი მსახიობის ხელოვნებას დაუმორჩილოს. ამიტომ მის სპექტაკლებში აქტიო-

რი განსაკუთრებით იგრძნობა. „განკიცხულში“ გულუხვად გამოვლინდა აქტივობა შესაძლებლობები და ნიჭი.

რეჟისორს სპექტაკლში დიდი ადგილი მიუკუთვნებია ქალთა და ვაჟთა ქოროებისათვის. რომლებიც, მართლაც, დიდად უწყობენ ხელს სპექტაკლის გამარჯვებას. ქორომ სპექტაკლი უფრო მონოლითური და მონუმენტური გახადა.

ქალთა ქორის წამყვანი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნინო ზალდასტანიშვილი მრავალფეროვანი საღებავებით აფერადებს თავის გმირს. მას დამაჯერებლად მოაქვს მასურებლამდე გარეგნულად მხიარული, სიცილ-კისკისით შეზღუდული პერსონაჟის მიზანდასახულება — ხელი შეუწყოს მზეხას ბედნიერების მიღწევაში და იხსნას იგი ბოროტი გვიგისაგან.

ქალთა ქორი (ნ. დობეტურიშვილი, ნ. სალუქაშვილი, ი. ჩხეიძე, დ. ჭამაური და ი. ბებიაშვილი) გააზრებულია და გულწრფელი თამაშით უდაოდ ხელს უწყობს სპექტაკლის წარმატებას.

ვაჟთა ქორი სპექტაკლში გიგანს ამაღლას წარმოადგენს და ბოროტებისა და ძმათა სისხლისღვრის ხელისშემწყობ სიმბოლოდ გვევლინება. სპექტაკლში მას გარკვეული ფუნქცია აკისრია — იბრძოლოს გიგანს ზრახვებისა და სურვილების განხორციელებისათვის. ქორის, რა თქმა უნდა, გარკვეული წილი შეაქვს სპექტაკლის წარმატებაში, მაგრამ მსახიობთ დრო და დრო ყალბი პათოსი ეპარებათ, რასაც უდაოდ საფუძველი დაუდო მსჯავრმდებლის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ოთარ დათუნაშვილმა.

სპექტაკლის გამარჯვება განაპირობებს მთავარი როლების შემსრულებელმა მსახიობებმა, აფხაზეთის დამსახურებულმა არტისტმა ლეო ფილფანმა და მსახიობმა ფატი ფულარიანმა.

გორის თეატრის სტუმარმა, სოხუმის თეატრის ამავე სპექტაკლის მთავარი როლის — გიგანს შემსრულებელმა მსახიობმა ლეო ფილფანმა დიდი ტემპერამენტითა და შინაგანი სიძლიერით წარმოვიდგინა გიგანს ბუნება.

სცენაზე შემოიჭრა ლალი, თავისუფალი გრძნობებისა და ვნებების ვაჟკაცი. შემოიჭრა და შემოიტანა ცოცხალი რიტმი.

ლ. ფილფანის გიგია არა მარტო ბოროტი ადამიანია, არამედ უდიდესი სიყვარულით შეპყრობილიც. იგი მო-

ჭარბებულ ვნებებს გაუხელება და არაფერს არ ერიდება მიზნის მისაღწევად. აი, ჩაუქრა უკანასკნელი იმედი. უარყოფილია იმ ქალის მიერ, რომლისთვისაც გასწირა ოჯახი, მოძმე და თითოვსაც არარაობად იქცა. იგი კიბზე შეშლილივით დაეშვება და განერთხმება ავანსცენაზე. მცირე პაუზის შემდეგ კი მაყურებელი ხედავს მის სულში როგორ დაიბნა და საშინელი გადაწყვეტილება: „შურისძიება“. ამ სიტყვას მსახიობი ისეთი ემოციით ამბობს, ისე წამოსწევს ხელებს და ისე უყურებს მათ, რომ გგონიათ სისხლში არიან მოსერილი და წვეთ-წვეთად მოყმანავს თითებიდან.

ლ. ფილფანი ტემპერამენტით, გულწრფელობით და სიმართლით ატარებს ბევრ სცენას, მაგრამ მათგან მაინც გამოირჩევა მზეხას ოთახში შეპარვისა და სიყვარულში გამოტყვის სცენა.

მსახიობი ფ. ფულარიანი (მზეხა) თუ ვეფხვიასთან სცენებში უაღრესად ნაზი, ქალური სითბოთია აღსავსე, გიგანსთან სცენებში იგი ძლიერია და მტკიცე. სათნობა და ბოროტებისაგან განწირული ქალის ხედვრი რთულ სახედ წარმოვიდგენს ფულარიანის მზეხას. იგი ხან ფაქიზია, ხან გააგებულ ვეფხვად იქცევა.

მსახიობი როლს მაქსიმალური შესაძლებლობით ატარებს. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს გიგანს მიერ სიყვარულში გამოტყვისა და მის მიერვე ვეფხვიას სიკვდილის შეტყობინების სცენა. ვეფხვიას სიკვდილის ამბავმა დაჭრილ ღომად აქცია მსახიობი. მას არაფერი აღარ დარჩა ამ ქვეყანაზე. წარათვის ერთადერთი სიხარული და ბედნიერება. ამ სცენაში უსამართლობისა და ბოროტებისაგან განწირული ქალის ტრაგედია უძლიერეს ნოტად ჟღერს.

დიდი სიმართლითა და ემოციურობით ატარებს ფ. ფულარიანი გიგანსთან ვედრების სცენას — აჩუქოს მამის სიკვცხლე. დაუვიწყარია მისი შეძახილი — „შესდექ, გიგია!“ ეს არის სასოწარკვეთილი ქალის ზარი.

სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. კახნიაშვილმა (ლეთისო) და მზარდმა ახალგაზრდა მსახიობმა ო. გაბელაიამ (ვეფხვია). მათს მართალსა და ემოციურ თამაშს თვალსაჩინო წვლილი შეაქვს სპექტაკლის გამარჯვებაში.

„მე მინდა კენიანა გავხელო“

ნიკო ბაბრიძე

მიმდინარე წლის თებერვალში ჩვენმა რესპუბლიკამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ზურაბ ანტონოვის დაბადებიდან 150 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მხურვალედ გამოეხმაურა ს. შუშუმიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის კოლექტივი. თეატრმა განახორციელა ზ. ანტონოვის თვის დროზე საკმაოდ გაზაფურებული კომედია „მე მინდა კენიანა გავხედე“.

სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა მიხეილ გიციმურელმა თეატრის კოლექტივთან ერთად ამ სპექტაკლით გამოიხატა არა მარტო დიდი პატივისცემა განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის, არამედ მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა ძველი ქართული თეატრის რეპერტუარო ფონდის ინტერესის გაღვივებაშიც.

ჩვენის აზრით, რეჟისორი სწორად მოიქცა, როცა ამ პიესაზე შეჩერდა. თუ გნებავთ იმიტომაც, რომ ეს პიესა უნდა იყოს არა მარტო ისტორიის კუთვნილება, არამედ დღევანდელი ქართული თეატრის რეპერტუარშიც თავისი მოკრძალებული ადგილიც უნდა ექიროს. ზ. ანტონოვის დრამატურგიამ დროის გამოცდას გაუძლო და მას შეუძლია დღესაც დამშვენოს ქართული თეატრის რეპერტუარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპექტაკლის შექმნის პროცესში ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ როგორც დამდგმელ რეჟისორს, ისე თეატრის კოლექტივს. თეატრის რემონტის გამო რეპერტუარი მიმდინარეობდა სადეკორაციო სააქტობებში, სპექტაკლის გამოშვების წინ ერთ-ერთი პერსონაჟის ილიკო გურგენიძის როლის შემსრულებელი მსახიობი რ. ოვანესიანი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს და მისი შემცვლელი თითქმის მოუძებნებლად შევიდა სპექტაკლში.

მიუხედავად ამისა, რეჟისორმა და თეატრის კოლექტივმა შესძლეს მაყურებლისათვის ეჩვენებინათ პროფესიულად მომზადებული, მხატვრულად გამართული სპექტაკლი.

პირველ რიგში აღსანიშნავია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. ყაპოჩიანის მიერ განსახიერებული ბარბალეს სცენური სახე. მან კარგად გაიგო, ზომიერების დიდი გრძნობა გამოამჟღავნა და შესანიშნავად წარმოსახა ეს რთული კომედიური სახე. მსახიობის აქტიორული თვისებებიც კარგად მოერგო როლის გავებასა და ბარბარეს ბუნებას.

საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტის-

ტის დორი ამირბეკიანის მიერ თავად დავითის როლის შესრულებისას საქმე გვაქვს სახის ახლებურად გაგებასა და ვახსნასთან. როგორც ცნობილია, დორი ამირბეკიანი ყოველთვის გმირულ და ახლგაზრდულ პერსონაჟებს ანსახიერებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ სპექტაკლში სულ სხვა ასაკის ადამიანის როლში მოგვევლინა, თავისი პროფესიული ოსტატობით სავსებით დამაჯერებლად წარმოსახა დავითის ფსიქოლოგიურად რთული სახე.

როგორც ცნობილია, პიესის „მე მინდა კენიანა გავხედე“ მოქმედების მიმართულებას აპირობებს ვაჟარ პეტრუხოვი. იგი აქტიურად ისწრაფვის შექმნილი მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ამ როლს ასრულებს საქართველოს და სომხეთის დამსახურებული არტისტი რ. პაპოვიანი. არ შეიძლება არ მიულოცოთ პაპოვიანს როლის ბრწყინვალედ შესრულება. ნიჭიერმა მსახიობმა ამ როლის შესრულებით ახალი სიტყვა თქვა თავის შემოქმედებაში.

მეტად გულწრფელი, ლირიკული და სცენურად მომხიბვლელი იყო საქართველოს და სომხეთის დამს. არტისტის ა. შეკონიანი კეკელას როლში. ილიკოს როლის შემსრულებელმა მსახიობმა ა. სამოსიანმა დიდი პასუხისმგებლობა გამოავლინა და საერთო ანსამბლში კარგად გამოიყოფებოდა.

კარგები იყვნენ რესპ. დამსახურებული არტისტის ნ. ეგოზარიანი გრიგოლას როლში და მსახიობი რ. ხაჩატურიანი (გიორგი), რ. ავაჯანიანი (პეტრია), ი. თათარიანი (თისთავი) და ვ. აბრამიანი და ლ. გეორგიანი (მსახურნი).

რეჟისორმა მიხ. გიციმურელმა უთუოდ სასარგებლო საქმე გააკეთა ამ სპექტაკლის დამდგმით. მან კიდევ ერთი ფურცელი ჩაწერა მოძმე ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობისა და შემოქმედებით ურთიერთობის ტრადიციის გაგრძელება-განმტკიცებაში.

ზედმიწვევით დამაჯერებლადაა გადმოცემული ძველი ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფერები ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მხატვარ კ. კუჭუაძის დეკორაციებში, რაც ხელს უწყობს სპექტაკლის საერთო წარმატებას. ძველი თბილისური ხალხური ფოლკლორული პანკებით არის შემოვლილი რესპ. სახ. არტისტის კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის მუსიკა, რომელიც ორგანულად არის შერწყმული სპექტაკლში. კარგია რესპ. დამს. არტისტის რ. მაჩაიძის მიერ დადგმული ცეკვები.

სხინვალის ქართული თეატრის ისტორიისათვის

ზახანავ კასრაძე

საქართველოს სსრ სკოლის
დამასახურებელი მასწავლებელი.

1850 წელს საქართველოში მუდმივი ქართული თეატრის ჩამოყალიბებით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მისი დახურვის შემდეგ, თეატრალური საქმიანობა სცენისმოყვარეთა ხელში გადაიდა. სასცენო ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა წრე იქმნება დაბა ცხინვალშიც და მასში ერთიანდება უმეტესად ინტელიგენციის მოწინავე თაობა.

1875 წელს გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის ი. ბაქრაძის ცნობით, დაბა ცხინვალში სცენისმოყვარეთა ძალებით 31 ავგისტოს (ძველი სტილით) გამართულა წარმოდგენა; დაუღვათ გ. ერისთავის კომედია „გაყარა“. ეს იყო დიდი კულტურული მოვლენა ამ დაბის მცხოვრებთათვის, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა თეატრალური ხელოვნების განვითარებას ცხინვალში.

გაზეთ „დროების“ კორესპონდენტი მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ამ წარმოდგენის შესახებ: „წარმოდგენა კარგად გამართეს. ისე მშვენივრად წავიდა, რომ თვით თბილისშიც იშვიათია ხოლმე ასეთი კარგი წარმოდგენა“.

...და ეს საკვირველი არ უნდა ყოფილიყო, რადგან წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ინდროინფული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ზალიკო მაჩაბელი — ამ წარმოდგენის ხელმძღვანელი და შემდეგში ქართული პროფესიული თეატრის მსახიობი, ნატო გაბუნია — შემდეგში ქართული თეატრის ბუზბერაზი მსახიობი, ეფემია მაჩაბელი — თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ცხინვალში, ივანე მაჩაბელი — შემდეგში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, შექსპირის ტრაგედიების უზადლო მთარგმნელი ქართულ ენაზე, ვასილ ტერ-აბრაჰიანიცი, ანასტასია მაჩაბელი (ეფემიას და), კარგო კობალაძე, დავით ფავლენიშვილი და სხვები.

მაყურებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ქალების თამაშს, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ეფემია მაჩაბლისა და ნატო გაბუნია. კორესპონდენტი წერს: „ქეიბისა და პატრიკის ღირსნი არიან მოთამაშე ქალები; ამათ დათარგუნეს ის ცრუმორწმუნეობა, რომ ვითომც თეატრში თამაშობა უნდა უსობა იყოს. მაგრამ რას ბრძანებთ, ბატონო, აქ, ცხინვალში, არამცთუ თამაშობა, არამედ თვით თეატრში წახლასაც კი უნამუსობას ეძიებან ზოგიერთი ქალები... ავტორი პიკინჯეს ამ უპირიკანებს და ასე მიმართავს: „თუ ღმერთი გწამთ, დააყენეთ თქვენი წინაქლიანი ენა და როცა თქვენ არ გინდათ მონაწილეობის მიღება საზოგადო საქმეში, სხვას მაინც ნუ უშლით“.

ადვილად შესაძლებელია, რომ ცხინვალში აღრეც იმართებოდა წარმოდგენები. ამ ვარაუდს ამტკიცებს შემდეგი ფაქტები: მაჩაბლები, რომლებიც რაგულს თეატრში მონაწილეობდნენ, თამაშდებიდან იყვენენ და მათი ყოველდღიური ცხოვრება მკვიდრი იყო დაკავშირებული ცხინვალთან. საუბროსინბოა, რომ თავიანთ საყვარელ საქმეს — სასცენო მუშაობას ისინი ცხინვალშიც ეწეოდნენ. მეორე ის, რომ

გ. ერისთავმა თავის მიერ თბილისში ჩამოყალიბებული ქართული თეატრის დასში მსახიობებად წაიყვანა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბების საუკეთესო სცენისმოყვარეები, რომელთა შორის ორი — გიორგი დვანაძე და სიმონ კასრაძე — ცხინვალიდან იყვნენ. ეს კი მიგვიტოვებს იმაზე, რომ წარმოდგენები ცხინვალში აღრეც იმართებოდა, მაგრამ იმდროინდელი პრესა ამის შესახებ არაფერს მეტყველებს და ამიტომ ვერ ვასახელებთ აღრიხონი წარმოდგენების გამართვის ფაქტებსა და თარიღებს.

პირველი სპექტაკლი ვახალისებულებს ბიესა „გაყარა“ რამდენჯერმე წარმოუდგენიათ, ხოლო შემდეგში მას მოჰყოლია სხვა პიესებიც.

გაზეთ „დროება“ 1879 წლის 26-ე ნომერში წერდა, რომ ამას წინათ ცხინვალში წარმოდგენა გაუმართათ. უთამაშნიათ „ძალად ექიმი“ და თუთაევის სცენა „აღასა და პრიკაზნიკის დავა“.

1881 წლის გაზეთ „ივერიის“ ცნობით შეზღვევამაზე ცხინვალში წარმოდგენა გაუმართათ ადგილობრივი სცენისმოყვარეთ „სასარგებლოდ ერთი ხელმოკლე ყმაწვილისა“. უთამაშნიათ რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ვოდევილი „ჟურ დაიხოცენ — მერე იქორწინეს“ და კ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ვოდევილი „დატრიალდა გარა“. „ივერიის“ ცნობით წარმოდგენა გვირავანდ უთამაშნიათ მაგრამ უამინდობის გამო ხალხი ცოტა დასწრებია, ვინც დასწრებია, ისინიც აქუთური ქართველები ყოფილან, სოფლებიდან ვერავენ ჩამოსულან ტალახების გამო.

ცხინვალში წარმოდგენებმა განსაკუთრებით იმატა 1890 წლებიდან. ამას ხელი შეუწო ცხინვალის მოსახლეობის ვატაცებამ ხალხურ სანახაობებით, რომელთა წარმოსახვაში უზარალო ადამიანები მსახიობრეად დებულობდნენ მონაწილეობას. ასეთები იყო რელიგიური დღესასწაულები: ზღუდრობა, რომელიც აღდგომის მეექვსე კვირიდან სამ კვირას ზღუდრედ იმართებოდა; ამაღლება, კეთილობა, ხევისმშობლობა და კვირაცხოვლობა. ამ დღესასწაულებზე ეწყობოდა ჭიკობა, ცეკვა-თამაში და სიმღერები. წელიწადის სხვადასხვა დროს ეწყობოდა ჭიკობები საგანგებოდ მოწყობილ მოედნებზე. ოჯახებში ეწყობოდა ეგრეთწოდებული „ვეჩერები“, სადაც ქალები ლოტოს თამაშის შემდეგ ავლენდნენ თავიანთ ხელოვნებას სიმღერასა და ცეკვაში. დღღმარხვავში იმართებოდა პერეკობა და სხვა. არსებობდა ოჯახებიც რომლებიც ხალხური ხელოვნების კერებს წარმოადგენდნენ; ასეთები იყო ვანო ჯავრიშვილის, გაბო მეჩითიშვილის, სოსო მიქელაძის, გიგა რომელაშვილის და სხვ. ოჯახები. მათ სახლებშიც გაისმოდა სიმღერის, გარმონის, თარის და სხვა საკრავების მელოდიები შერწყმული ცეკვა-თამაშთან და სხვა თეატრალურ სანახაობებთან. მართალია, სცენაზე პიესების წარმოდგენას, როგორც ამ სანახაობათა ახალ სახეს, ხალხი პირველად აღმოცქერად უხვებდა, მაგრამ შემდეგში დარწმუნდა, რომ მასში ცხოვრების სინამდვილე

მეცნიერული

იყო ასახული და არამცთუ დაუახლოვდა და შეისისხლნარცა იგი, არამედ მის განვითარებაზეც იწყეს ზრუნვა.

ცხინვალის თეატრის წარმატებებზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ 1879 წელს თბილისში კვლავ აღდგენილი იქნა ქართული პროფესიული თეატრი, რომლის მსახიობთა შემადგენლობაში ცხინვალის დასიდან პირველადვე ჩარიცხული იქნა ორი თეატლისაირი მსახიობი — ნატო გაბუნია და ზალიყო მაჩაბელი, ხოლო შემდეგში მათს რიგებს მიემატა ამ მხრიდან კიდევ ორი ნიჭიერი მსახიობი — ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე. მათი მზრუნველობით და ინიციატივით ცხინვალში ხშირად ჩამოდიოდნენ სავასტროლოდ ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატები: ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ვლადიმერ ალექსანდრეს-მესხიშვილი, გიორგი არაღვლი-იშნელი, ვალერიან გუნია და სხვები, ხოლო თვით ზალიყო მაჩაბელს, ნატო გაბუნისა, ელისაბედ ჩერქეზიშვილს და ნიკო გოცირიძეს, რომ იტყვიან, ცალი ფეხი ცხინვალში ედგათ.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ცხინვალში არსდებდა მუდმივი დრამატული დასი და წარმოდგენებზე სისტემატურად იმართება. დასში რეჟისორბდნენ ზალიყო მაჩაბელი, დავით ჯავახიშვილი, ვასილ იასალია, აბგარ ტერ-სტეფანოვი და სხვები. დასში აქტიურად მონაწილეობდნენ და საინტერესო სახეებს ქმნიდნენ სცენისმოყვარენი: ეფემია მაჩაბელი, ევატერიანი, ოლა და ელენე კასრაძეები (მწერალ დავით კასრაძის დები), პაიანუშ ოვანოვა, სოფიო ღობლაძე, მათიყო ასანიძე, ბბბო კვინიძე, ნინო ყორანაშვილი, ვარო მებრეოვა, მამო ზასიშვილი, ევატერიანე მაჩაბელი, მარია მეტეოევა (ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი — პენსიონერი), სოფიო იარალოვა, ნინო ცერაძე, სტეფანე ტერ-სტეფანოვი, დავით და კოლა ელიოზიშვილები, შალვა კოტიაშვილი, სულიყო და შალვა ვეჯვახაძეები, ალექსანდრე კასრაძე, ქაისტეფანოვი და გიორგი ცერაძეები, გიორგი ასანიძე, ვანო ჯავახიძე, ვასო ელიოზიშვილი, მიხეილ ბროძელი, ალექსანდრე მეტეოევი, სტეფანე ყაზარგი, არგო აკეშურიძე, კოლა იარალოვი, ირ. ხიზანიშვილი, გ. შათირიშვილი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის ქართული თეატრის განვითარებაში იმ თავითვე ფართო მოწოდებითაა რეპერტუარბდა ოსი და სომეხი ინტელიჯენცია. ცხინვალის ქართულ დრამატულ დასში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ორმოცამდე სომეხი და თხოუმეტე ოსი სცენისმოყვარე. ქართულ სცენაზე თავიანთი ნაყოფიერი მუშოობით გამოირჩეოდნენ ოსი სცენისმოყვარეები: გორიკა ქოქოვი, შარტი ქემუარიტოვი, ზურაბ თუაყვი, გიორგი ჩოჩიყვი, ტონია ბესთაყვი, სოფიო ჯატიყვი (ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი — პენსიონერი), კარა თომიყვი და სხვები.

მტკიცედ მოიკიდა რა ფეხი ცხინვალში წარმოდგენების მართვამ, ამის შემდეგ ახლო სოფლებშიც აღმოჩნდნენ სასცენო ხელოვნებით დაინტერესებული პირები, რომელთაც შეადგინეს სცენისმოყვარეთა წრები და დაიწყეს წარმოდგენების მართვა. 1903 წლის ზაფხულში სოკ. ერედვის ახალგაზრდობამ ალექსანდრე (საშა) ფალონიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა დრამატული წრე და 10 აგვისტოს გამართა პირველი წარმოდგენა; დადგეს კ. ყიფიანის „ატარიალა ჯარა“ და ა. ცავარლის „ქუქისა

მიკრის“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო და დიდი მოწონება დაიმსახურა.

1905 წლის პირველ აგვისტოს კი სოფ. ქუჩრთაში ელისაბედ ჩერქეზიშვილის რეჟისორბით წარმოდგენეს „გაცრუებული იმედები“, „ვაი ქუქისაგან“ და „დელისრტა“. წარმოდგენას რეჟისმეტრი მალო შევავანის აძლევს და წერს: „მათმა თამაშმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანაო“.

ცხინვალის ქართული დრამატული დასის დიდ საზრუნავს წარმოდგენდა მუდმივი შენობის აგება. წარმოდგენები პირველად იმართებოდა საოჯახო დარბაზებში, ზაფხულობით კი — სკოლის ეზოში, დედანაშვილების ეზოში, ლაახვის გადამა მდელიოზე, როტონდაში, ვანო მაჩაბელის სახლში და სხვაგან. სათეატრო შენობას აგების საქითხი გადამწდა მაშინ, როდესაც 1905 წლის ივლისში ზალიყო მაჩაბლისა და კონსტანტინე ნოდის მეთაურობით სცენისმოყვარულთა „ამხანაგობა“ დაარსდა, „ამხანაგობამ“ განიზრახა აშენებინა საქუთარი სახლი, სადაც დაარსდებოდა უფასო სამკითხველოც. 1905 წლის იუნიერსში 19 აგვისტოს ნომერში გვიხსულობთ, რომ „ამხანაგობის“ და სამკითხველოს წესდება უკვე შემუშავებული აქვთ, რომელსაც ახლო მომავალში მოაგრობას დასამტკიცებლად წარუდგენენ“. 1910 წლის „ამხანაგობის“ ინიციატივით მართლაც აშენდა კლუბი ლიახვის პირას „მდელიოზე“. პრექტის ავტორი იყო ბაქოს ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი, შემდეგში საქამოდ ცნობილი სცენისმოყვარე და დასის ხელმძღვანელი აბგარ ტერ-სტეფანოვი.

კლუბის აშენებამ კიდევ უფრო წინ წასწრა ქართული წარმოდგენების მართვის საქმე. ამიერიდან სპექტაკლები უფრო მაღალ დიდებრ მხატვრულ დონეზე ტარდებოდა, იხატებოდა სპეციალური დეკორაციები, ეყვრებოდა კოსტუმები და იბეჭდებოდა აფიშები. აი რას მოგვითხრობს ცხინვალის უხუცესი მკვიდრი მარიამ სტეფანეს ასული ოვანოვა 1910 წელს ცხინვალში „დალატის“ დადგმის შესახებ:

„ჯერ კიდევ ახალგაზრდა გოგონამ ცხინვალში პირველად ვახა „დალატი“. დადგმა ეუთვნობდა დავით ჯავახიშვილს. დეკორაციები გაფორმებულ იყო აბგარ ტერ-სტეფანოვის მიერ... ამ წარმოდგენას ესწრებოდნენ პროფესორი ა. ხახანაშვილი და მწერალი დავით კასრაძე, რომელმაც წერილიც დაწერა ამ დადგმის შესახებ და აღნიშნავდა, რომ დიდ სცენაზე იშვიათად გვიხანძას ასეთი თამაში და დეკორაციები. ამ პიესაში მონაწილეობას ეტულებოდნენ ზ. მაჩაბელი (ოთარ-ბეგი), ევატერიანე კასრაძე (ზეინაბი), ანა ცერაძე (რუქია), მამო ზასიშვილი (გაიანე), აბგარ ტერ-სტეფანოვი (ტრეკლე), დავით ელიოზიშვილი (დათო) და სხვები... ამ სპექტაკლების შესახებ უხუცესი სცენისმოყვარე და ცხინვალის ქართული თეატრის ამგდარი აბგარ ტერ-სტეფანოვი თმწერდა: „ჩვენმა კეთილსინდისიერმა შემოქმედებებმა შრომამ და მხატვრულად გაფორმებულმა სპექტაკლებმა შევავარეს საზოგადოებას თეატრი, სუფთა ხელოვნება. მას აღარ აკმაყოფილებდა პატარა პიესები და მოკლე ვოდევილები. მოთხოვდა სერიოზულ, ფართო მასშტაბის სპექტაკლებს, მონუმენტურ გაფორმებას“.

შემდეგ წლებში დასი თანდათან იცვებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარეებით, რაც მტკიცე ნიადაგს ქმნიდა მასობრივი სხვადასხვა ჟანრის პიესების დასადგმელად. ერთ-ერთი ასე-



პირველი





თი სპექტაკლი იყო 1919 წლის ზაფხულში უ. ჰაინიკოვის მუსიკალური კომედია „არშინ მალ-ალანს“, რომელშიც ძირითადად ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ძველ თაობას ეკუთვნოდა მხოლოდ სპექტაკლის დამდგმელი და ასკირის როლის შემსრულებელი სტეფანე ყაზაროვი. ამ კომედიის დადგამა ცხინვალში მიუვილი სენსაცია მოახდინა. ვისაც თავის დღეში წარმოადგენა არ ენახა, ყველა იტყვიდა „არშინ მალ-ალანს“ დასწრებოდა. ექვსსა ადგილიანი საზაფხულო კლუბი ყოველთვის ხალხით იყო სავსე. ამ სპექტაკლმა შეეყარა ებრაელთა საზოგადოების თეატრი და შემდგა მისი მუდმივი მაყურებელი შეიქმნა. „არშინ მალ-ალანს“ დადგმის განხორციელებაში უდიდესი როლი ითამაშეს ძმებმა სოლომონ და ლევან ხახანოვებმა, რომელთა სიმეზიანე ორკესტრის თანხლებით მიმდინარეობდა სპექტაკლი.

ამ წარმოდგენებში წამყვან როლს ახალგაზრდობა ასრულებდა. ისინი თავიანთი თამაშის ოქტატობით და საიხლოსაყენ მიზანსწრაფვით ყოველთვის წინ უსწრებდნენ ძველ თაობას. მართალია, მათ შორის განხეთქილება არ მომხდარა და ახალგაზრდები ყოველთვის პატივისცემით ეკუთრობოდნენ თავიანთ უფროს ამხანაგებს, მაგრამ ხდებოდა ხოლმე ისიც, რომ ძველ თაობის წარმომადგენელი ცალკე მართოდნენ სპექტაკლებს და თავიანთ საყვარელ პიესებს თამაშობდნენ; ახალგაზრდებს რეჟისორობდა დასის კულუბზე ნიჭიერი წარმომადგენელი გრიგოლ მეტურხეთი, რომელმაც ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მოსკოვში მიიღო თეატრალური სარეჟისორო ვანათლება და ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელმძღვანელობდა ცხინვალის ქართულ დასს. მუშაობდა აგრეთვე ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართული დასის რეჟისორად, ხოლო 1944 წლიდან სციოცხლის უკანასკნელ დღემდე, ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა ლენინგრის კულტურის ხალხთან არსებულ დრამატულ დასს.

1927 წელს, ტრიფონის არხის მშენებლობასთან დაკავშირებით, დანგრეულ იქნა საზაფხულო კლუბის შენობა. ქართულმა დრამატულმა დასმა უზუტუტ სცენისმოყვარეთა ა. ტერ-სტეფანოვის, სტ. ტერ-სტეფანოვის, ნიკ. ელი ი. შიშოვისა და მათივე ასანიძის მონაწილეობით უკანასკნელად გაართვა სპექტაკლი და წარმოადგინა იმამბაღის გადმოკეთებული კომედია „ადოკატი მელაძე“ და „სოფლის ფერშალი“, რის შემდეგ მათი მუშაობა დროებით შეჩერდა. სამაგიეროდ ქალაქში შეიქმნა სხვადასხვა ორამატული წრეები, რომლებიც აერთიანებდა ნიჭიერ სცენისმოყვარე ახალგაზრდობას. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო დრამატულ კოლექტივად ითვლებოდა პროფსაბჭოს კლუბთან აჯანებული დრამატული დასი გრ. მეტურხეთის ხელმძღვანელობით. დასში შედიოდნენ ნიჭიერი სცენისმოყვარენი: ნადია და მარო ცერაძეები, ეკ. აღასაშვილი, ლუბა ასანიძე, მარო შახზარუნია, ნინო თედიაშვილი, ელენე ბეციკაძე, ვახტანგ ქურთიშვილი, თენგიზ ანანიაშვილი, გიორგი და ვახტანგ საძაგლოვილები, ირალი ცხოვრებოვი, ირ. ხიზანიშვილი, საშა ბერუშვილი და სხვები. ამ დასმა მაყურებელს აჩვენა საუკეთესო დამდგმები: „ქრისტინე“, „№ 21 ჯგირი“, „სულელი“, „მამა უბედური“, „გამფლანგველები“, „არშინ მალ-ალანს“, „მამტი-ობალი“, „ლეილი-მაჩუნე“ და სხვები. აღნიშნულმა დასმა იარსება 1930 წლამდე და თავისი ნაყოფიერი მუშაობის ღრმა კვალი დატოვა.

1928 წელს შეიქმნა პირველი მუშათა დრამატული დასი სამხრეთ ოსეთის „სარეწარმოებელი შირთან“, რომელსაც პირველად ხელმძღვანელობდა მეჩქიქე გიგო დევიტი, შემდეგ მეთექვსმე მისა ასანიძე და ბოლოს ამ წრელობის ავტორი. გიგო დევიტი თბილისში ჰქონდა მიღებული პრაქტიკა სასცენო ხელოვნებაში, სადაც ის მონაწილეობდა სიმხურ სპექტაკლებშიც ამოხარახინის ხელმძღვანელობით. ამ დასმა ხუთი წლის არსებობის მანძილზე ბევრი კარგი სპექტაკლი წარმოადგინა და მაყურებელში სათანადო ავტორიტეტი მოიპოვა. დასის რეპერტუარში შედიოდა: გ. ერისთავის „ძუწი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და „ელენორა“, ილორცის „ომში ომი“, ს. ერთაშვილის „რევოლუციის ნაბერწყალი“, აჯანყებულის სული“, ხეთილის „საცილოც მოიგო“, გ. ბუხნიკაშვილის „2500“, „ომი“, „კომისარის მოსკოვიდან“, „შეშინებული ანთიმოზი“, გ. ვუნიას „იარია მონასტერი“, „დედის ერთა“ და სხვა მრავალი. სარეწარმო კავშირის დასთან ერთად შეიქმნა მუშათა პირველი მომღერალთა გუნდი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა ქალაქსა და ოლქის სხვა ფელებში. ამენდა რა ცხინვალში თეატრის ახალი შენობა, 1929 წლის 7 ნოემბერს სახეიმო გახსნაზე მხატვრული განყოფილება ჩატარდა „სარეწარმო კავშირის“ მუშათა მხატვრული კოლექტივის მონაწილეობით. დაიდაცა ხეთილის „საცილოც მოიგო“ და ერთაშვილის „რევოლუციის ნაბერწყალი“. აღნიშნულმა კოლექტივმა დიდი როლი ითამაშა. იგი ქალაქსა და ოლქის სოფლებში მართავდა საავტორიო დადგმებს და ატარებდა კონცერტებს, რითაც ხელს უწყობდა მოსახლეობას პარტიის პოლიტიკის ირგვლივ დარაზმვის საქმეში. დაუვიწყარია იმ პირობა სახელები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნულ კოლექტივში: ისინი იყვნენ: გიორგი, გიგო, გიგულა და ვასილ კახიკაძეები, არჩილ შერაზდიშვილი, ლენტო ვავნიკი, მარო ცერაძე, ევგენია საძაგლოშვილი, ალექსანდრა (საშა) ბუხნიკაშვილი, ნატალია თიბოლო, იულია ასანიძე, სონია მეტრეველი, თამარ ბასაშვილი, მანო ნალბაღოვა, თამარ და ანეტა დასათმეოლები და სხვები.

ცხინვალის ქართული თეატრის ისტორიაში აღსანიშნავია ერთი მებრძოლ მნიშვნელოვანი მოვლენა, სპექტაკლები იმართებოდა უმთავრესად საქველმოქმედო მიზნით. თითქმის არ მოიპოვება არც ერთი ძველი რევენუა, რომელიც აღნიშნული არ იყოს წარმოდგენის შემოსავლს საქველმოქმედო დანიშნულება. ისინი იმართებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, სკოლების, ხიდევის მუშენლობის, ღარიბი სტუდენტების და მოსწავლეების, ხანძრით და სხვა სტიქიური მოვლენებით დაზარალებულთა სასარგებლოდ. ეს შესანიშნავი თანხონობა კიდევ უფრო აახლოებდა მაყურებელს თეატრთან.

ყველა ზემოდ აღნიშნულმა ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ ცხინვალში დაარსებულიყო ქართული პროფესიული თეატრი. 1934 წელს ჯერ საზოგადოებრივ-სამეურნეო საწყისებზე, ხოლო შემდეგ — 1937 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტზე შეიქმნა პროფესიული თეატრი. დიდა ცხინვალის თეატრის დამსახურება ხალხის წინაშე, დღეს ქართული და ოსური კოლექტივები მებრძო ნაყოფიერი მუშაობას ეწევიან მასების იდეური აღზრდისათვის. ისინი დიდ სულიერ საზრდოს აწვდიან თანამედროვე მაყურებელს.

აქანი იუზილუაქი

აქაქი ხორავა 75 წლისაა

საბჭოთა სცენის დიდოსტატსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, მრავალგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ხორავას 29 აპრილს დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავი შეუსრულდა. აკაკი ხორავას დამსახურება ქართული თეატრის წინაშე მეტად დიდია. იგი ერთი პირველთაგანია იმათ შორის, ვინც ეროვნული აქტიორული კულტურა ახალ სიმაღლეზე აიყვანა და ქართული სცენის დიდება სამშობლოს ფარგლებს გარეთ შორს გაიტანა.

აკაკი ხორავას სახელი საბჭოთა თეატრის ისტორიაში ამაყად ჟღერს, იგი დამსახურებულად უდვას გვერდით საბჭოთა სამსახიობო სკოლის საყოველთაოდ აღიარებულ ბუმბერაზებს.

აკაკი ხორავას მხატვრულმა ნიჭმა ჩვენს დროში სწრაფად გაშალა თავისი მძლავრი ფრთები. მის მიერ თეატრსა და კინოში შექმნილმა ღრმად რეალისტურმა, უადრესად თავისთავადმა ჰეროიკულმა, ფსიქოლოგიურად მძაფრმა ღრმანტუქულმა და ტრაგიკულმა სახეებმა იმთავითვე ყველას აღიარება და მაყურებლის გულწრფელი უსაზღვრო სიყვარული დაიწმინდა. მან ქართული, რუსული და ევროპული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის მრავალი პირველხარისხიანი როლი განასახიერა და მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი, ღრმად გააზრებული, მხატვრულად დახვეწილი, მონუმენტურად სრულყოფილი და განუმეორებელი სახეები შექმნა. მის ბერსენევსა და ანზორს, კარლ მოორსა და პლატონ კრეჩეტს, არსენასა და გიორგი სააკაძეს, ივანე მრისხანესა და გენერალ მურავიოვს, ოტელოსა და ოიდიპოს მეფეს... დავიწყება არ უწერიათ, ისინი

მუდამ დამშვენებენ ქართული თეატრის ისტორიის თავფურცლებს.

აკაკი ხორავასა და მისი თაობის გამოჩენილ აქტიორთა სახელებთან განუსყრელად არის დაკავშირებული რუსთაველის თეატრის უმაგალითო აღმავლობის ერთი დიდი პერიოდი, როცა მარჯანიშვილისა და ახმეტელის ხელმძღვანელობითა და მათი შემოქმედებითი ტრადიციებისადმი ერთგულებით დაუღალავად იღვწოდნენ და ბრწყინვალე ქმნილებებით ამდიდრებდნენ ეროვნული თეატრალური ხელოვნების საუნჯეს.

აკაკი ხორავა გამოირჩევა თავისი მეზნებარე პრაქტიკული მოღვაწეობითაც. მან დიდი ამაგი დასდო თბილისის თეატრალური ინსტიტუტისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნა-განმტკიცების საქმეს, იგი მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა მშვიდობის რესპუბლიკურ კომიტეტს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მშვიდობისათვის მებრძოლთა საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. დღესაც ძალასა და უნარს არ იშურებს თეატრის ახალი კადრების აღზრდისა და დაწინაურებისათვის, ინტერესით ადევნებს თვალყურს საბჭოთა ხალხის მჩქეფარე ცხოვრებას და გულწრფელად ახარებს ყველას — ახალგაზრდისა თუ ხანდაზმულის — შემოქმედებითი წარმატება.

„თეატრალური მოამბის“ რედაქცია სულითა და გულით მიესალმება ჩვენი სარედაქციო კოლეგიის უცვლელ წევრს, ხალხის საამაყო ხელოვანს, ულოცავს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

„თეატრალური მოამბის“ რედაქცია



მხატვარი და პედაგოგი

სიმონ ნაციაშვილი

ამასწინათ ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობამ აღნიშნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფესორ აპოლონ ქუთათელაძის დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი.

ა. ქუთათელაძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში, ასევე დიდი მისი წვლილი ქართველ მხატვართა ახალი თაობის გამოზრდისა და შემოქმედებითი დავაუკაცების საქმეში. მის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა ფერწერის არაერთი სასახლო გამარჯვება.

აპოლონ ქუთათელაძის შემოქმედება ნათელი ფურცელია ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიისა. იგი არის თვითმყოფადი და შთაგონებული მომღერალი საქართველოსი. მის საუკეთესო ტილოებზე აღბეჭდილია ამაღლებებელი და პოეტური სახეები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გამოჩენილი შოღვაწეებისა, განახლებული ცხოვრების რომანტიკა. ამ ნამუშევრებში ა. ქუთათელაძემ მიაღწია გამოსახვის ლაკონურობასა და ემოციურ შთამბეჭდაობას. კომპოზიციური სინათლე და უბრალოება, იდეური მიზანსწრაფულობა — იხილავს ახასიათებს ამ მხატვრის ქმნილებებს.

ა. ქუთათელაძეს, როგორც მხატვარს, იტაცებს ბატალური, პორტრეტული და პეიზაჟური ელემენტები. მის შემოქმედებითს ინტერესს უმთავრესად თანამედროვეობის თემები განსაზღვრავენ. ამ თემების გამოსახვის ახალ-ახალ საშუალებათა ძიებამ ხელი შეუწყო მხატვრის დაოსტატებასა და დიდ შემოქმედებითს წარმატებებს. იგი სავსებით დამსახურებულად დგას მოწინავე საბჭოთა მხატვრების რიგებში. ბევრ მის ნაწარმოებს შეხედებით მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მუზეუმების მუდმივ ექსპოზიციებში. აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია, რაც პროფ. ა. ქუთათელაძე სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო თუ რესპუბლიკურ გამოფენებში. ამ გამოფენებზე მისი ნამუშევრები მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებენ.

სამი ათეული წელია, რაც თავის მიღიარ შემოქმედებით გამოდილივას ა. ქუთათელაძე გატაცებით უზიარებს ახალგაზრდობას, მის თვალწინ, მისი უშუალო მონაწილეობით და

ხელმძღვანელობით აღიზარდა მხატვართა მრავალი ახალი თაობა. ამ ახალი თაობებიდან ბევრი უკვე კარგადაა ცნობილი არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. პროფესორმა ა. ქუთათელაძემ დამტკიცა, რომ ჩინებული მხატვარი-პედაგოგია. მას უნარი შესწევს ზუსტად განსჯერტოს და განსაზღვროს თავის აღსაზრდელთა მისწრაფებანი და პოეტური შესაძლებლობანი და სწორი მიმართულება მისცეს ნიჭს. ამიტომაცაა, რომ პროფესორი ა. ქუთათელაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტებს შორის.

ა. ქუთათელაძე წლების განმავლობაში მუშაობდა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში, მხატვრულად აფორმებდა საბავშვო ლიტერატურას, იყო სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და სსრკ ხალხთა მუზეუმის მთავარი მხატვარი. 1930-40 წლებში პარტიული და საბჭოთა ორგანოების დავალებით მან შექმნა მთელი ციკლი ფერწერული ტილოებისა, რომლებზეც ასახული იყო სამოქალაქო ომის თემატიკა. ა. ქუთათელაძის კალამს ეკუთვნის ლენინის პარტიის ბრძოლის ამსახველი მრავალი ტილო. ამ ტილოებს შეხედებით ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, რევოლუციის ცენტრალურ მუზეუმში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში, სსრკ ხალხთა და აღმოსავლეთ ხალხთა მუზეუმებში.

უბილარი მხატვრის აკვარელური, გრაფიკული, ფერწერული ხასიათის ნაწარმოებები გამოირჩევიან კომპოზიციური სინათლითა და სისრულით, ჩანაფერის რელიეფური და კოლორიტული წარმოსახვით. ეს ტილოები კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ მაყურებელზე, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ მას.

მხატვრის ნაწარმოებები: „ლენინი ფინეთის სადგურში“, „1905 წელი საქართველოში“, „წითელი დროშა“, „დახვრეტა ალექსანდროვის ბაღში“, „შაპახასის შემოსევა“, „პირველი კომუნა“, „ბატონამური წყობილება“, „რადიო სვანეთის სოფელში“, „ახალ სვანეთში“, „თურქების შემოსევა დასავლეთ საქართველოში“, „საპირველმისო დემონსტრაციის დარბევა 1905 წელს პეტროვკაში“ და მრავალი სხვა სამართ-



ლიანდ შვეიდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდში.

ჩვენს თანამედროვეობას, მის ადამიანთა რომანტიკულ ყოფას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აბ. ქუთათელაძის შემოქმედებაში. იგი განსაკუთრებული სიტბოთი და ლირიზმით წარმოგვისახავს ქართული სოფლის ადამიანებს. მხატვრის ეს მიმართულება კარგად აისახა ისეთ ტილოებზე როგორცაა „მქოსველი ქალი“, „ჩაის პლანტაციებში“, „სასიხარულო მოსავალი“, „პურის ალება“ და „ყურძნის კრეფა“.

თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში საქართველოს ისტორიულ წარსულს. ამ მხრივ საინტერესოა მისი „თამარ მეფის ლაშქრობა“. ეს ტილო მაყურებლის ყურადღებას იპყრობს კომპოზიციური სრულყოფით. მასში მხატვარმა ოსტატურად გახსნა თამარ მეფის, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის სახე.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე კომპოზიციური სრულმნილობათა და ფართო გამით, ჩინებული ინტერპრეტაციით შექმნილი ნაწარმოებები — „გიორგი სააკაძე მარაბდის ომში“, „შაპ-ბაბასის შემოსევა კახეთში“, „ნასაკირალის ბრძოლა“ და „მუშათა დემონსტრაცია ბათუმის ციხესთან, 1902 წელს“.

აბ. ქუთათელაძის დიდი შემოქმედებითი მატება მოუტანეს ფერწერულმა ტილოებმა: „სერგო ორჯონიძის პარტიზანები მიჰყავს ბრძოლის ველზე“, „არალეგალური კრება ბათუმში, 1902 წელს“. ეს ნაწარმოებები ამშვენებენ მოსკოვის სსრკ ხალხთა მუზეუმის ექსპოზიციას.

მხატვრის ყალამმა ჩინებულად წარმოგვისახა ქართველ მხედართმთავართა — გიორგი სააკაძისა და გენერალი ლესელიძის სახეები.

აბ. ქუთათელაძე მუდამ განუხრვლად იბრძოდა და იბრძვის ქართველ მხატვართა შემოქმედებითი კოლექტივის გაძლიერებისათვის, მისი პროფესიული დონისა და ოსტატობის ამაღლებისათვის. იგი 10 წელზე მეტია, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიას ხელმძღვანელობს. ამ აკადემიაში კი ამჟამად 800 სტუდენტი, 16 კათედრა და 200 პედაგოგი, დოცენტი და პროფესორია. აპოლონ ქუთათელაძე არჩეულია საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის აბ. ქუთათელაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით და „საპატიო ნიშნის ორდენით“.

ქო მ ა მ ო ზ ი მ ო რ ი — პ ი ა ნ ი ს ზ ი ა ლ ა ბ ა ჩ ა ჩ ი ლ ა ძ ე

მარიამ ნიკოლოზის ასული მაჭავარიანის შემოქმედებითი გზა 1910 წლიდან იწყება. ეს გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ბულბუთან — ვანო სარაჯიშვილთან.

მაშინ მარო ერევანში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად, სადაც მამამისი გიმნაზიის დირექტორად მუშაობდა. მაროს დედამ, საქველმოქმედო მიზნით, დიდი კონცერტი გამართა და ამ კონცერტზე იტალიიდან ახლად დაბრუნებული ვანო სარაჯიშვილი მიიწვია.

მაროს ოჯახში ყველა შემოქმედებითი ცეცხლით იწვოდა: მამას — შესანიშნავი ბარიტონი ჰქონდა, დედას — მეცო-სოპრანო და ამავე დროს უკრავდა ფორტეპიანოზეც. აგრეთვე მღეროდა მაროს უმცროსი და — ვარვარა, ხოლო მეორე და — ტერეზა, ვიოლიონოზე უკრავდა. პატარა ძმა — დიმიტრი ხომ, ყველას ბავშვობიდანვე ხიბლავდა თავისი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნიჭით. რაც შეეხება თვით მაროს, იგი ისეთი გრძნობითა და გატაცებით უკრავდა ფორტეპიანოზე, რომ ვანო სარაჯიშვილიც კი გააოცდა ფორტეპიანოს გაზეთულმა აკომპანიმენტმა და კატეგორიულად განაცხადა: კონცერტზე, უსათუოდ მარომ უნდა დამიკრასო!

ამ კონცერტზე სარაჯიშვილმა ერევანში პირველად შეასრულა „გენაცავლე“ და ამ სიმღერის პირველი აკომპანიტორიც 15 წლის გოგონა, მარიამ მაჭავარიანი იყო. მაშინ, ვანომ კიდევ შეასრულა ერთი სიმღერა: „გარიგრაჟზე“, მერე მაროს ხელი მოკლდა და ტაშის გრიანში მასურებელს წარუდგინა.

1916 წელს მარიამ მაჭავარიანმა დაამთავრა თბილისის მუსიკალური სასწავლებელი და 1917 წლამდე ბაქოში ცხოვრობდა ქმართან ერთად, სადაც ისევ შეხვდა საგასტროლოდ ჩასულ სარაჯიშვილს და მისი აკომპანიმენტით ვანომ შეასრულა ნადირის არია „მარგალიტის მძიებელიდან“, იმღერა „გენაცავლე“ და „გარიგრაჟზე“, ანუ — „მატიწანათა“ — იტალიურად.

1919 წელს თბილისში გადმოდის და ეწყობა სახელმწიფო კონსერვატორიაში. სწავლობს უფროს პედაგოგთან — ნინო ფედოტოვასთან. კონსერვატორია დაამთავრა 1924 წელს და 1925 წელს სამუშაოდ გაანაწილეს კოკორში, სადაც ნიკიერ ბავშვებისაგან გუნდი შეადგინა. ამავე დროს მუსიკასაც ასწავლიდა. კოკორში დარჩა 1927 წლამდე. 27—29 წლებში მუშაობდა მგებდავთა კლუბში კონცერტმეისტერად



ქართულ და რუსულ წრეებში. აქვე აწყობდა კონცერტებს ოპერის არტისტებთან ერთად.

ამავე წელს მუშაობას იწყებს ქართულ ესტრადაზე მ. ჭიათურელისა და გ. ბუნხიაშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო 1932-33 წლებში ჯერ მუშაობდა, საქართველოს „გზა-მშენის“ ესტრადის თეატრში მუსიკალური განყოფილების გამგედ და კომპოზიტორად. შემდეგ გადავიდა ქიათურელის სახელმწიფო თეატრში კონცერტმეისტრად და აკომპანიატორად. მაშინ, ამ თეატრის ორკესტრი არ ყავდა და სპექტაკლები მხოლოდ მარის აკომპანიმენტით მიდიოდა— მისივე მუსიკით.

რამდენიმე თვის მუშაობდა მილიციის კლუბში უშუბიტაშვილის რეჟისორობით, ხოლო 1935 წელს მარიამ ნიკოლოზის ასულმა უფრო ფართე ასპარეზი აირჩია სამუშაოდ. თავის კოლექციებთან: რიადნოვასთან, პუშკაროვასთან და გაბაშვილთან ერთად საზოგადოებრივ საწყისებზე დააარსეს მესამე მუსიკალური სკოლა, რომელიც რიადნოვას სახლში იყო მოთავსებული. მოწაყლეებს ამარაგებდნენ საკუთარი ნოტებით და სასწავლო ნივთებით. მაშინ ამ სკოლას ერქვა „თბილისის პირველი სახელმწიფო მუსიკალური სტუდია“. ამ სკოლაში მარიამ მაჭავარიანი მუშაობდა 26 წლის მანძილზე. აქ მიიღო მან რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ამ სკოლასთან დაეკავშირებულა ერთი მეტად საკულისხმო ამბავიც.

ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. მარიამ ნიკოლოზის ასული მოწაყეს ამეცადინებდა ფორთოხიანოზე. კარი ფრთხილად გაიღო და მოკრალებით მოახსენეს: „თქვენ გკითხულობენო!“ პედაგოგმა მოწაყეს ბოდიში მოუხადა, სასწრაფოდ გაიბრინა დერეფანი და კიბესთან შეჩერდა. ძირს, უწვევრი კაცი იდგა და მაროს ზავშივით უღიმოდა. ქალი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, არსად არ ენახა ეს კაცი, რომელიც მას სწავლად მიუახლოვდა, ხელზე მოთხვია და უთხრა: „მე ბევრჯერ მომისმენია თქვენი რომანსები და მოხიბლული ვარ მათი ემოციურობით. ამიტომ მოვედი თხოვნით, რომ ჩემი დეკადისათვის დამიწეროთ მუსიკა „მერჩიუ“.

მერის ხსენებაზე, მარო უცებ მოვიდა გონს: დემეტრო ჩემო, ეს ხომ გალაქტიონია, დიდი გალაქტიონი ტაბიძე! როგორ ვერ მიხვდა, როგორ ვერ იცნო იგი?! როგორ არა, აუცილებლად დაწერს მუსიკას, თუ კი ეს, თქვენი სურვილია, თქვენ მოგწონებათ, ბატონო გალაქტიონ!

ტაბიძის დეკადაზე შესრულებულმა რომანსმა „გახსოვს, მერი?“ რომელსაც ქართველ მომღერალ ქალთა ერთ-ერთი ბუღბუღი, ეკა-

ტერინე სოხაძე მღეროდა, მოლოდინს განსაკუთრებდა.

1962 წელს მარიამმა მუშაობა დაიწყო კონცერტმეისტრად კონსერვატორიაში, ხოლო 1964 წლიდან დღემდე მუშაობს კონცერტმეისტრად და პედაგოგად რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში.

მარიამ მაჭავარიანის პირველი მუსიკალური ნაწარმოებ იყო ლერმონტოვის „რატომ?“ რომელსაც პეტერ აშირანაშვილი და მიხეილ ყვარელაშვილი ასრულებდნენ. ამის შემდეგ ქართულ ესტრადაზე წარმატებით ჟღერდა მარიამ მაჭავარიანის რომანსები.

გარდა ამისა, მარიამ მაჭავარიანი თეატრებშიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, როგორც კომპოზიტორი და პიანისტი. თელავის თეატრში მან გააფორმა „სურამის ციხე“, ველისციხეში „ვერავობა და სიყვარული“, ქიათურაში „მუნჯები ალაპარაკდნენ“. ხოლო 30—40-იან წლებში ქართული ესტრადის ყველა მუსიკა თითქმის სულ მარიამ მაჭავარიანისა იყო. ვისაც კი გოგი აბაშიძის, რუზო მალალაშვილის, ბაბო ჩერბელაშვილის, ნინო თულაშვილის, ყორა შანხაზაროვის, ბაგრატ კობერიძის, საშა მეწულიშვილის და სხვათა სიმღერები მოუხმენია, მას გულით შეუყვარებია თავმდაბალი კომპოზიტორის ნამდვილად ხალხური, უაღრესად მშობლიური ჰანგები, ხოლო მარის მიერ დაწერილი „გამარჯობა, ჩემო ბები“, რომელსაც შეუდარებლად ასრულებდა ესტრადის ცნობილი მსახიობი მარგო ინგლო, ახლაც ახსოვს მაშინდელ მაყურებელს.

ძველი ცირკიც ხომ სულ მარიამ მაჭავარიანის მუსიკით სუნთქავდა, მისივე ვაჟკაცური აკომპანიმენტით.

1945 წელს, გრიბოედოვის იუბილეზე ნინო ვალაყა შეასრულა მარიამ მაჭავარიანის რომანსი „ოხ, ნუთუ არასდროს?“ გრიბოედოვის ტექსტზე დაწერილი, ხოლო შემდეგში გრიბოედოვის სიტყვები „ფრთების ფარფატი“ და მისივე ვალსი შეაერთა, შექმნა ახალი კომპოზიცია, რომელიც ისევე ვალაყა შესარულა და ამ სიმღერამ დიდი წარმატება ჰპოვა. ეს რომანსი შევიდა ბათუ კრავიშვილის და ედიშერ მირიანაშვილის მუდმივ რეპერტუარში.

ამჟამად, მარიამ მაჭავარიანი თეატრალური ინსტიტუტისათვის წერს შრომას „მისი დამუშავება და ვოკალიზმები ბარიტონისათვის, მალალი და საშუალო ხმებისათვის“.

მარიამს 75 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ამისა საოცრად ახალგაზრდული ენერჯით არის აღსავსე და გატაცებით მოღვაწეობს. ვუსურვოთ ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლე.

საქართველოს ბიბლიოთეკა

ნ ი კ ო შ ი ჯ კ ა ჯ შ ვ ი ჯ ლ ო :

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

დავით შულღიაშვილი

გიორგი ერისთავისა და ზურაბ ანტონოვის შემდეგ ჩვენი დიდხანს არა გვეყოლია წმიდა წყლის დრამატურგი, მხოლოდ ოთხმოციან წლებში გაიღწეა ავქსენტი (კაგარლის ხასხასა ნიჭმა და ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი დრამატურგიისათვის. მაგრამ მის შემდეგ მაინც დიდმა ხანმა განვლო, სანამ ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ეს ხარვეზი შეივსებოდა. ეს კი მოხდა ამ საუკუნის დასაწყისს. აი ამ დროს გამოჩნდა ნიკოა შიუქაშვილი, — დასქენს ცნობილი მწერალი შალვა დადიანი ნ. შიუქაშვილის პიესების წიგნის წინასიტყვაობაში.

ნიკოა შიუქაშვილი იყო არა მარტო შესანიშნავი დრამატურგი, რომლის პიესებმა სცენაზე დადგმისთანავე ყურადღება მიიპყრო, საყოველთაო მოწონება და აღიარება დაიმსახურა, — იგი იყო, ამავე დროს, ნიჭიერი ბელეტრისტი და მოძალო ითობის აღმწრდელი პედაგოგი. დრამატულ სტუდიაში და სახელმწიფო კონსერვატორიაში წლების მანძილზე ასწავლიდა და მრავალი თაობა აღიზარდა მის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებზე: „ლიქცია და მხატვრული მეტყველება“.

ნიკოლოზ ივანეს ძე შიუქაშვილი დაიბადა 1870 წლის 17 მაისს თელავის მაზრის სოფ. ზემო ხოდაშენში.

მშობლებმა 8 წლის ნიკოა მიაბარეს თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1885 წელს. 15 წლის ნიკოა მამამისმა თბილისში ჩამოიყვანა სწავლის გასაგრძელებლად და იმავე წლის სექტემბერში მიანდობა სასულიერო სემინარიაში, ხოლო საცხოვრებლად მოაწყო თავის ნაცნობ ბებია ქალბატონ ბარბარე ბაგიროვასთან, რომელთანაც ხშირად იკრებებოდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა (ვალერიან გუნია, ვანო მაკუავარიანი, ნიკოლოზ ასათიანი, ანტონოვსკიაი და სხვები). პატარა ნიკოა ძალაუფლებურად ჩაება მათ წრეში. ეს ის დრო იყო, როცა მეფის ბუროკრატიულმა მოხელემ — შავრაშელმა რეპტორმა ჩუღდევიმ სემინარიაში შემოიღო იეზუისტური წესები და მისწავლეთა სულისშემზრთავი ატმოსფერო გაემჟღავნა. ნიკოა შიუქაშვილის ბუნება ვერ შეეგუა ამ მაკაცრ რეჟიმს და 1886 წელს მაისის ბოლოს თავი გაანება თბილისის სასულიერო სემინარიას.

ამის შემდეგ ნ. შიუქაშვილი შედის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, სადაც შედარე-

ბით უკეთესი პირობები იყო სწავლისა და აღზარდისათვის.

სწავლის პერიოდში ნ. შიუქაშვილი გატაცებით დაეწეა მშობლიურ და რუსულ ლიტერატურას. თითონაც წერდა პატარა-პატარა მოთხრობებს, მინიატურებსა და ნოველებს, რომლებიც თავის საერთო რვეულში შექმონდა და საიდუმლოდ, სათუთად ინახავდა თავისი დიასახლისის სახლში. ერთხელ, როდესაც ნიკოა შიუქაშვილის წიგნები და სასწავლო ნივთები დაელოგებინა დიასახლისს, შემთხვევით ეს ხელნაწერი რვეულიც ენახა და გადაეთვალეობინა, — ისე მოსწონებოდა მისი ნაწერები, რომ ნიკოას დაუეთხვავდ ეჩვენებინა ვალერიან გუნიასათვის, რომელსაც იგი ჟურ. „თეატრში“ დაუბეჭდავს¹. ასეთი იყო ნ. შიუქაშვილის სამწერლო დებიუტი. ამ დღიდან მას კალამი ხელიდან აღარ დაუვდია, სისტემატურად მონაწილეობდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჩვენი ქვეყნის საჭირობოტო საკითხებზე იგი ხშირად აქვეყნებდა საინტერესო კორესპონდენციებს.

ნიკოა შიუქაშვილი მოწაფეობის დროსვე გაცნობილ ქართულ თეატრსაც. ვალერიან გუნიას შემწეობით იგი მუდმივად იტუმარი იყო ქართულ იმპროვიზაციებს.

სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1892 წლის სექტემბრიდან ნ. შიუქაშვილი დანიშნულ იქნა სახალხო სკოლის მასწავლებლად ჯერ სოფ. საცხენისში, ხოლო შემდეგ, 1894 წელს გადაყვანილ იქნა ქ. ახალციხეში დაწესებით სკოლის მასწავლებლად.

ნ. შიუქაშვილი ახალციხეში ჩასვლისთანავე დაუახლოვდა ადგილობრივ ინტელიგენციას, სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეთა წრეს. მისი ინიციატივით ეწყობოდა წარმოდგენები და შემოსულ თანხებს საქველმოქმედო საქმეს ახმარდა, რითაც ხალხში დიდი ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა. მან სწორედ ახალციხეში შედგაგოვითი მიღწეაწიების პერიოდში დაწერა თვისი პირველი დრამატული თხზულება, — „გამხმარი ფოთოლი“.

ნ. შიუქაშვილის პირველი ცდა დრამატურგიაში წარმატებით დაგვირგვინდა. პიესა 1906

¹ ნ. შიუქაშვილის ეს პატარა მოთხრობა „სურათი სოფლის ცხოვრებიდან“ დაიბეჭდა ხელმოუწერადად, 1887 წ. ჟურნ. „თეატრში“, № 2. (დ. 2.)



წელს ჯერ ახალციხეში დაიდგა, რომელსაც წინააღმდეგობა აღმოაჩინა ხელისუფლებამ და მისი მოწინააღმდეგეები დაიჭრა. შემდეგ კი სხვა ქალაქებსა და დაბებშიც იღვებოდა. მალე გამომხმარებელი ფორმის მიმართ. შიუქაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა: „მეგობრობა“, რომელშიც არაახალციხეში მოწინააღმდეგეები დაიხსახურა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა ნიჭიერი დრამატურგის პიესებს. ყველა აღნიშნავდა, რომ „აგრორი ღრმით იცნობს ცხოვრებას თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეებით“.

მეხუთხედ აღიხსნა, ნ. შიუქაშვილი თავის შემოქმედებას ყოველთვის კრიტიკულად უყურებდა, თავის ნამოყვარებს, ვიდრე ფართო საზოგადოებრივ არენაზე გაიტანდა, ჯერ ახლო მეგობრებს ვაიცნობდა, მათ შენიშვნებს მოისმენდა და თუ საჭიროდ დაინახავდა, შესწორებები შექმნიდა.

საინტერესოა ამ მხრივ ნ. შიუქაშვილის პირადი წერილები, რომლებიც დაცულია ლიტერატურულ მუზეუმში. იგი თავის შემოხარის ალექსანდრე ყიფშიძეს (ღვთისმშობლის ხატის სწერის და ეკითხება თავის შემოქმედების სტილის, სიუჟეტის, ენის სიწმინდის, ტიპაჟისა და სხვა საკითხებზე.

როგორც მათ შორის მიმოწერიდან ჩანს, ალ. ყიფშიძის აღფრთოვანებული ყოფილა ნ. შიუქაშვილის როგორც წმინდა ქართული ენით, ისე შემოქმედებითი ნიჭით, თუმცა პიესის ამა თუ იმ ნაწილზე, თუ კი რაიმეს შეამჩნევდა, უთუოდ მიუთითებდა ხოლმე.

მოკვლევით ზოგიერთ ადგენს ნ. შიუქაშვილის წერილიდან:

„გამარჯობა ძმოსა! შენი ვრცელი წერილი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას ვიძღვნი. ერთი მხრით, ასე ძვირია სინდისი მტახვავს, რომ მაგონდება ძვირფასი დრო წაგართვა; მეორე მხრით ის შეგნება მაშინ მომინებდა, რომ დამაზნაურე ურთიერთობა შეუძლებელია დაუთმობოდალ... შენმა ქებამ მე, სწორედ ვითხრა, ძალიან გამახარა. ერთი სიტყვით, მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ენა მისეცე რიგინა შექმნიდა რაღაც შეეხება ხელოვნების საკითხებს, — მე და შენ ცოტა განსხვავებული შეხედულება გვაქვს... მართალია ხარ: ჩემი დრამის მოქმედები პირნი მარტო ქართველები არ არიან და არც მონად ქმნიან ეს, — ცხოვრება და ადამიანი საზოგადოებრივი...“

თუ ჩემს კალამს გამოვადნე რამე, შეიძლება შემდეგ ნამდვილი ქართული ცხოვრებიდან და ისტორიიდან ავიღო მასალა, ჯერ კი ეს მონად არა მქონია... გავათავებ მეორე პიესას... ეს ახალი დრამა („მეგობრობა“). დ. შ. გაგრძელებასავით არის პირველისა („გამომხმარებელი ფორმის“). დ. შ. და უფრო ცოცხლად არის დაწერილი. მე მგონია შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს თუ რიგინად ითამაშეს...

თუ ვალად დამდებ და მოახერხებ ამის („მეგობრობის“). დ. შ.) გადათვლიერებას, გამოგიგზავნი; შენ აზრს მერტყვი და შემდეგ ისე მოგიტყვი, როგორც უკეთესი იქნება...“

შემდეგ წერილში (რომელიც დათარიღებულია 1907 წ. 14 აგვისტოთ) ნ. შიუქაშვილი თავის მატერიალურ გაჭირვებასა და პიესების გამოცემას უკ. ყიფშიძეს სწერს: „გამარჯობა ძმოსა! მივიღე შენი ღია ბარათი, მეტი გალით არ შეგაწუხებ... აი რა რჩევას ვთხოვ, — როგორ დავაბეჭდოო ეს ორი პიესა? პირველიც გადავკვეთე ისე, რომ ეხლა ეს ორი პიესა ერთი მუხრის გაგრძელებას შეადგენს, თუმცა თვითეუ-

ლი მათგანი დამთავრებული პიესა... ისინი რედაქცია მიიღებს თუ არა ფელეტონებად...“

საბუნებრივად ან, თუ მიიღებს პირობით? სწორედ ვითხრა, შეუძლო არ მივცემ, არც საკვალივც: ცხოვრება გაჭირვებულია, ჩემი გამაგრი არ გვეყვინის საცხოვრებლად და კერძო კავკაციონების აღება მიხდება ვალად. ამ ორ პიესას კარგი დრო დავახარჯე და მე რომ უფასოდ ვაძლიო, ბავშვებს ჯეროვანი საზოგადოებრივი მოვალეობა, ან სულ თავი დავაჩნებ ამგვარ მუშაობას... მთელი დღე წიგნებში და ქალაქებში მაქვს ჩაყოფილი ცხოვრობი, თან კავკაციონებსაც ვაძლევ, ისე რომ თავისუფლება სრულებით არა მაქვს. იმოდენა შეძლება რომ მქონდეს, რა დემოკრატიაში ვიყრივარ და სასულიერო გამოცემებში ვიყრივარ ჭარბული ბიუჯეტი პრესისათვის...“

მან დიდი ამაგი დასდო ახალციხეში სახალხო განათლებისა და თეატრალური კულტურის განვითარების საქმეს. გარდა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობისა, სათავეში ჩაუდგა სხვადასხვა კულტურულ საქმიანობას: მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა მუდმივი დასა, მუსიკალური წრე, სტადია წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით, ემბარგოვდა დარბაზი და ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ ნიჭიერ ახალგაზრდებს, უფასოდ აძლევდა მათ სახელმძღვანელო წიგნებსა და სასწავლო ნივთებს; ხშირად ექიმაგებოდა დაბეჩაველებს გლეხთა ცხოვრებას და აკრიტიკებდა ახალციხეში მყოფ ბიუროკრატულ მოხელეებს, რომელთა უკანონო მოქმედებას ნიკო ვერ იტანდა.

ეს იყო მიზნები, რომ 1908 წელს მიიღეს ხელისუფლებამ დასჯის მიზნით ნ. შიუქაშვილი ახალციხიდან ჯერ ახალქალაქში გადაიყვანა და წყევითი სკოლის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ — ზაქათალაში.

ნ. შიუქაშვილი აქაც ჩვეული ენერგიით შეუდგა მუშაობას: ზაქათალის სამაზრო სკოლასთან ჩამოყალიბდა მუსიკალური წრე, შეადგინა მუდმივი დრამატული დასი და განათლების სპეციალური უახგაროდ ემსახურებოდა. ამავე დროს ნაყოფიერი შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა.

სწორედ ზაქათალაში ყოფილისა დაწერა მან სამოქმედებიანი პიესები: „მთის ზღაპარი“, „სულელი“, ოთხმოქმედებიანი დრამა „ციციანათელი“, დრამატული ეტიუდი „მხოლოდ ერთხელ“ და სხვ.

ნიკო შიუქაშვილი თანაუგრძნობდა 1905 წლის რევოლუციას. რევოლუციის დამარცხებას მასში აზრი არ შეუცვლია, იგი კვლავ ინარჩუნებს საბრძოლო პატრიოტულ განწყობილებას. მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო თვალსაზრისი მშვენიერად გამოხატა 1907 წელს დაწერილი პიესა „სულელში“.

1910 წელს ნ. შიუქაშვილი პიესა „სულელი“ წაითხულო იქნა ქართული დრამატული დასი. ლალო მესხიშვილმა პიესა იმდენად მოწონა, რომ აღტკვევით შესთქმნა: „პიესას ვგავ ჩემს საბენეფისოდ და ვთამაშობ სულელის როლს!“ მის აღტკვევას ფრთხილად შეეცდოვა, როდესაც პიესა მეფის ცენზურას წარუდგინეს, მან ყაღალა დაადო და უფლება არ მისცა დადგმისა.

„სულელის“ სცენაზე დადგმა მხოლოდ 1918 წელს განხორციელდა. ამის შესახებ ავტორს ქუთაისიდან აცნობეს: „გოხოთი ჩამოხვიდეთ, ნახოთ „სულელი““.

ნ. შუთკაშვილი ქუთაისში ჩასვლას ასე იგონებს: „პირველად ყოვლისა, ჩასვლისთანავე ქუჩებში ყოველმხრიდან მისმის კუმულეტები: „ლესე პასე“ — ხალხი მღეროდა! წარმოდგენაზე კი აუღიბრობის ასეთი განწყობილება ვნახე: რევოლუციონერი ცეცხლით აგზნებული ხალხი უცებ წამოიშლებოდა ხოლმე — მსახიობები გაჩერდებოდნენ ვიდრე არ შეწყდებოდა აუღიბრობაში გადასული მოქმედება“².

ნ. შუთკაშვილის დაუდგრომელი ბუნება უფრო ფართე ასარჩხს მოითხოვდა. მისი დიდი სურვილი იყო პროფინციდან თბილისში გადმოსულიყო სამოღვაწეოდ, სადაც მეტი გასაქანი მიეცემოდა მის შემოქმედებას. ახლო მეგობარი ივანე გომარათელი სწერდა: „თუ ვინდათ, რომ თქვენმა შემოქმედებამ ფრთა გაშალოს. უნდა ვცადოთ, რომ აქეთ (თბილისში) გადმოხვიდეთ როგორმე. აქაური ცხოვრება გაცილებით მეტ მასალას მისცემს თქვენს ნიჭსა“.

1912 წელს ნ. შუთკაშვილი დანიშნეს ქ. გორის სამოქალაქო სკოლის ინსპექტორად და მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად.

გორში იგი მოღვაწეობდა 1912 წლიდან 1918 წლამდე, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა მუდმივ საცხოვრებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი კითხულობდა ლექციებს დიქციისა და მეტყველების შესახებ თბილისის თეატრალურ სტუდიასა და სახელმწიფო კონსერვატორიაში, ხოლო შემდეგ ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა პედაგოგიურ ინსტიტუტსა და სამხატვრო აკადემიაში. ამავე

² ნ. შუთკაშვილის „სულელი“ პირველად დაიბეჭდა 1921 წელს (სამ მოქმედებად), ხოლო შემდეგ ავტორმა იგი გადააკეთა ხუთ მოქმედებად და შეირ სურათად. დ. შ.

ღროს იწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ნ. შუთკაშვილის კალამს ეკუთვნის ოცდაექვსამდე სხვადასხვა ენარის პიესა, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ციციანთა“ (დრამა, 4 მოქმედებად, 1909 წ.), „როსტევეან“ (ისტორიული დრამა, 5 მოქმედებად, 1914 წ.), „მადლოზა“ (პიესა 4 მოქმედებად, 1918 წ.), „დომბალი“ (კომედია 4 მოქმედებად, 1927 წ.), „გვირგვინი“ (სატირა 4 მოქმედებად, 1926 წ.), „სიცოცხლე“ (კომედია 4 მოქმედებად 1937 წ.), „ახალი ცხოვრებისაკენ“ (პიესა 4 მოქმედებად), „დირექტორი სურმაძე“, „სულელი“, „ამერიკელი ძია“ და სხვ.

საბავშვო პიესებიდან საყურადღებოა მისი „ბეკეკა“ და „ჯამუშე“. მან უკანასკნელად დაწერა პიესა „მზე შინა და მზე გარეთა“, რომელიც გადმოგვეცემს სოციალისტური ცხოვრების წარმტყ სინამდვილეს, სოციალიზმის მზე ანათებს შინაც და გარეთაც და თავდადებული შრომის შედეგად ცხოვრება საამური გამხდარა.

ნიკო შუთკაშვილის დაწერილი აქვს აგრეთვე მოთხრობები, მინიატურები, ესეიზები და ლექსებიც („დედის სურათი“, „სამი სურათი“, „მთვალე“ და სხვ.). მასვე ეკუთვნის ქართულ ენაზე შედგენილი სახელმძღვანელო „დიქცია და მხატვრული მეტყველება“ (1926 წ.).

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ნიკო შუთკაშვილის უნაგარო ღვაწლი და 1932 წელს მას მიანიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მალღიერ ქართველი ხალხი ღირსეულად აღნიშნავს ქართველი დრამატურგის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო შუთკაშვილის დაბადების 100 წლისთავს.

ნ. შუთკაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 14 აგვისტოს. დაკრძალულია ვაჟის სასაფლაოზე, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

თეატრალური ლენინიანა



ვ. ი. ლენინი — რ. აგრაბა
სოხუმის აფხაზური დრამის თეატრის
სპექტაკლი „ნაპერწყლიდან“



ვ. ი. ლენინი — ვ. გალსტიანი.
თბილისის სომხური თეატრის სპექტაკლი
„კრემლის კურანტები“

ე ლ ე ნ ე ლ ო ნ ა უ რ ი

(დაბადების 80 წლისთავის გამო)

დავით ჩხეიძე

ელენე დონაურის სცენით გატაცებას მისი ოჯახის წევრები თანაგრძნობით ხვდებოდნენ. ეს იმ დროს, როცა ჯერ კიდევ ქალის მონაწილეობა სპექტაკლში სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა. რამდენი დაცივნა, კილვა უნდა აეტანათ იმ ქალებს, რომლებიც სპექტაკლებში მონაწილეობის მიღებას ბედავდნენ. ასე მსჯელობდნენ, როგორც წარჩინებულთა წრეებში, ასევე დაბალ ფენებშიც. ელენე დონაურის ოჯახი ასეთ შეხედულებას არ იზიარებდა. მსახიობის დედ-მამა პროგრესიულად აზროვნებდა, ისინი თავისი ქალის განათლებაზე ზრუნავდნენ და მათ მშობლიურ ზრუნვას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ელენე დონაური თეატრალურმა ხელოვნებამ გაიტაცა და თავისი შეგნებული ცხოვრება მთლიანად მოახმარა თეატრალურ ხელოვნების სამსახურს. ელენე დონაური დაიბადა 1890 წელს, გურჯაანის რაიონში, სოფელ ბაკურციხეში, იოსებ ვაჩნაძის ოჯახში. ბავშვობიდანვე სასცენო ხელოვნებით გატაცებულმა საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო დრამატულ კურსებზე ჯერ თბილისში, შემდეგ კი — პეტერბურგში.

ელენე დონაური (ვაჩნაძე) სცენაზე პირველად გამოვიდა 1908 წ. 1920 წლამდე მოღვაწეობდა რუსული თეატრის სცენაზე ქალაქებში: ქ. უმანში, ტაგანროგში, პეტერბურგში, თბილისში. 1920 წელს მუშაობა დაიწყო ახლად შემდგარ ქართულ დრამატულ დასში, რომელსაც შემდგომ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი ეწოდა.

ელენე დონაური 1928 წლიდან მოღვაწეობდა კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ სახელმწიფო თეატრში და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გამოდიოდა სცენაზე. იგი მარჯანიშვილის თეატრის ერთ-ერთ წამყვან მსახიობად ითვლებოდა.

ელენე დონაურს, როგორც რუსულ, ისე ქართულ სცენაზე შესრულებული

აქვს მრავალი საინტერესო როლი. მის მიერ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში შექმნილ სცენიურ სახეთა გალერეაში განსაკუთრებით აღსანიშნავია: ქეთევანი — დ. ერისთავის „სამშობლოში“, ბაბუღია — სანდრო შანიშვილის „ჭერეთის გმირებში“, ხასინტა — ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყაროში“, დედოფალი გერტრუდა „ჰამლეტში“, ოთარაანთ ქვრივი „ჩატეხილ ხიდში“, ქეთევანი — „ნინოშვილის გურიაში“, დესპინე — შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, თამარ — უ. ჩხეიძის „გ. სააკაძეში“. უკანასკნელი მისი როლი იყო ქალბატონი ჰიგინსი ბ. შოუს კომედია „პიგმლიონში“.

ელენე დონაური დაჯილდოებული იყო სცენური მომხიბლაობით, ტემპერამენტით, გარდასახვის უნარით.

ქართულ სცენაზე ფეხის შემოდგმისთანავე მას დააკისრეს ქეთევანის როლი დ. ერისთავის „სამშობლოში“. მას ამ როლის განსახიერებისას დიდი გამარჯვება ხვდა. ახალგაზრდა მსახიობი ქალი თავიდანვე შეიყვარა მაყურებელმა და მას ყოველთვის გულთბილად ხვდებოდა.

დონაურს ახასიათებდა საქმისადმი დიდი სიყვარული, მტკიცე შემოქმედებითი დისციპლინა. იგი პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა და მრავალი ათეული ახალგაზრდა მსახიობს გადასცა თავისი ხანგრძლივი სასცენო ოსტატობის გამოცდილება. ელენე დონაური ცნობილი იყო აგრეთვე როგორც პიესების მთარგმნელი. მას დაწერილი აქვს მოგონებები თავისი მეუღლის — კ. მარჯანიშვილის შესახებ, რაც გამოქვეყნდა 1947 წელს.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს ე. დონაურის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით. ნიჭიერი მსახიობი ქალის ხსოვნა დავიწყებას არასოდეს არ მიეცემა, მისი სახელი მარად შერჩება ქართული თეატრის ისტორიას.

ღიმიჯრი მარხანელი და თეატრი ლ. მარტაშვილი

„საუხსრომ მცოდნე ქართულის ენისა, ქართველი ხალხის ზნეჩვეულებისა და ცხოვრებისა, დიდი მოამაგე და მოსარჩლე, დიდი გულშემატკივარი ჩაგრულთა და დევნილთა“ — ასეთი დახასიათება მისცა ღიმიჯრი მარხანელს ცნობილმა მოღვაწემ იაკობ მანსვეტაშვილმა. ღიმიჯრი მარხანელი მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლების იმ მოღვაწეთა რიგშია, ვინც ხალხის სამსახურისათვის აინთო გული და სანთელივით დაიწვა. ის, რაც ქართველ თერგდალეულებს ადლევენდა, ის რამაც ქართველი ხალხოსნები აღძრა, ღიმიჯრი მარხანელის საკუთარი ტკივილიც იყო, საფიქრალიც და საზრუნავიც.

1880-იანი წლები დ. მარხანელმა რუსეთში გაატარა. ერთ წერილში, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, დ. მარხანელი წერს: „ჩემს რუსეთში წამოსვლას თავდაპირველთაგანვე ერთადერთი მიზანი ჰქონდა. ჩემი უფლი, ერძნობა და თონება განმეფითარებინა და ზოლოს რითაც ღმერთი შემაძლებინებდა სარგებლობა მომეტანა სამშობლო ქვეყნისათვის“.

იქ, რუსეთში დ. მარხანელის ფიქრი სამშობლოს ევლებოდა გარს. იქ დაწერა მან თავისი ცნობილი მოთხრობა „ძმური სიტყვა“. ამ წიგნში ცხადადაა წარმოდგენილი ჩვენი „მძინარეთი“, როგორც მარხანელი უწოდებს სოფელს თავის ერთ მოთხრობაში. რით უნდა გაუმჯობესებულიყო ხალხის ცხოვრება? სამშობლოში დაბრუნებული დ. მარხანელი გატაცებით ჩაება მშობელი ხალხისათვის სასარგებლო საქმეში. იგი მოთავე გახდა ქვემომარხანის დეპოს დაარსებისა. დ. მარხანელის სახელთანაა დაკავშირებული საავადმყოფოს გახსნა, საქალებო სკოლის დაარსება და სხვა. დ. მარხანელი არც თავის ენერგიას იმურებდა სოფლის კეთილდღეობისათვის და არც ქონებას. მან თავისი პირადი, იმ დროის კვალობაზე საკმაოდ მდიდარი, ბიბლიოთეკა

სოფელს გადასცა, საქალებო სკოლას კი დაუთმო თავისი სახლ-კარი.

გლების გამოფხიზლებისათვის ერთ-ერთ უკეთეს სკოლად დ. მარხანელს მიაჩნდა თეატრი. დ. მარხანელი გლეხობას სიტყვასიტყვით განუმარტავდა: „თეატრი ჰქვიან იმ სახლს, სადაც თვალით გვიჩვენებენ კარგისა და ავის ადამიანის თავგადასავალს. მართალია, თბილისში ქართული თეატრია, მაგრამ სალიანში რომ ჩემს ძმას ქურქი ესხას, მე აქ რას მომათბობს. გეყოფათ ამდენ ხანს ბურანში ყოფნა, ქრისტიანებო, ჩვენც ადამიანები ვართ, ჩვენც ვურევივართ ხალხში“. („ძმური სიტყვა“).

თეატრი უცხო ხილი იყო ბურანში მყოფი გლეხობისათვის. დ. მარხანელმა შემოიკრიბა სოფლის ახალგაზრდობა, გვერდში ამოიყენა და კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა გააჩაღა. ამ დროს სოფელ მარხანში მოღვაწეობდა შემდეგში ცნობილი დეკლამატორი და თეატრალური მოღვაწე კოლა ერისთავი. დ. მარხანელის გვერდით იყო აგრეთვე პოეტი ირ. ევდოშვილი. ამ ძალამ შეაძლებინა დ. მარხანელს 1887 წ. 5 ივლისს ქვემომარხანის სასკოლო შენობაში წარმოადგენა გაიმართა. აიხადა ფარდა და ხალხის წინაშე მხურვალე სიტყვით წარსდგა დ. მარხანელი. მან მიულოცა გამარჯვება სოფლის ახალთაობას. დალოცა ისინიც ვინც „კეთილს ფიქრებს“ წამოეყვანა წარმოდგენის საყურებლად.

დ. მარხანელმა მიმართა მაცურებელს: „ვიცი მოვცხენებათ, სწავლაში გამოცდილი კაცების ცოდნის სიტყვა მადლიანი საქმის დამბადებელია და კეთილი ცხოვრების გზის მაჩვენებელ ყოველგვარ ცოდნას თავისი ტაძარი აქვს. ამაში ერთს სკოლა ჰქვიან და მეორეს თეატრი.“

ღიას, სკოლა და თეატრი ძმები არიან კეთილს საქმეში ამისათვის, რომ თეატრიც ჭკუაგონებას ასწავლის ადამიანს. ბევრს უტოდინარს კი სამასხრო ცირკად მიაჩნია თეატრი, მაგრამ რა ვუყოთ,

უცოდინარს მიეტყუებ. აკი ნათქვამიც არის — არცოდნა არცოდვააო. ჯერ ქვეყანაზე ქრისტელმერთი არცკი მობრძანებულიყო, რომ ბერძნებს თეატრი ჰქონდათ და იქა ჰსწავლობდნენ ავისა და კარგის ადამიანთა თავგადასავალს და მერე იმ ცხოვრების ცოდნას თავიანთ ცხოვრებაში გამოიყენებდნენ ხოლმე“. (სიტყვა დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში).

1887 წლის „ივერია“ (№ 142) აღნიშნა ქვემომაჩხანში დადგმული წარმოდგენის (ვ. აბაშიძის „ცოლი თუ გინდა ეს არის“) წარმატება. წარმოდგენის ამბავი ახლომახლო სოფლებს მოეფო. მოსალოდნელი იყო მაყურებლის რიცხვის უცაბედი ზრდა. დ. მაჩხანელის მოთავეობით სკოლის გვერდზე დიდი ხეების ქვეშ სცენა მოეწყო. იგი რომაელების ამფითეატრს გავდა თავისი ადგილმდებარეობით (როგორც გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა). აქ ღია ცის ქვეშ გამართულ სცენაზე ქვემომაჩხანელებმა დადგეს ა. ყაზბეგის „არსენა“ და დ. მაჩხანელის ვოდევილი „დედამ აჯობა“. ამ წარმოდგენებმა თეატრის კარი გაუხსნა ღარიბ გლეხობას, სრულიად უფასოდ რომ შეფენილიყვნენ ფერდობზე. გაზეთი „ივერია“ (1891 № 148) აღნიშნავდა:

„ბილეთები იაფად ღირდა, ღარიბებს ფასი არ ერთმეოდათ. შემოსავალი კაპიკ-კაპიკ ემატებოდა ბიბლიოთეკისა და თეატრის ასაშენებელ თანხას. სოფელი ოცნებობდა სათეატრო და სამკითხველო დარბაზი (ფიცრისა) აეშენებინა სოფლის შუაგულში მინდორზე“.

მაჩხანელი წერდა: „თუკი ქიზიყის საზოგადოებაც-ხელს მოგვიმართავს ნივთიერად და სახალხო დეპოც გვეღირსება ამ ერთ წელიწადში, თეატრის დარბაზში (თუკი გვეღირსება ოდესმე) მუდამ კვირა უქმე დღეს იქნება სახალხო ლექციები, წარმოდგენები და კონცერტები“.

ამ ოცნების აღსასრულებლად სოფელში შექმნილი თეატრალური დასი დიდი მონდომებით მუშაობდა. ზედიზედ იდგმებოდა ვ. ერისთავის „გაყრა“, ვ. გუნიას „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ (რომლის ინსცენირება თვით მაჩხანელს გაუკეთებია და მთავარი როლიც თვითონ შეუსრულებია) და სხვა.

იმდროინდელი პრესა, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევდა სოფ. ქვემომაჩხანის თეატრალურ ცხოვრებას და მის სიახლეს ეხმაურებოდა. გაზეთი „ივერია“ მაღლობით იხსენიებს სცენისმოყვარეებს ოღლა ყიასაშვილს, თაფლო მენთეშაშვილს, მასწავლებელს მ. ჯავაშვილს (სუფლიორობდა), დურგალ ა. ინაშვილს, უსასყიდლოდ რომ დურგლობდა სცენისა და ბიბლიოთეკისათვის და სხვებს.

მწერალი სიკო ფაშალიშვილი თავის მოგონებებში „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან“ ქვემომაჩხანის თეატრის შესახებ წერს: „უნდა აღვნიშნო, რომ ძველი დროის საქართველოში სასოფლო თეატრი, მგონი, პირველად ქვემომაჩხანში დაარსდა“. შეიძლება მწერლის ეს მოსაზრება მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ მაჩხანის თეატრი რომ ერთ-ერთი პირველი სასოფლო თეატრია, — ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

პანკრა ქალაქის სენაზე

ხახანავ სიხარულიძე

ხაშურის რკინიგზის სადგურის გადაღმა, იქ, სადაც რკინიგზელთა რამდენიმე დიდი საცხოვრებელი სახლი და რკინიგზის სახელისწოდების კანტონაა, რკინიგზის ძველის-ძველი კლუბი იყო. აქ წინათ სამასალო საწყობები ყოფილა. ხაშურის დემოს მამინდელი უფროსის ილინსკის (ცნობილი მსახიობის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. ილინსკის ბიძის) თაოსნობით საწყობები სხვაგან გადაუტანიათ, ხოლო იქ მოუწყვიათ რკინიგზის აუდიტორია სცენითა და ღარბანით. აქ იმართებოდა ბალ-მასკარადები, ცეკვის საღამოები ტრადიციული გახშვებით, სალიტერატურო და საბავშვო დღიუბი.

ეს კლუბი უმთავრესად რკინიგზის მოხელეთა ზედამხედველ ემსახურებოდა და მდებარე საზოგადოებას იქ არც კი შეეცდებოდა. ამიტომ ამის პარალელურად ადრევე ჩაისახა სახალხო თეატრალური შობარბა, შეიქმნა სცენისმოყვარეთა დრამატული წრე, რომელიც მუშებისათვის წარმოდგენებს მართავდა და მათ იდეურ-პოლიტიკურ გათვითცნობიერებას ხელს უწყობდა.

ამ წრის წარმოდგენები იმართებოდა ვასო ჯაფარიშვილის სახლის პირველ სართულში. წამყვან სცენისმოყვარეთა შორის იყვნენ ადგილობრივი მუშები, მასწავლებლები, ექიმები, ხელონები კონსტანტინე ძენლაძე, სტეფანე ნოზაძე, ნიკო სიხარულიძე, ვანო მურმანიშვილი, ნიკო თევდორაშვილი, გიორგი ვეზირიშვილი, მოსე კვალიაშვილი, ნინო ყაჭეიშვილი, ქეთო კალაძე, ანდრო ჭელიძე, არკადი ხუნდაძე, გიორგი რატინი, გოგუცა ძენლაძე; თბილისიდან იწვევდნენ სცენისმოყვარე ქალებს თამარ აფხაზიშვილს, ტასო ჩრეთლიშვილს, ქსენია აბჟამაძესა და სხვ.

დრამატული წრის წარმოდგენებში ხშირად მონაწილეობდნენ ხაშურში და სურამში საგასტროლოდ ან დასასვენებლად ჩამოსული ცნობილი მსახიობები: ე. აბაშიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. გუნია, ნ. ჩხეიძე, ნ. გოციშიძე, შ. დადიანი, ე. ანდრონიკაშვილი, გ. შალიკაშვილი, ა. იბე-დანიშვილი, ი. ზარდანიშვილი, ვ. ურუშაძე, მ. მღვიანი, ნ. ჩაგუნავა, ი. ყვიციანი, ე. აბზიანიძე და სხვები. ამ პერიოდში გამოვიდა სამოღვაწეო სარბიელზე ხაშურის მკვიდრი, შემდეგ ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით (დუღე) ძენლაძე. ხაშურის დიდი თეატრალური ტრადიციები აქვს, აქ აღზარდა ქართული სცენის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე. თეატრალური ცხოვრება ხაშურში განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ გაცხოველდა, როცა რკინიგზის აუდიტორია — კლუბი დრამატულ წრეს გადაეცა.

* * *

1922—1923 წლების სეზონში ხაშურის დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა იოსებ (სოსო)

მებურიშვილი (ახლა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი). იგი უმთავრესად უცხოურიდან ნათარგმნ მელიოდრამებს ღვამდა და წარმოდგენები ბევრ მაყურებელს იზიდავდა, თვით ი. მებურიშვილი მრავალმხრივი ცოდნით იყო აღჭურვილი — ის იყო მხატვარიც, მუსიკოსიც, ბალეტმეისტერიც; დადგემს თვითონვე აფორმებდა მხატვრულად და მუსიკალურად, თვითონვე დგამდა ცეკვებს. რკინიგზელთა ბავშვებისათვის სსრ მებურიშვილმა ჩამოაყალიბა საბალეტო სკოლა. საბავშვო ბალეტის საღამოებს დიდი წარმატება ჰქონდა.

სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა პირველად სცენაზე ცისფერთავლები აგვონა მერი დავითაშვილი (ახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტი). მან „ორ ობოლი“ უმცროსი დის როლი განასახიერა. მ. დავითაშვილმა გულწრფელობითა და უშუალოდით შეასრულა ობოლობით დანაჯერული გოგონას როლი და მაყურებელთაგან კარგი შეფასება მიიღო. შემდეგ მთელ რიგ პიესებში წარმატებით განახორციელა მთავარი როლები. ორი წლის შემდეგ კი თბილისში გაემგზავრა სასწავლებლად და დედაქალაქის თეატრებში დაიწყო მოღვაწეობა.

ამავე პერიოდში დაიწყო სასცენო მოღვაწეობა ნუნუ ერისთავმა. — შემდეგში თბილისის საინტარული კულტურის თეატრის ერთ-ერთმა წამყვანმა მსახიობმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა. მან 30-ზე მეტ პიესაში მიიღო მონაწილეობა, წარმატებით ასრულებდა დრამატულ როლებს და მაყურებელთა დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

ერთხანს დრამატულ წრეს სათავეში ჩაუდგა რკინიგზელთა პროფკავშირის ხაშურის საუბრო კომიტეტის მდივანი იასონ მჭედლიძე (ნახაბტყეველი). იგი მანამდე ჩაითარა რკინიგზის სადგურის უფროსის თანაშემწე ითვლებოდა და პარალელურად მსახიობად ეუშობოდა ჯერ ს. მებურიშვილის, შემდეგ კი შ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით. ი. მჭედლიძემ ხაშურის სცენაზე დადგა ნ. შუიკაშვილის პიესა „სულელი“. სანქციალში მონაწილეობდნენ რკინიგზელები ი. მჭედლიძე, სოფიო სიხარულიძე, ნიკოლოზ ჯაფარიძე. ი. მჭედლიძემ დადგა აგრეთვე ა. წერეთლის „კინტო“, ა. ცაგარის „რაც გუნახავს, ევლარ ნახავ“, ტ. რამიშვილის „სტუმარი-მასპინძლობა“, ს. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი“. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვ. ამ პერიოდში დასში ნაყოფიერად მუშაობდნენ აგრეთვე ყენია ბარბაქაძე, კუკური კალანდარიშვილი, შოთა გიორგი თორნიკიძეები, ოლია ძიძიგური, ნინო მოწონელიძე.

ი. მჭედლიძემ განახორციელა ხაშურში პირველი მასობრივი პანტომიმის დადგმა. ამისათვის მან გამოიყენა ა. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი“. პანტომიმში მონაწილეობდა 500-ზე მეტი კაცი. სცენად გამოიყენეს გიმნაზიის წიხ



მდებარე მინდორი (ახლა იმ ადგილზე მოთავსებულია კულტურის სახლი დიდი პარკით). მხატვრია ი. ლიტვინოვა და ხატვა უზარმაზარი დეკორაციები — მებატონის სასახლე კონკრეტით, მთელი სივრცით. პანტომიმში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა ჩოხა-ახალუხმა და ქუჩაში გამომწყობილმა ტყენოსანმა. ეს ლამაზი დაღმა ხაშურისა და მეზობელი რაიონების 20 ათასზე მეტმა მშრომელმა ნახა.

რამდენიმე დაღმა განახორციელა კომიკური როლების შესანიშნავმა შემსრულებელმა ავრონომმა ივანე (ვანო) შურბანიძემ. მიუხედავად ხანდაზმულობისა იგი სურამიდან დადიოდა რეპერტივებზე და წარმოდგენების შემდეგ დამით გვიან ფეხით ბრუნდებოდა შინ. ვ. შურბანიძის როლმა შექმნა შესანიშნავი კომიკური სახე კარაპეტის პიესა „დედუშო“, სირაჯისა პიესა „მსხვერპლი“. რეჟისორებად მუშაობდნენ ძველი თაობის წარმომადგენლები ვასო ხოზნავრი (ხოზნავრი) და ლითონის ჩამომსხმელი მუშა მისე კვალაშვილი. მ. კვალაშვილი შესანიშნავად ასახიერებდა ხარბი, ბორჯოტი, შურბანიძე დამიანების როლებს. დიდი გულწრფელობით ასრულებდა გიუჟას („რაც გინახავს ვეღარ ნახავ“), სირაჯის („არსენა“), ბარონის („სულელი“) და სხვა სახასიათო როლებს ბუღალტერი ნიკოლოზ თევდორაშვილი.

* * *

ლამაზი გარეგნობის, საშუალოზე მაღალი ტანის ერთი ახალგაზრდა თითქმის ძალით მოყვანეს რეპერტივზე რკინიგზის სალიანდაკო დისტანციის კანტონში მასთან ერთად მომუშავე ამხანაგებმა. მათ დრამატული წრის მაშინდელ ხელმძღვანელ მიხეილ ქორელი უქვს ახალგაზრდა, უთხრეს, რომ შესანიშნავად კითხულობს სცენებს სხვადასხვა პიესებში, მაგრამ მორცხობის გამო სცენაზე არ გამოდის.

ქორელმა ახალგაზრდა პარტერის პირველ რიგში დასვა და რეპერტივია დაიწყო. შემდეგ ენობოდერი როლი მისცეს მორიგ დაღმაში. მან ზეირად შეისწავლა როლი და ჩინებულად განასხიერა იგი. მორიგ სეზონებში კი ალექსანდრე ოშიაძე მთავარ როლებში მოეყვინა მყურებელს.

იმ პერიოდში, როცა ხაშურის რკინიგზის კვლების დრამატულ წრეს იუზა ზარდალიშვილი, მიხეილ ქორელი, იასონ მკვიდიძე ხელმძღვანელობდნენ ა. ოშიაძემ საუცხოოდ განახორციელა მთავარი როლები პიესებში „მსხვერპლი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „სალტე“, „იმედის დაღუპვა“, „სამეგრეოს მთავარი ლევანი“, „არშინ მალ-ალან“ და სხვ. განსაკუთრებით დამამახსოვრებელი იყო მისი არსენა. ა. ყაზბეგის „არსენაში“, ასლან გირეი ა. ყაზბეგის „მლეონორაში“.

ახლა ა. ოშიაძე ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. იგი წარმატებით ასრულებს მოხუცების როლებს თეატრსა და კინოში.

სცენის დიდი მოყვარული იყო რკინიგზის მე-მეცხე ნიკოლოზ ფერაძის მთელი ოჯახი. სამი ძმა ფერაძე — ნიკოლოზი, კონსტანტინე და ალექსი დიდხანს და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ხაშურის ქართულ და რუსულ დრამატულ წრეებში. ნ. ფერაძის ქალიშვილი ლ. ფერაძე აქადაღ თბილისის მოზარდ მყურებელ-

თა ქართული თეატრის ერთ-ერთი წამყვანი ხიობია.

ხაშურის რკინიგზის დრამატულმა წრემ მყურებლებს უჩვენა რამდენიმე მუსიკალური კომედია. პირველი იყო გ. ბუნნიკაშვილის „მენ-მეტიკები პარკის“ და „ანთიმოზის ვასპირია“ ავტორის დადგმითა და მონაწილეობით. 1927—1928 წლებში ზედნულ დაღმა ქართულ თარგმნილი ზებრბაიჯანული მუსიკალური კომედიები „არშინ-მალ-ალან“ (ალექსანდრე ლომიძის, ალექსანდრე ოშიაძის, იასონ მკვიდიძის, ნიკოლოზ ჯაფარიძის, ნიკო თევდორაშვილის, სოფიო სისარულიძის, სოსო მოწრფელიძის, მარო ნოზაძის მონაწილეობით), „აშულ ყარბია“ და „მამუტი ბაღი“ გიორგი (ნენე) კაკაბაძის რეჟისორობით და მონაწილეობით. ამ დაღმა ბისათვის სპეციალურად შეიქმნა სიმეზიანი ორკესტრი პავლე ახალკაცის ხელმძღვანელობით, რომელმაც მონაწილეობაში გიორგი ახალკაცი, ნიკო ჯაფარიძე, სანდრო ჯოხაძე და სხვ. გუნდს ხელმძღვანელობდა ნიკოლოზ ბარამიძე.

დრამატული წრის მუშაობას დიდად უწყობდნენ ხელს სპექტაკლების გამომრამებლები. სხვადასხვა დროს მთელი დაღმაში გააფორმეს მხატვრებმა ივანე ლიტვინოვმა, არჩილ ურდანიამ და არკადი ჩაჩმაძემ. თავდადებულად მუშაობდა დაღმების ელექტროგანათების მოწყობაზე კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსი ანდრო გვეჯშიძე.

* * *

1927-1929 წლებში ხაშურის რკინიგზის კლუბში მოღვაწეობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იუზა ზარდალიშვილი. იგი ადრევე გამოდიოდა ამ პატარა ქალაქის სცენაზე საკანტროლო მოგზაურობის დროს. 1927 წელს თავის მეუღლე ნადია სირბილაძესთან ერთად ჩამოვიდა ხაშურში, საქმეს ენერჯიულად მოჰყავდა ხელი.

ამ პერიოდში იუზამ დაღმა პიესები „მზის ამოსვლამდე“, „ედიმონ კინი“, „უღანაშულო დამნაშავენი“, ა. ყაზბეგის „არსენა“, კომედია „არიქა მიშველით“. ეს მხიარული კომედია შალვა ხონელის მონაწილეობით მაყურებელში დიდი წარმატებით სარგებლობდა.

დრამატული წრე ხაშურს გარდა წარმოდგენებს მართავდა სურამში, ბორჯომში, გორში.

ივლისის დაღმაც ი. ზარდალიშვილი თბილისში გაემგზავრა და რამდენიმე დღის შემდეგ აღფრთოვანებული დაბრუნდა, დრამატული წრის წევრებს ახარა რომ ნატალია ოზიანის პიესა „დეზერტერიუს“ ხელნაწერი ჩამოიტრიან და ახლავე უნდა შეეუდგეთ მუშაობასო. ინტერმედები პიესისათვის დაწერა ნიჭიერმა პედაგოგმა და სცენისმოყვარემ ევგენი ნოზაძემ, ახალი დაღმა მუსიკალურად გააფორმა მაშინ კონსერვატორიის სტუდენტმა პავლე ახალკაცმა. „დეზერტერიუსში“ ი. ზარდალიშვილის აკადმა მონაწილეობდნენ მსახიობი ნადია სირბილაძე, სცენის მოყვარული ოლია ძიძიგური, ნინო მოწინელიძე, ნიკოლოზ თედორაშვილი, ნიკოლოზ ჯაფარიძე, ალექსანდრე ოშიაძე და სხვები. კლუბშიც „დეზერტერია“ გორსა და ბორჯომშიც უჩვენა მაყურებელს.

იუზა ზარდალიშვილი 1928—1929 წლებშიც დარჩა ხაშურში. მან ამ სეზონში დაღმა შ. დიდიანის „გუშინდელი“ და „გეგეკორი“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ნ. შიუ-



კაშვილის „ამერიკელი ძიას“ და მთელი რიგი სხვა პიესები. „ამერიკელი ძიასი“ თითონ შესაძენად ასრულებდა ამერიკელი ძიას როლს. ჩემდავსებელი კომბალას როლი საუცხოოდ შესასრულა ავრონომმა კოტე ხერხეულიძემ. პრემიერას დაესწრო ბიგის ავტორი და დადგმით დიდ დიქტაფონი დაჩა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი, რომელზედაც სიტყვა წაერთქვა ნ. შიუკაშვილმა. მან დაილა შეაქო ი. ზარდალოშვილისა და კ. ხერხეულიძის თამაში.

„ამერიკელი ძიას“ მოჰყვა „პოპო, ჩენ ვეცხოვრობ“, „უღანაშაულო დამნაშავენი“, კ. კალაშის „როგორ“. განსაკუთრებული წარმატება ხედავ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“. ყვარყვარეს როლს ასრულებდა ი. ზარდალოშვილი, რეჟისორები იყვნენ — მარო ნოზაძე, ქუჩარას — ნიკო ჯაფარიძე, კაკუტას — კოტე ხერხეულიძე. იუზამ დაუვიწყარი სახე შექმნა ყვარყვარე თუთაბერისა.

ზაშურში მოღვაწეობის პერიოდში ი. ზარდალოშვილმა მოიწვია ცნობილი რეჟისორები მიხეილ ქორელი და მოსკოვიდან დაბრუნებული ივანე ბარკველი. მათ რამდენიმე კარი დადგმა განახორციელეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

იუზამ კარგი ორგანიზატორული ნიჭიც გამოამჟღავნა, რკინიგზის კუბების დამატებულ წრეს შემოუერთა ნიჭიერი ახალგაზრდა სცენისმოყვარენი, რომლებიც კომპაზიონის რაიონის ახალგაზრდათა დამატებულ წრეში მუშაობდნენ და ზაშურის გარეუბანში — ქალაქში დამდგენ წარმოდგენებს მათ შორის იყვნენ იოსებ ცხატარაშვილი (ახლა რესპუბლიკის სახალხო ობტერსი), შალვა ხერხეულიძე (ახლა რესპუბლიკის სახალხო არტისტი), მარო ნოზაძე, (ახლა გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობი), მარო ლორთქიფანიძე, ილია ფანჭავიძე, ნიკოლოზ ქართველიშვილი, ილია ფთაძე, გრიგოლ ქუბაძე (ახლა საქართველოს სახელმწიფო ესტრადის მსახიობი), გოგი კვალაშვილი. სცენაზე სამუშაოდ მოიწვია რკინიგზის საპროექტებში მონაწილე ნიჭიერი სცენისმოყვარე ნიკო მახარაშვილი, რომელიც მთავარ როლებში გამოჰყავდა.

შემდეგში ნიკო მახარაშვილმა რეჟისორობასა და დრამატურგობას მოჰკიდა ხელი. იგი ნიგორმახელის ფსევდონიმით გამოვიდა და მთელი რიგი პიესების დადგმა განახორციელა. ნ. მახარაშვილმა გაასცენიერა ა. ყაზბეგის „ელეონორა“, „ციცია“, „შამის მკვლელობა“, აგრეთვე სხვა მწერალთა ნაწარმოებები. ეს თვისამსწავლი ხელოვანი დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული, მაგრამ ლოთობად დაღუპა. ნ. მახარაშვილი 1959 წელს გარდაიცვალა დაბა აგარაში და მის მშობლიურ ქალაქ გორში დაკრძალეს.

1929 წლის ავისტოში ზაშურში ჩამოვიდა ქუთაისის თეატრის წარმომადგენელი და იუზა ზარდალოშვილი მიიწვია ქუთაისის თეატრში სამუშაოდ. მიწვევა იუზამ სიხარულით მიიღო. გამომწვევდობა გულთბილი იყო. იუზას ზაშური და მისი დრამატული კოლექტივი შემდეგაც არ დაუვიწყარი, ზნობი სტუმარი იყო რკინიგზელთა ამ პატარა ქალაქისა.

ი. ზარდალოშვილი შეცვალა გორაგი როსებამ. ზაშურელი სცენისმოყვარენი გულთბილად იგონებენ გ. როსებას (გ. ბალოშვილი), რომელიც ჭერ კიდევ ძალდონით სავსე ახალგაზრდა დაღუპა ტრალიკულად. მისი პირველი დადგმა

იყო ბ. ლაერენიევის „რღვევა“, რომელშიც თვით გორაგი რეჟისორი მეზღვაური გოგონა მუხომბის როლს ასრულებდა. ზაშურში, თბილისის მხარად მაყურებელთა ქართულ თეატრს და რესპუბლიკის სხვა ქალაქსა და რაიონებში განხორციელებული დადგმებითა და როლებით მან ნიჭიერი რეჟისორისა და მსახიობის სახელი მოიხვეჭა. გ. როსებამ ზაშურის კლუბთან შექმნა დრამატული სტუდია, რომელშიც რკინიგზელი მუშა-ახალგაზრდები თეატრალურ ხელოვნებას ეუფლებოდნენ.

* * *

ერთ ზაფხულს ზაშურში საგასტროლოდ ჩამოვიდა ქუთაისის სატირის თეატრი. მსახიობი ჭიჭიკო აბაყაშვილის ხელოვნებანი. დასმნი შედიოდნენ მიხეილ მემშარიაშვილი, ალექსანდრე სიხარულიძე, ვერა ნიკოლოშვილი, კოჭო დოლონაძე, კაპიტონ აბუხაძე, მიხეილ სანიძე და სხვ. სექტრები, ინტერმედები, სცენები სატირბორიტო საკითხებზე იყო აგებული. დადგმები მაყურებელთა მოწონებით სარგებლობდა. ამ წარმატების მთავარი მიზეზი, პირველყოფისა, მეტად ნარნარი და მხიარული მუსიკა იყო. ამ მუსიკის ავტორი ვახლათ ნიჭიერი კომპოზიტორი ვახტანგ ჯაბადარი. გასტროლები 16 დღეს გაგრძელდა.

გ. ჯაბადარის ნიჭს ზაშურში ბევრი თაყვანისცემული ვაჟუნდა. ამიტომ იგი ძალიერ ზაშურში დაბრუნდა სამუშაოდ, ჭერ მუსიკალურ ხელმძღვანელად. შემდეგ კი კლუბის გამგედ.

დიდი აღშფოთებით ასრულებდა ვახტანგი ქართველი და უცხოელი რამონილი კომპოზიტორების, თავისი ძმის ერეკლეს და საკუთარ ნაწარმოებებს. ვახტანგმა ზაშურში დაწერა თხუთმეტზე მეტი რომანსი. იქ შექმნილი ბევრა ნაწარმოები ვახტანგს არ ჩაუწერია, მათ ყოველთვის მესიხიერებით ასრულებდა და ზნობი დაკრასთან ერთად ნელი მანო მღეროდა. მანვე დაწერა მუსიკა ადგილობრივი დრამატული კოლექტივის მიერ განსახიერებული პიესები-სათვის.

გ. ჯაბადარი მოულოდნელად წავიდა ზაშურიდან. იგი ზესტაონის რკინიგზის კლუბში მიიწვიეს, სადაც მამინ ი. მკვლელობის ხელოვნებანი ზამკვლავლობით სამკვლავლო თეატრალური კოლექტივი ჩამოყალიბდა. შემდეგ სანტრადიაში მოშაობდა. იქ ერთ-ერთ სოფელში ცოლი შეირთო. გავიდა წლები. რამდენიმეჯერ მოვხვედი სამტრედიამში. ვკითხვ ვახტანგის ამბავს. ვერაფერი გავიგე. შემდეგ ვაღმომცეს, რომ იგი გარდაცვილიყო.

ივანის დასაწყისს ბათუმიდან თბილისში მიემგზავრებოდი მატარებლით. რიონის სადგურზე ვაგონში ამოვიდა თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი ვარლამ მიქაძე. ვარლამმა ზაშურში დაამთავრა გინანაზა და სწავლის პერიოდში ჩვენს ოჯანში ცხოვრობდა.

მისალმების შემდეგ გ. მიქაძემ მიაშობ, რომ ქუთაისში აწარმოებდა მოლაპარაკებას მათი თეატრის გასტროლების შესახებ, მაგრამ საქოლან საბჭოს აღმასკომს არ აღმოაჩნდა საქოლანა დევიციტის დასაფრავად.

გამახსენდა, რომ ზაშურში კულტურის დიდი სასახლის მშენებლობა დამთავრდა.

— საწინამდებოე ხომ არაფერი გექნება ზაშურში რომ მოაწყოთ გასტროლები? — ვკითხვ გ. მიქაძეს. ეუბანბე, როგორია კულტურ-



რის სასახლეს ახალი შენობა, თანაც გავაფრთხილებ, რომ სცენა მოუწყობელია, არა აქვთ ფარდები, შირმები და თეატრალური ელემენტოვანსაბუნებელი მოწყობილობა.

— ყველაფერი ეს მოგვარდება, — მითხრა ვარლამმა, — მაგრამ ღოტაცია დაგეპირდება ბლომად, 60 ათასი მანეთი.

ვ. მიქაძე თბილისში წავიდა, მე კი ხაშურში დავარაყვანილვარე ხელმძღვანელებთან მისაღებად. ვარლამს შევეთხინდი, თუ თანხმობა იქნებოდა ღებეშას გავუზღვანდი და მამოხეჩ ჩამოვიდოდა ხელშეკრულების დასაღებად.

მეორე დღით ხაშურის პარტიკომის მდივანთან გიორგი კალმახელიძისთან მივედი. გ. კალმახელიძე ყოფილი მუშა-ზენკაცი იყო, მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული. წინადადებას დიდი სისარულით შეხვდა. გამოიძახა რაიალმასკომის თავმჯდომარე სერგო ცხოვრებაშვილი და რაიალმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე- ისინი მოვიდნენ, მაგრამ ღოტაცია ბევრათ.

— ეს თანხა აუცილებლად უნდა გამოვნახოთ და ახლავე ჩაუვრიცხეთ თეატრს. — მოუჭრა მათ გ. კალმახელიძემ. — იცით რა ბედნიერება ჩვენი ქალაქის მშრომელთათვის ასეთი სახელმწიფოებრივი თეატრის ჩამოსვლა. — გ. კალმახელიძემ იქვე ჩემი სახელით დააწერინა ვ. მიქაძისათვის გასაგზავნი დებეშის ტექსტი.

პირობის თანხმად ვ. მიქაძეს შინ ვუვლიდი. დღის 12 საათზე მოვიდა. გამოძიოხა მოლაპარაკების ამბავი. ამ დროს ღებეშამ საუბრის გაწყობა დაიწყო. ვარლამმა უარე განაცხადა საუბრეზე, წამოვდა.

— წავიდეთ რაიკომში ხელშეკრულების დასაღებად. — თქვა მან. — კოტე ძირს გვიცდის. როდესაც ვკითხე ვინ კოტე უცდია მას, მითხრა, — კოტე მარჯანიშვილია. მე მეწყინა და ვუსაყვედურე: როგორ შეიძლება ასეთ ადამიანს ძირს აცდევინებ შენთვის. უცტე ჩამოვირბინე კიბე და ეზოს ჭიშკართან კოტე დავიანებ. მას ეპები ეხურა, რომ მიუჯახლოდ, შემომცინა და ხელი ჩამომართვა. სახელდახელოდ ვისაუბრეთ და რაიკომში წავედით.

მეტად გულთაღი შეხვედრა მოუწყვეს კოტე მარჯანიშვილს ხაშურის რაიკომის და რაიალმასკომის მუშაკებმა. სწრაფად გაფორმდა ხელშეკრულება; ბანკში გაიხსნა ანგარიში, ფული იმ დღესვე გადაირიცხა.

შემდეგ წავედით კულტურის ახალი სასახლის დასაბუთებლებად. შენობა, სცენა და სათავსოები კოტეს ძლიერ მოეწონა, მერე მოგვიბრუნდა და გვითხრა.

— ჩვენი თეატრი შეფოვბას აიღებს კულტურის სასახლეზე და მის დრამატულ წრეზე. სცენას ფარდებით, შირმებით მოგწყობთ, ვანათობის მოწყობილობასაც დავედამთ და გასტროლების შემდეგ საჩუქრად დაგიტოვებთ.

ერთი თვის შემდეგ ხაშურმა დაიწყო მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. კულტურის სასახლის ახლის მდებარე სამი რკინიგზის სკოლის შენობა მსახიობებს გადაეცა საცხოვრებლად, თითონ კ. მარჯანიშვილს სურამის აგარაკზე ცალკე კოტეჯი გამოუყვეს. სურამივე მისცეს ბინები მთავარ მსახიობებს.

კოტე თვითონ ხელმძღვანელობდა სცენის მოწყობას, დილიდან დაღამებამდე არ სცილ-

დებოდა კულტურის სასახლეს. მას ყოველდღიურად გვერდით ედგა რეჟისორი დედო ანთაძე. ფერადმა აფიშებმა უწყუა მშრომლებს ხაშურში კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლების დაწყება. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სასახლე 1000-ზე მეტ მაყურებელს იტევდა, ბილეთები ორი კვირით ადრე გაიყვდა მთლიანად. ხაშურელის ვარადა, წარმოდგენებზე დასასწრებლად ჩამოდიოდნენ ბორჯომში, ქვიშეთში, ახალდაბასა და სურამში ჩამოსული მოვაგარაკები.

თეატრის გასტროლები ხელოვნების დიდ დღესაწაულად გადაიქცა. სპექტაკლების შემდეგ მაყურებლები დიდხანს არ იშლდოდნენ, თვაციებს დასახრული არ უჩინადა, სცენა იცხებოდა თავიველებით.

თვეზე მეტი გავიდა გასტროლების დაწყებდან, ხაშურში რომ ჩავედი ერთი დღით. მივედი კულტურის სასახლეში. სალარო დაკეტული დამხვდა, ყველა ბილეთი გაყიდულიყო. ადამიანისტრატორმა მიცნო. დარბაზში მიმიწვია. უკანა რიგში ძლივს მოვანებ თავისუფალი ადგილი. ცოტა ხნის შემდეგ ვ. მიქაძემ გამოიხიზო გარეთ და ერთ-ერთი ლოჯაში შემიძღვა. აქ კოტე დამხვდა. გულთბილად მომესალმა და მისაყვედურა: „ჩვენი თეატრისათვის შენ მახლობელი ხარ და ასეთი მორიგებით მოსვლა არ შეგიფერისო“. წარმოდგენის შემდეგ შინ არ გამიშვა. გარეთ გ. კალმახელიძის „ბიუტის“ სისტემის ავტომანქანა გვიცხლიდა (ერთადერთი მსუბუქი მანქანა რაიონში) და იმით გვეგზავნებდა სურამში. მანქანა უკან გამობრუნდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გ. კალმახელიძე და თეატრის რამდენიმე მსახიობი მოიყვანა, ვახშამმა მსხიარულად ჩაიარა.

სპექტაკლების პარალელურად მომდინარებოდა მომავალი სეზონის ახალი დადგმების მზადება. გასტროლების პერიოდში მარჯანიშვილის თეატრმა ხაშურელებს ორი ახალი პრემიერა უჩვენა. კოტემ ამის შესახებ მითხრა: „ხაშურში გემოვნებიანი თეატრალური საზოგადოებაა და ვაკსიძე როგორ მიიღებს მაყურებელი ახალ დადგმებს. ამის მიხედვით თბილისში დადგმას წინ მათში შევიტანთ საჭირო ცვლილებებსო“.

გულთბილად გამოაცილეს ხაშურელებმა კ. მარჯანიშვილი და მისი თეატრის კოლექტივი. კ. მარჯანიშვილი ამის შემდეგ რამდენიმეჯერ ჩავიდა ხაშურში. აინტერესებდა დრამატული წრის მუშაობა, ეხმარებოდა მას რეჟისორებში, მხატვრებში, ახალი პიესებით.

* * *

ხაშურის სცენაზე განხორციელებული დადგმებით, რომლებშიც ბევრი ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ლებულობდა მონაწილეობას, სცენის მოყვარებებმა დიდად აამაღლეს მშრომელია კულტურული დონე. ხაშურის სცენამ აღზარდა ქართული თეატრის და კინოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. სახელოვან ტრადიციებზე აღზრდილი ხაშურის დრამატული კოლექტივი ახლაც ნაყოფიერად მუშაობს და თავის რიგებში ბევრ ნიჭიერ სცენისმოყვარეს ითვლის.

ს ა ხ ა ლ ხ ო თ ე ა ზ რ ე ბ ე შ ი

„მ ს ხ ვ ე რ კ ლ ი“

ვ ლ ო რ ა ხ ო რ ა ვ ა

თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრმა ახლახან დადგა ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი“.

ეს პიესა ქართულ თეატრში მრავალჯერ დადგმულა. მაყურებელს იგი აინტერესებდა თავისი გმირული პათოსითა და კაცმოყვარეობის, სიმართლის სამსახურის იდეალებით. სწორედ ამით დაინტერესდა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო თეატრის რეჟისორიც — ზ. გელაშვილი. მან სცადა ტრადიციული გადაწყვეტისათვის გვერდი აევლო და პიესა ახლებურად წაეკითხა, თანამედროვე მაყურებლისათვის საინტერესო გაეხადა. კეთილისა და ბოროტის მკვეთრი შეპირისპირებით რეჟისორის ცდა არც თუ უნაყოფო აღმოჩნდა. მსახიობებთან გულმოდგინედ მუშაობით სცენური ხასიათების მკაფიო გამომსახველობას მიაღწია. მაყურებლის მოწონებას იმსახურებენ ლ. მაჭავარიანის საქო, უ. სამადაშვილის გიგო. ლ. მაჭავარიანი კარგად გადმოგვცემს თავისი პერსონაჟის ორმაგ ბუნებას, სამადაშვილი კი ღრმად და თანმიმდევრობით ხსნის თავისი გმირის სულიერ ცხოვრებას. მისი ყოველი ჟესტი, მიმიკა, მიხვრა-მოხვრა მართალია და მაყურებელსაც სჯერა მისი.

დამაჯერებელი არ არის ო. პაპინაშვილის თამაში, მისი ვანო სოფლისათვის თავდადებული ადამიანია, ხალხის სამსახურის გარდა სხვა მიზანი ცხოვრებაში არაფერი გააჩნია. მაგრამ მსახიობი გმირის თავგადასავალს განუცდელად თამაშობს. მისი ბედი მაყურებელს ნაკლებად აღელვებს.

მართალი და დამაჯერებელია აკ. ლაფაჩის ბოქაული. მსახიობი აღწევს პერსონაჟის შინაგან წარმოსახვას.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის დავით ჯანჯალაშვილის გაბო ჰქვიანი, გამოცდილი, ცხოვრების მცოდნე გლეხის ტიპია. იგი მტკივნეულად განიცდის მსხვერპლს და მაყურებელსაც თავისი მწუხარების მოზიარედ ხდის.

დამაკმაყოფილებელი სახეები შექმნეს რესპ. დამსახ. არტისტმა ილ. ბაკაკურმა (მწერალი), მსახიობებმა მ. კოდელიანცმა (ნატო), ტასანიძემ (შაქრო), მ. გვარამაძემ (კნიაჟნა სონა).

კარგად არის ჩაფიქრებული ფინალი. გვესმის დედის (მ. ოზოლაძე) უსიტყვო გოდება და ვხედავთ სოფლის შურისძიების წყურვილით აღგზნებას. ვანოს მეგობარი და ერთობის იდეების გამგრძელებელი შიხა (გ. ქრისტესიაშვილი) დედის მანდილის ქვეშ აფიცებს ხალხს და ერთობისათვის საბრძოლველად რაზმავს.

ფინალი ოპტიმიზმით არის გამსჭვალული.

თეატრი მონდომებით მუშაობს სპექტაკლებზე. ყველა დაინტერესებულია და დროსა და შესაძლებლობას არ იშურებენ, რათა წარმატებას და მაღალ შემოქმედებითს დონეს მიაღწიონ.

საჭიროა თეატრისა და კლუბის ხელმძღვანელობამ მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ სპექტაკლების ტექნიკური მხარისადმი. მუსიკა და დეკორაციული გაფორმება სასურველია უკეთესი იყოს. ამ თეატრს კარგი ტრადიციები აქვს, მაყურებელს უყვარს ის, მის სპექტაკლებზე ყოველთვის ხალხმრავლობაა და უფრო მაღალი დონისათვის უნდა ვიბრძოლოთ. ამასთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკლებს დაეთმოს.

საქვენათა საესკარდო ორკესტრი თამარ გომართელი

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ანსამბლი 10 წლის ისტორიას ითვლის. მის ორგანიზაციაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ა. ოჯანის. დღეს ავ კოლექტივის იცნობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის სზღვრებს გარეთაც. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ანსამბლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია საეასტროლო მოგზაურობა ყამირ მიწებზე კუსტანაის ოლქში, სადაც იგი საბჭოთა მეურნეობებს მოემსახურა. რამდენჯერმე ეწვივნენ მოსკოვსაც. წარმატებამ განაპირობა ანსამბლის გამოსვლა კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში. შემდეგ კი კონცერტები გამართეს საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც — ომსკში, კრასნოდარში, ერევანში, ვიტებსკა და ბაქოში...

1964 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საესტრადო კოლექტივის სათავეში ჩაუდგა მეღვინეობის კათედრის თანამშრომელი ლევან მუჯირი, რომელმაც საესტრადო მუსიკით გატაცებული ახალგაზრდობა შემოიკრიბა. საესტრადო კოლექტივს უკვე საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. ანსამბლის წევრები გატაცებით სწავლობენ, ხალისით ეუფლებიან ხალხურ სიმღერებსა და პროფესიული საესტრადო მუსიკის თვალსაჩინო ნაწარმოებებს.

განსაკუთრებული მონდომებით ასრულებენ ახალგაზრდა შემსრულებლები ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს. მათ რეპერტუარში ცენტრალური ადგილი ეთმობა ცნობილი კომპოზიტორების რევაზ ლალიძის („აფრინდი დილის ნიაგო“, „სიმღერა მეგობრობაზე“), გ. ცაბაძის („სიმღერა დედაზე“, „ჩემს სახლთან პატარა ბაღია“, „პაემანზე“, „ჯარისკაცის დედა“), შ. მილორაფას („სიმღერა რუსთაველზე“) ო. თევდორა-

ძის („მოსკოვის ჩირალდნები“, „სად არ ვიყავ, სად არა“) ნაწარმოებებს.

ანსამბლის პროგრამაში შეხვდებით საბჭოთა ვოკალური ჯგუფის საინტერესო ნიმუშს, სახელდობს კომპოზიტორების კალმანოვისა და ბაბაჯანიანის ნაწარმოებებს. გატაცებით ეცნობიან აგრეთვე საზღვარგარეთულ ხალხურ სასიმღერო მემკვიდრეობას. ესენია ბულგარული „ზღვა“, კუბური „პალმების ხეივანი“, იტალიური „გულის ცემა“, „მთვარე“, ფრანგული „პირველი ალტაცება“, იუგოსლავური „გასეირნება“, „ბალადა ჯარისკაცზე“, ბოშური სიმღერები — „შავი თვლები“, „საქანავე“, „კარავი“, „გრცელი გზა“. უნგრული „სიზმარი“, ინგლისური „ელიზაბეტა“ და სხვ. ანსამბლის პროგრამა ინტერნაციონალური ხასიათისა.

ანსამბლში 7 სოლისტია — გულნაზი ჩაგანავა, აზა ყმერინეცკაია, ლია იავანაშვილი, ტარიელ გურგენიძე, არტურ ოჯანუზოვი, კოტე ჯაბადარი, მედეა გველესიანი, მასთან ერთად გამოდის პატარა შემსრულებელი 8 წლის ლია ზახტაძე. საესტრადო ორკესტრში ხუთი საქსოფონი, ოთხი საყვირი, სამი ტრომბონი და დასარტყამ საკრავთა ჯგუფია გაერთიანებული. ორკესტრს 15 შემსრულებელი ჰყავს, რომელთა შორის აღსანიშნავია ანზორ ლეკვეიშვილი, თამაზ გაბუნია, ნოდარ შიუკაშვილი, ლერი მესროპიანი, თეიმურაზ ამირანაშვილი და ახალგაზრდა კომპოზიტორი ვახტანგ კუცია. რომლის სიმღერები „თბილისელი ბიჭი“, „ოცნების დედოფალი“, „ფანტელები“ ამ კოლექტივის რეპერტუარშია შეტანილი.

ანსამბლს ჰყავს ტექნიკური პერსონალი ხმის ოპერატორები — ნიკოლოზ ქართველიშვილი და უშანგი ხანდამოვი. შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რამდენიმე დღე მიმდინარეობდა რესპუბლიკის თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალი. ეს ღონისძიება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლის-

თავს მიეძღვნა. ამ ფესტივალში მონაწილეობდა საქართველოს შრომის წითელი ღრობის ორდენისანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საექსტრადო ანსამბლი, რომლის წარმატებასაც მოწმობს პირველი ხარისხის დიპლომი და საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება.

საიუბილეო დღეებში ანსამბლმა წარმოადგინა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „მუსიკალური მატინე“, რომელიც წარმოსახული იყო ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები 1917 წლიდან დღემდე.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედ საექსტრადო კოლექტივს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. მათ შემოქმედებას იცნობენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის, ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამთო, აგროსაგზაო, საავიაციო, კვებისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტები.

მრავალფეროვანი იყო ორკესტრის გამოსვლა ტიმირიაზევის აკადემიის დაარსების 100 წლისთავზე. მსმენლის ყურადღება მიიპყრო პატარა შემსრულებელმა ლია ბახტაძემ. მან მოხდენილად შესრულა კომპოზიტორ გ. ცაბაძის სიმღერა „ლალე“, მედეა გველესიანმა შთაგონებით იმღერა ებრაული მარში „ჰაი ნაჯილა“, მსმენელი აღფრთოვანა ორკესტრის მიერ შესრულებულმა ფანტაზიამ ქართულ მოტივზე.

სტუდენტები მიწვეული იყვნენ მოსკოვში გამართულ კულტურის დღეებზე, გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, რამდენიმე კონცერტი გამართეს ლია ცის ქვეშ, უმაღლეს პარტიულ და ცენტრალურ სტატისტიკურ სასწავლებლებში.

დაუვიწყარია ანსამბლისთვის სავასტროლო სტუმრობა ხარკოვში. ახალგაზრდები გამოვიდნენ დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების 150 წლისთავად დაკავშირებით გამართულ კონცერტზე, სადაც საბჭოთა კავშირის ყველა ძლიერი კოლექტივთან ერთად ისახელა თავი.

ორკესტრმა დიდი მოწონება დაიმსახურა ხურა კიევიც. ახალგაზრდები გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, განსაკუთრებით წარმატება ხვდა ანსამბლს ლენინგრადში, ადმირალ ტეახის დარბაზში, რიგის „ვეფის“ კულტურის სახლში, ვილნიუსის სამედიცინო ინსტიტუტისა და ხარკოვის ოპერის თეატრში.

ერევანში მოწვევით სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დღეებში ძირითადად იმართებოდა იმპროვიზაციული საღამოები. მოძმე რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ქართველი სტუდენტებიც გამოვიდნენ. იმოგზაურეს ბაქოში, კიროვებადში და საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ანსამბლის კონცერტებს მუდამ ახლად მოწონება.


საბჭოთა კავშირში არ დარჩენილა არც ერთი დიდი ქალაქი, სადაც ამ ნიჭიერ კოლექტივს თავისი ხელოვნებით არ დაეტკობს მსმენელი და თვალსაჩინო წარმატება არ მოეპოვებინოს.

თვითმოქმედი ანსამბლის შემოქმედება დღითიდღე უფრო სამხტერესო ხდება. გაბედულ ძიებებსა და ერთსულოვან ენთუზიაზმს ანსამბლის შემსრულებელთა მხატვრული დონის შეუწინაღებელი აღმავლობა მოსდევს, თანდათან ფართოვდება კოლექტივის რეპერტუარი.

ამჟამად ანსამბლმა მოამზადა ახალი პროგრამა, რომელიც დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამის პირველი განყოფილება ინტერნაციონალურ შინაარსს მიიღებს. მასში შევა საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის სიმღერები. ეს კომპოზიცია მრავალფეროვანი საბჭოთა ქვეყნის შრომისა და ყოფის სურათებს წარმოსახავს.

წელი ანსამბლი იმოგზაურებს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. მომსახურეობას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

წინ რთული გზაა გასავლელი. საკავშირო ფესტივალის ლაურეატი ანსამბლის ხელმძღვანელი — დ. მუჯირი ენერგიას არ იშურებს კოლექტივის საშემსრულებლო ოსტატობის ასამაღლებლად. იმედია, რომ ეს მონდომებული თვითმოქმედი კოლექტივი კვლავ შეუწინაღებელი ენთუზიაზმით განაგრძობს გზას ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.



ბიოგრაფიული ნოტა

ნიკო კავშირავილი

პარტული თეატრალური ხელოვნების მუშაკთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი შემოქმედლი, ნიჭიერი რეჟისორი, შესანიშნავი მოქალაქე და ყველასათვის სასიყვარულო აღამიანი გიორგი ივანეს ძე იოსელიანი.

გ. იოსელიანი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული თეატრალური სანახაობებით. იგი ჯერ კიდევ 1920 წლიდან იწყებს მოღვაწეობას სცენის-მოყვარეთა წრეებში. 1922 წლიდან გ. იოსელიანი რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრის დასში ჩაირიცხა თანამშრომლად, სადაც ის ეპიზოდურ როლებსაც ასრულებდა. 1925—26 წლებში მუშაობდა ამავე თეატრის მსახიობად.

სასცენო ხელოვნების დაუფლების მიზნით 1926 წელს შედის მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე.

თეატრალური ინსტიტუტშივე მიიქცია გ. იოსელიანმა ყურადღება, როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ. ამიტომაც მას ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1930 წელს ნიშნავენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფილიალში რეჟისორ-ლაბორანტად, სადაც 1933 წლამდე დაჰყო.

1934-1937 წლებში, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში და ლენინგრადის საოლქო დრამატულ თეატრში 1937—1939 წლებში ვარსკის ასსრ სახელმწიფო თეატრში და სხვ.

1939 წლიდან გ. იოსელიანი კვლავ ბრუნდება ლენინგრადის საოლქო დრამატულ თეატრში, სადაც 1941 წლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

დიდმა სამამულო ომმა გ. იოსელიანს ლენინგრადში მოუწყო. იმ ქარიშხლიან წლების პირველსავე დღეს იგი აქტიურად ჩაება ლენინგრადის დამცველთა რიგებში და თავდადებით იცავდა მომხდური მტრისაგან ლენინის ქალაქს როგორც საპაერთო ფლოტის შტურმანი.

გ. იოსელიანი, როგორც ღირსეული მებრძოლი, დაჯილდოებულ იქნა „დიდი სამამულო ომის“ მეორე ხარისხის ორდენით, წითელი

ვარსკვლავის ორდენით და მედლებით „ლენინგრადის დაცვისათვის“ და „დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941—1945 წლებში“.

გ. იოსელიანი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ კვლავ უბრუნდება მისთვის საყვარელ თეატრს, ხოლო 1947 წლიდან საქართველოში ჩამოდის. სხვადასხვა დროს იგი მოღვაწეობდა რეჟისორად, სამხატვრო ხელმძღვანელად ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის თეატრში, სოხუმის, ფოთის და თელავის დრამატულ თეატრებში, იყო — საქართველოს ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი.

გ. იოსელიანის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან ქართულ სცენაზე აღსანიშნავია ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული“, „ოთორბანთ ქვრივი“ (ი. ჰაქავაძის მიხედვით), ა. ოსტროვსკის „უმზიფოვ“, ლოპე დე ვეგას „შეყვარებული ასული“, ნ. გოგოლის „ქორწინება“, ალ. კორნეიჩუკის „ძახველის ჭალა“, ვ. გაბესკირიას „საყვარელი ეზო“, და სხვ. გ. იოსელიანის მიერ განხორციელებული სპექტაკლები ყოველთვის ხასიათდება აზრის სიციხეობით, ჰუმანიტური შთაგონებითა და სიმართლით.

გ. იოსელიანი ეწეოდა აგრეთვე მთარგმნელობით საქმიანობას. მან, დ. თევზაძესთან ერთად, თარგმნა ლოპე დე ვეგას „შეყვარებული ასული“ და სკრიბის „ძალთა ბრძოლა“, რომლებიც სცენაზე თვითონვე განახორციელა.

აღსანიშნავია გ. იოსელიანის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი წლების მანძილზე როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც დაუღალავ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

გიორგი იოსელიანი უარესად მოკრძალებული და თავმდაბალი აღამიანი იყო, თავდადებითა და გატაცებით ეწეოდა უნაგარო შემოქმედებით მოღვაწეობას. მის სახელს მადლიერი მასუბრებელი მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს.

ი ს ა ა კ მ ო რ ი

ახეზარკი გარეჩილაძე

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

პრე დღეს, როცა მე თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობა მიხედვით, სტუდენტმა მაქნობა, რომ კ. მარქსის ქუჩაზე ფოტოგრაფ ისაყ ტორის (ტორი ფსევდონიმი თელაველი ფოტოგრაფის ი. ტერტრაშვილისა) თავისდავე ბინაში საკუთარი ნამუშევრების საინტერესო გამოფენა მოუწყავა.

კვირა დღეს, სტუდენტების თანხლებით, 5 საათზე მივედი ტორის მიერ მოწყობილ ფოტოგამოფენაზე. ოთახში ხალხმრავლობა იყო... და ასე ყოველ შაბათსა და კვირას. მნახველებს თვით ისაკო აძლევდა ასხნა-ვანმარტებას. ჩვენი ჭერიც მოვიდა. ისაკომ დაიწყა: ესენი ჩვენი ქართული თეატრის რეფორმატორები არიან და ჯობი დააღო კ. მარქანიშვილისა და ა. ახმეტელის სურათებს. ტორმა ვანაგრძო — მე მაინცადა-მაინც ფართოდ არ ვცხოვრობ, მაგრამ გულმა არ მიქნა, მიხდოდა ჩემი ნამუშევრების ნაწილი მიმეც მეჩვენებია ხალხისათვის. და აი, ჩემი ბინიდან ყველაზე დიდი ოთახი გამოვყავი და გამოფენად ვაქცეე. ბევრი მნახველი მოდის, როგორც თელავიდან, თბილისიდან, ისე სოფლებიდან. აქ ეცნობიან, როგორც ჩვენი რაიონის, ისე, საერთოდ, მრავალ ქართველ მოღვაწეს და ნასიამოვნები მიდიან. ეს სთქვა და წინ შთაბეჭდილებათა წიგნი დამიღო. წაიკითხე აკადემიკოს სერგი ღურმიშვილის, კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტისა და სხვა მრავალი ჩანაწერი. მნახველები ხოტბას ასხამდნენ ფოტოგრაფის ხელოვნებას. ბევრი მათგანი სურვილს გამოთქვამს, რომ ეს გამოფენა თბილისში გადმოეტანა. მართლაც, ისაყ ტორის სიცოცხლეში, მგონი 1967 წელს, თბილისში ხელოვნების მუშაეთა სახლში მოეწყო მისი ფოტო-გამოფენა. აქაც მან დიდი მოწონება დაიმსახურა. ამას მოწმობს თბილისური ჩანაწერები.

ისაყ ტორის ფოტო-გამოფენაზე ვის სურათს არ ნახავთ. რომელ მოღვაწესაც კი თელავის მიწაზე ფეხი დაუდგამს, თითქმის ყველასათვის სურათი გადაუღია.

მაგრამ სურათიცაა და სურათიც. როცა ჩვენ ტორის მიერ გადაღებულ სურათებს ჩაუვყვირებთ, დავრწმუნდით, რომ მისი ავტორი ნამდვილი ხელოვანია. სანიმუშოდ შეიძლება მოვი-

ტანოთ მის მიერ გადაღებული სურათი „ნატა ვანაძე მავნოლით ხელში“, რომელმაც საქართველოში დიდი პოპულარობა მოიპოვა. იშვიათია თელავში ოჯახი, სადაც ეს სურათი არ ეკიდოს. ასევე საინტერესოა კ. მარქანიშვილის, სანდრო ახმეტელის, უშანგი ჩხეიძის, ვასო გოძიაშვილის, აკაკი ხორავას, დოდო ანთაძის, მიხეილ ჭიაურელისა, ვერვიკო ანჯაფარიძის, შალვა ღამბაშიძისა და სხვათა სურათები. აქვეა ქართველი მეცნიერების, აკადემიკოსების დიმიტრი უზნაძის, ნიკო მუსხელიშვილის, ივანე ბერიტაშვილის, აკაკი შანიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, სერგი ღურმიშვილის, მწერლების შალვა დადიანის, იოსებ გრიშაშვილის, ფიორაგი ლეონიძის და სხვათა სურათები. ფოტოგრაფის არქივში ბლომადაა მოწონავე სოფლის მეურნეობის მუშაკთა სურათებიც. გამოფენაზე ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე „ძველი და ახალი თელავი“. ამ მხრივ მისი ფოტო-არქივი უნიკალური რამ არის, გაეცნობით რა ფოტოგრაფის სურათებს, ძველი და ახალი თელავი თვალწინ ცოცხლად დაგიდგებათ.

ისაყ ტორის მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა თელავის უმაღლეს სასწავლებელთან და თეატრთან. ამ კულტურული დაწესებულებების ისტორია გამოხატულია ფოტოგრაფის ექსპონანტებში. სასწავლო პროცესებთან ერთად გადაღებული აქვს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები ნ. ქორთუა, დ. შაფაქიძე, ა. გვენცაძე, გ. პაპავა, თეატრის მრავალი მნიშვნელოვანი დადგმა და ცალკეულ შემსრულებელთა სურათები როლებში. ტორი თელავის თეატრის გამოჩენილი მსახიობიც იყო.

ერთი პატარა მოგონებაც:

ერთ წელიწადს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდებს თავმჯდომარეობდა დიდი ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე. პატივი მქონდა ამ საგამოცდო კომისიის წევრი ვყოფილიყავი. ტორს გაეგო დიმიტრი უზნაძის ჩამოსვლა თელავში და თავისი ფოტო-აპარატით ინსტიტუტის შენობაში გაჩნდა, გადაიღო საგამოცდო კომისიის მუშაობის პროცესი. როცა თბილისში დიმიტრი უზნაძის მოღვაწეობის საიუბილეო საღამო გაიმართა, ტორმა

მომზადა აღბომი, სადაც წარმოდგენილი იყო მეცნიერის მოღვაწეობა თელავში, და იუბილარს მიართვა.

თელავის საზოგადოებამ თეატრის შენობაში საიუბილეო საღამო გაუმართა თავის საყვარელ პოეტს იოსებ გრიშაშვილს. პოეტი თელავში დარჩა ორი დღე. ამ დღეებში თელავი და მისი რაიონი მხოლოდ გრიშაშვილით იყო გატაცებული. აკაკის შემდეგ ასეთი შეხვედრა თელავს არ ახსოვს. მე მაშინ თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას განვაგებდი და წილად მხვდა პატივი ამ საიუბილეო საღამოზე ი. გრიშაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოეხსენებინა. პოეტი შემდეგ მიიწვიეს წინანდლის მეურნეობაში და პედინსტიტუტში. ი. ტორი პოეტს თან სდევდა თავისი აპარატით და ბევრი საინტერესო სურათიც შექმნა. ხოლო, როცა პოეტის საიუბილეო დღეები თელავში დამთავრდა და თელაველებმა გრიშაშვილს კახური ქუდი დახურეს და ღვინით საესე პატარა კასრი ხელში მისცეს, მაშინ ი. ტორიც იქვე გაჩნდა და პოეტს სურათი გადაუღო. შემდეგ კი ფოტოგრაფმა თბილისში პოეტს მიართვა კრებული მის მიერ გადაღებული სურათებისა. ი. გრიშაშვილმა თავისი მოღვაწეობის საიუბილეო ბანკეტი მოაწყო რესტორან „თბილისში“. ტორი თელავიდან ჩამოვიდა და ბანკეტის გადაღებით შთამომავლობას მშვენიერი განძი დაუტოვა. ეს უბრალო ღრეობა როდი იყო. ყველასათვის საყვარელმა იუბილარმა აქ ერთმანეთს შეახვედრა ქართული კულტურის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე: მეცნიერი და მწერალი, მხატვარი და კომპოზიტორი, მსახიობი და სცენისმოყვარე, ჟურნალისტი და პოლიგრაფის მუშაკი...

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ჩამოსვლისას თელავს ესტუმრა რუსი მწერალი შოლოხოვი. ფოტო-ხელოვანი დიდ მწერალს თან დაჰყვებოდა და თელავში საინტერესო სტენდიც გამოფინა — „შოლოხოვი თელავში“. შოლოხოვი მოიხიბლა ალაზნის ველითა და ქარ-

თული სიძველეებით. ამ მხრივ გამოფინდა განსაკუთრებით აღსანიშნავია სურათი, როცა შოლოხოვი ქართველ მოღვაწეებთან ერთად გრემის თავდადმართიდან გრემის ნაქალაქარში ჩამოდის. აქ შესანიშნავადაა გადმოცემული მწერლის ის ალტაცება, რომელმაც იგი მოიცვა, როცა კახეთს ათავლიერებდა.

1945 წელს თბილისში მემორიალური დაფა გააკრეს დიდი ქართველი მსახიობის ვლადიმერ მესხიშვილის ყოფილ საცხოვრებელ სახლს. ი. ტორს ესეც გაეგო და, როცა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ ვლ. მესხიშვილის პატივსაცემად დანიშნულ ადგილას თავი მოიყარეს, ტორიც გაჩნდა. შემდეგ მან მის მიერ გადაღებული ეს თავყრილობა მისახსოვრა და ჩემს არქივში ინახება. ამ სურათზე აღბეჭდილია ქართული თეატრის მოღვაწეები — შალვა დადიანი, დოდო ანთაძე, კ. ანდრონიკაშვილი, აკაკი ფაღავა, ალ. სუმბათაშვილი, ი. იმედაშვილი, ს. გერსამია, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამია, ა. ხორავა და სხვ.

ი. ტორის ფოტო-არქივი მრავალრიცხოვანია და მრავალმეტყველი. მისი ავტორი ნამდვილი ხელოვანი და უზადო ფოტო-მემატჩანეა. ამ მხრივ იგი ავრძელებს ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის ალ. როინიშვილის მიერ შექმნილ ტრადიციებს. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ როინიშვილის დასავლეთებისას სიტყვა წარმოთქვა, სადაც დიდმა პოეტმა აღნიშნა როინიშვილის დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე. ი. ტორის დამსახურებაც ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკის საპატიო წოდება.

ეს სათნო ადამიანი უღროდ წავიდა ჩვეგან, მაგრამ თავისი უანგარო მოღვაწეობით ამქვეყნად კეთილი მოგონება დასტოვა.

ი. ტორის მთელი ფოტო-არქივი ამჟამად თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. კარგი იქნება მუზეუმმა მოაწყოს ამ სურათების მუდმივი გამოფენა, რათა იგი მისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის.

ქუთაისიდან პარხევემდე

ივანე ზოგოლავსკი

რიჩრავია. საათის ისრები შეიღეს აჩვენებენ. ზუსტად არ ვიცით სად ვიმყოფებით, ვიცი რომ ვარშავას 3000 კილომეტრზე დავცდით. მატარებელი გაჩერდა. ეს სადგური რიონია. ბაქანზე გადმოვედით. წვიმს. რკინიგზას მიყვებით. ჩვენთან ერთად არიან დრამატურგი და კრიტიკოსი გურამ ბათიაშვილი, სსრკ-პოლონეთის მეგობრობის საქართველოს განყოფილების წარმომადგენელი სტანისლავ რაიჩი, ყოველი იმპულსის მსახიობი ბრონისლავ პავლაც და მე. ადამიანები გარბი-გამორბიან, საღვალად მიიჩქარიან. მოსაცდელში შევედით. ზღად ბრონისლავმა შენიშნა, რომ გვირდი ავურათ ლამაზებითა და სანთლებით გაბათებულ ბუდურუგანას. იქ უფრო მეტი ხალხი ირეოდა ვიდრე აქ, მოსაცდელში. რა უნდა ყოფილიყო? ისევე იქით მივედით, კვლავ კოლეგებს მიყვებით. მივედით. ბაზარს ჰგავს. ერთ-ერთ დასთან სამი მონეტა ქალი დგას და სათლის მჭრელ შექუჩე ისინი ჭანს, ყველს და სასმელს ჰყიდის. გურამი ამ ქალებს გამოელაპარაკა. ერთ-ერთმა ქალმა მწვენი ბოთლი გადასცა — უძველეს ქართულ ქალაქში ჩამოსულ ტემურებს ამ სასმელთ მივესალმეთ.

ქუთაისიდან მანქანა უნდა გამოგზავნათ. აი, ისიც მოვილა, ჩავსხედით. თეგს, ყველს და სასმელს შევეციკეთ. ეს სასმელი კოლეჯდისს ჰგავს. მხოლოდ ეს არის, რომ უფრო მაგარია. უკვე თენდება, ჩვენ ვნახეთ ქუთაისი დეკემბრის შუა რიცხვებში. ადამიანები საწვიმარია ლაბადებით დაიდორნენ ქუჩებში. ამან ნამდვილად გაშაოცა. რამდენიმე დღის წინათ თოვით დაფარულ ვარშავის ქუჩებში დავდიოდით. ახლა კი... მე კოლუმბად მიმიჩნდა თავი. თავი მიმიჩნდა ადამიანად, რომელმაც აღმოაჩინა საქართველო. ჩვენ ზოგი რამ გაგვეგო ამ ქვეყანაზე. ზოგად ვიცით მისი გეოგრაფიული მდებარეობის, კულტურის და სტუმართმოყვარეობის ამბები, მაგრამ ეს მაინც ზოგადი წარმოდგენა, კლტერატორიდან და მეგობართა ნაამბობიდან მიღებული შთაბეჭდილებები იყო. ახლა კი მე საშუალოდ მემოლოდა პირადი გაგნობრივი ყველაფერს. ქალაქის შუაგულში თეატრის დიდი შენობა დგას. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ომის შემდეგ აუგათა, იგი უძველესი ისტორიული ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თეატრის დირექტორის კაბინეტში ვართ. კედლებზე ცნობილ მსახიობთა და რეჟისორთა პორტრეტები ჰქვია. ყველაზე საბატო ადგილას მარკსანშვილის პორტრეტი მოთავსებულია. დიდი სხვაობა ამ პორტრეტსა და იმ ბიუსტს შორის, რომელიც თბილისში მეტროს ევსტიბიულში ეწახეთ. აქ მაქარანშვილი სულ სხვაგვარია. ზუსტად ისე შემოგვეკვირის როგორც ლეონ შოლერი (ლეონ ფონ შინდლერულ შილერონ — გამოჩენილი თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, რეჟისორი, მწერალი), ფიქრია-

ნად, ლიმილით. თითქოს გვეკითხება, ეს სად მოხვედით, ბიჭებო, ჩვენ აქაც გვექვს თეატრი, და თანაც როგორი თეატრი“. პორტრეტთან საუბარი დირექტორის მოსვლამ შეგვაწყვეტინა. დირექტორი შ. პარკელი, შთამაგონებელი შესახედამონასა. ოთახში შემოსულიც არ იყო, ზღურბლიდანვე მოგვამხა: „მე დირექტორი კი არა, უბრაველსად მსახიობი ვარ, მიხარია, რომ ჩვენს თეატრში პოლინელ მსახიობებს ვხვდები“. საუბარი უკვე გაიბა. „როგორი რეპერტუარი გაქვთ?“ — ვეკითხებით. მან დაწვრილებით გვიამბო:

— ვითამაშობ შექსპირს, მოლიერს, სარტრს, ჩეხოვს და... ზაპოლკაიას. აი, სწორედ ფოტოსურათი სექტატორიდან „პინ დელსკაის მოხალა“. სწორედ ასე გამოიყურება ზბიშევი, აი, ასეთია ჰენია და ნელია. თუ გინდათ, შეგვიძლია ხვალ დღის მეორე ნახევარში გაჩვენოთ სექტატორი. ჩვენთვის ძალზე დიდი სიხარული იქნება ეს სექტატორი ვითამაშოთ თქვენთვის“.

დაბეჭთებით ვთხოვთ დირექტორს, რომ ჩვენთვის ხუ შეცვლის გრადის. შევთანხმდით, რომ ვნახათ სამ სექტატორს „შეიდან ზინოს“, „მთვარის მოტაცებას“ და „პარაკუნეს“.

რა შთაბეჭდილება დასტოვებს ჩვენზე ამ სექტატორმა? უბრაველსად თვალში გვეკვირებურტუარის მრავალფეროვნება, სამივე სექტატორში თითქმის ერთიდაიგივე დიაპაზონი. მართლაც, რომ ჩინებულა. აქტიორული ოსტატობის შესანიშნავი სეოლაა — ვამბობთ ჩვენ და თეატრის მთავარი რეჟისორი თამაზ მესხიც გვეთანხმება და დასძენს — იქნებ ამიტომაცაა, რომ ძალიან ძნელია როლების განაწილება.

წამოსვლის წინ დიდხანს ვისაუბრეთ ქუთაისის თეატრის მუშაკებთან, მათ ძალიან აინტერესებდათ ჩვენი აზრი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ვართ, კრიტიკულ შენიშვნებსაც არ ვერიდებით. მასპინძლებს ეს სიამოვნებთ, მაგრამ ჩვენ ის უფრო გვსიამოვნებდა, რომ ვეკითხოთ და დადებითი მეტი იყო. აღგავფიქრებინა ახალგაზრდა მხატვრის ფაჩუშვილის ნამუშევრებმა. მსახიობებიც მოგვეწონა. რეჟისორებს ვეკითხებით თუ რატომ იყენებენ ასე ხშირად ფირზე ჩაწერილ მუსიკას. მოდააო ასეთი. მართალია, კავკასიის ქველ გვეყოფს და ერთმანეთს ვეაშორებს, მაგრამ ჩვენი შეხედულებები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს. მათაც იგივე პირობებში აწუხებთ, რაც ჩვენ — ძიება, თეატრი ვასაგები უნდა იყოს ფართო მასებისათვის, მაგრამ ამავე დროს უფროსად თანამედროვე და პირობითი უნდა იყოს. თეატრმა უნდა ჩაგაუთქროს, იგი უნდა განსხვავდებოდეს კინოსა და ტელევიზიისაგან. ვისაუბრებთ თეატრის დასს. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობები დალილინი და პალტოგაუხდელნი სხედან და ვინ მიჩქარებენ, ჩვენს კი მატარებელზე გვეკვიანდება, მაინც ლიმიტი ვამჩნევთ მათს სხვაებზე. მათ უდავით სურთ პროფესიულად, გულ-



ახლოდ ვისაუბროთ თეატრზე, მართალია, მსახიობები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ერთსა და იმავე ღრმა ადამიანურ გრძნობებს გამოხატავენ. კიდევ ერთხელ ვართმევთ ხელს ერთმანეთს და ვემშვიდობებით. ჩვენ უთუოდ შევხვდებით ერთმანეთს, თუ სად და როდის შედგება ეს შეხვედრა, ამას მომავალი გვაჩვენებს. ამბობენ, მთა მთას არ შეხვდება, თორემ ადამიანი ადამიანს — ყოველთვის. თუ ეს ასეა, მსახიობები მითუმეტეს უნდა შეხვდნენ ერთმანეთს.

* * *

თბილისში რომ ჩავედით, თენდებოდა, სასტუმრო „ივერიის“ ფანჯრიბიდან მოჩანს მტკვარი. იგი ისევე მყოფს მთელ თბილისს, როგორც ვისლა ქალაქ კახიმეს. ვშიშობთ თეატრში არ დავაგვიანოთ. მაგრამ ჩვენს მასპინძლებს, მიუხედავად იმისა, რომ სუფრასზე ძალიან უღარველად უჭირავთ თავი, არაფერი არ ავიწყლებათ. ამხანაგი გაიზო იაკაშვილი დღეს თბილისა და ქვემოკრთაქვებს მგზნებარე სიტყვებს წარმოთქვამს. არც ჩვენ გრჩებიან გალში.

ყველაფერი რიგზეა. თეატრში დაუგვიანებლად მივედით. ლოკაში მოვკეთავს. როგორაა ქართული თეატრი? არ გავსვენებს ეს ფიქრი, რა მოგველის. გულის დაწყევლა თუ სიხარული? გვიკმის ნაცნობი გვარი — სერგო ზაქარიაძე. სწორედ ისაა ახლა თეატრის დირექტორი. დღეს „ფედრას“ თამაშობენ. ს. ზაქარიაძე არ მონაწილეობს. ერთ-ერთი მაყურებელი მოგვიახლოვდა და ბრძონისღვა პავლიკა რუსულად ეკითხება:

— თქვენ თამაშობდით პოლონურ ფილმში „არწივი“? ამ შემთხვევით დაბნეულ პავლიკს დააიწყდა ერთი უბრალო რუსული სიტყვა „და“ და ფრანგულად წამოიჩყო საუბარი. რომელიც წარმოსადეგი ქართველი მაყურებელი დარბაზის შორეული კუთხიდან გვიჩვენებს ხელს. ამასობაში შეიქცა ჩაქრა. სპექტაკლი დაიწყო. შემოდის ულამაზესი იპოლიტი. ვედილობ გავიხსენო ამ პიესის პოლონური, ბოისესული თარგმანი, მაგრამ სცენაზე უფრო საინტერესო რამ ხდება, იქ ცოცხალი სახეებია. შემოდის ფედრა. ფედრას როლის შემსრულებელი ძალიან მოგვაკონებს ანუქ ემეს. იგი თხელ-თხელია და შავი მიკლეარე თვალები აქვს. ველოდებით პათეტიკურ შემახილებას და ხესტებს, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ ხდება, — სცენაზე დანის ღონმიხილი, უმწეო ქალი, რომელიც უსიძოდ შეეყარებულა. მე უკვე მყარა, რომ ეს ფედრა დიდი ხანია სიყვარულისაგან იტანჯება. მას უკვარს ნახალ და უსახლკრო. მაგრამ ის, ბრუნდება თუჩვესი. მან არ იცის თუ რა მოხდა და როცა იპოლიტის დანაშაულის ამბავს გაიგებ, მთელ სცენაზე მოისგრის მას.

ჩვენს შიში პირველსავე დილოგში ვაჰქრა. ჩვენს თვალწინ არიან ცოცხალი ადამიანები. სათნონი, მკაცრი და ექვიანი. ჩვენ ყუყურებთ თანამედროვე წარმოსახულ კლასიკურ პიესას. ამგვარი სცენები მე მინახავს პიტერ ბრუკის სპექტაკლებსა და კუროსივის ფილმებში. რეჟისორმა თქმანიშვილმა თავისი სპექტაკლის გამოსახვის მთავარ საშუალებად მსახიობი გაიხადა. გარდა მსახიობის მისთვის არაფერი არ იყო მთავარი. ცოტა არ იყოს შემწურდა ქართველი მსახიობებისა. პოლონურ მსახიობსაც სურს მთამაშის რიგინად, მაგრამ ხშირად ანგარიშს უწყევს მხატვარს, კომპოზიტორს, სპექტაკლის გმირად ქცევის წაღილი ხშირად აქვს რეჟი-

სორს. ქართული თეატრის სცენაზე „ფედრას“ ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ არ შეიძლება მსახიობი სამართავი თოჯინა იყოს. მაგრამ ეს სულ სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს.

კულისების მიღმა მივედვართ. პოლონეთის კულტურის სამინისტროს დირექტორი ბელიცკი, რომელიც სწორედ დღეს ჩამოსულა თბილისში, მადლობას უხდის სერგო ზაქარიაძეს და გამოსთქვამს რწმენას, რომ მომავალში ალბათ მოხდება თეატრების გაკვლა.

მეორე დღეს, 11 საათზე თეატრალურ ინსტიტუტს ვეწვიეთ. ინსტიტუტის პრორექტორმა მეორე გუგუშვილმა აუდიტორიები დავაჯარა. ერთ-ერთ აუდიტორიაში სცენურ მომართაბში ვარჯიშობდით. პრორექტორი ე. გუგუშვილი მიხსნის, რომ ეს არის სარეჟისორო და მსახიობთა ფაქულტეტის გაერთიანებული მეცადინეობა და ასეთი რამ წელს პირველად შემოიღებოდა, განახოთ გააზაროლებს თუ არაო. ამან ძალიან გაახარა და გამოაცა. უკვე თხუთმეტი წელია, რაც ვოცენობდ, რომ ჩვენში გახსნაოციელდეს პიტერ ბრუკის პრინციპი, — „მსახიობი რეჟისორთან ერთად ექცავდეს ვალს“. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მეოთხე ძალიან საქარია, და მინარია კიდევ აქ, საქართველოში რომ ხორციელდება იგი.

პრორექტორის კაბინეტში მასწავლებლებს ვისაუბრებთ სწავლების საკითხებზე. საყოველთაოდ აღიარებული მსახიობი აჯაკი ვასამე ლაბარაკობს ქართული და პოლონური თეატრის ურთიერთობის საკითხზე. იგი პირადად იცნობდა გამოჩენილ პოლონურ რეჟისორსა და მწერალს ლონ შოლერს, რამდენიმეჯერ უსაუბრნია ვილიამ ჰოეცისასთან (1932-37 წლებში იყო ლოკვის თეატრის დირექტორი. რედ.).

— „მოხარული ვარ — ამბობს აჯაკი ვასამე — რომ ვთამაშობ მოხელე მსახიობის როლს სკოპარინსკის პიესაში „მაესტრო““.

— მამ ეს თქვენა ხართ? — წამოვიძახე მე. სწორედ ამ პიესაში ახალაზრდა მსახიობის როლს ეთამაშობდი, მხოლოდ ეს იყო სატელევიზიო ფილმი. სკოპარინსკიმ ბევრი ფრანგულბრე ისესხა სტეფან იარაის ანდერმიდან. სტეფან იარაისს ანუხებდა ასე შორს, საქართველოშიც შემოაღწია! რა ამაღლებებელა!

აჯაკი ვასამეც ვემშვიდობებით და გამოუთქვამთ რწმენას, რომ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს — „მაესტროზე“. ახლა კი „სამანაშვილის დედინაკვილის“ გენერალურ რეჟეტიციაზე მივიჩქარათ.

გენერალურ რეჟეტიციაზე არც თუ ძლიერ ბევრი ხალხი იყო — რამდენიმე მოწვეული სტუმარი და პრესის წარმომადგენლები. სპექტაკლი ცოტა უცნაურად იწყება. სცენაზე თითქმის არ არის დეკორაციები. მსახიობები ჩვეულდებივ კოსტუმებშით შემოდებიან სცენაზე და იწყებენ მოთხრობის კითხვას. კითხვობენ ნელ-ნელა, მშვიდად. აქა-იქ მოთხრობის აწა თუ იმ სცენასაც კი ვთითავებდებ. ასე იწყება სპექტაკლი. მეორე სცენაზე მეფობს ზაქარიაძე — ლირსული ხანშიშესული კაცი, რომლისთვისაც საცოლოდ დაიძებენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს საცოლო რეჟისორივე უნდა იყოს და შვილი არ უნდა გაუჩნდეს. მემკვიდრეს ძალიან უფიქობიან. რა ბრწყინვალედ ვითამაშებს ს. ზაქარიაძე თვის მომავალ ცოლთან კაცობის სცენას! ვფიქრობ, თეატრალური შედევრია მოულოდნე-



ლად დაბადებული ბავშვის მილოცვის სცენა, რომელიც პანაშვილს ჩამოჰვავს. საბედნიეროდ ჩემმა ძლიერმა სიცოცხლამ არავის ყურადღება არ მიიქცია, რადგან გენერალურ რეპერტიციზე დამსწრე ადამიანები გახუცებული და გულთანად ხარხარებდნენ. რაოდენ იუმორის ფლობდნენ მსახიობები.

სალამოს „მაესტროს“ სანახავად ვავეშურეთ. მაყურებელთა დარბაზში ნემსი არ ჩავადებოდა. სირუმე. ასე რომ ჩემს მეგობარს ამ პასივურობის აქ, საქართველოში ვხვდები. მე კარგად მასხობის მისი მთელვარება, როცა „მაესტროს“ იღებდნენ, მასხობის მისი კამათი მსახიობ ციხულსკისთან — რა სიტყვებით დავამთავროთ პიესა. ციხულსკიმ თავისი გაიტანა, ის ხომ რეჟისორის როლს თამაშობდა.

— იცით რა, — სთქვა მან, — თუ ასე დავამთავრებ — მიუახლოვდები ინესს, მხარზე ხელს მივხვევ და აი, ასეთი ლიბილით ვეტყვი — მაესტრო! ეს ნიშნავს — მართალია, ჩვენ ახალგაზრდები ვართ, მაგრამ... ხომ გესმით ჩვენი... შემდეგ კარგეს მიუახლოვდები, ისევე შემოკრუნილები, თითქოს რაიმეს თქმა მსურდეს, კიდევ ერთხელ გავიძიებ და გავლა.

ამაზე სკოვრისკიმ ლიბილით სთქვა: — მე რომ ისე შემემდლოს წერა, როგორც თქვენი თამაში...

„მაესტრო“ მსახიობების სათამაშო პიესაა, იგი მსახიობების ცხოვრებას ასახავს. რუსთავეის თეატრის კოლექტივმა ეს კარგად გაიკეთა. აი, აიკი ვსააქემ წარმოსთქვა მაკეტის მონოლოგი. აპლოდისმენტები. ახლა იგი მძვავლთა სცენიდან უნდა გამოვიდეს. ყველაზე ბოლოს გამოდის მოხუცი მსახიობი აქ. ვსააქე. შემობრუნდება, თვალბში ჩასქერის ახალგაზრდა მსახიობს. სწორედ ასე ჩამხვდა თვალბში მსახიობმა ვარნეციმ ამ სცენაში. უსიტყვო ეპიზოდს იღიანს გრძელდება, იგი აღსაყვად დაძაბულობით. არც ერთი სიტყვა არ წარმოითქმის, მაგრამ დიალოგი მაინც არის და ეს დიალოგი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. საორიჯინალურად ამფორიანა ამ სცენამ. მე კარგად ვიცი თუ რა სიტყვა სურდათ ორ მოხუც მსახიობს. პოლონელსა და ქართველს. ბუნებრივია, რომ ჩემი შთაბეჭდილებები ამ სპექტაკლზე არ შეიძლება ობიექტური იყოს.

სპექტაკლის შემდეგ ჩვენ გაბრუნებული ვიყავით და მე ვთქვი იმათი სადღევარებლო ვისაც უყვარდა და უყვარს თეატრი.

მეორე დღეს მოთულდნებოდა გველდა — ვეწვიეთ დიდი მხატვრის ლადო გუდიაშვილს სახელსოსს. ამ მხატვრის თამაზზე თავის

დროზე ეურნალ „სეიტიში“-ში ბევრს სწავლობდა ვესლაე გურნიცი. ფიგურით აღსაყვად სახელსოსის ნიშნი მხატვრის მუშაზე შემოგვეგება. დიასახლისის მომხიბველობას თავისი გააქვს და რამდენიმე წუთის შემდეგ ისე ვლაპარაკობთ, როგორც ძველი ნაცნობები. გუდიაშვილის ნახატები მსოფლიოს მრავალ მუზეუმშია შენახული, მაგრამ მეტი წილი მაინც თბილისშია, მისი ნაშთი. თვით მხატვარიც ძალიან მოვიდა. ჰადარა, მოკრძალებული, წყნარი, თავისი ქვეითი გოცენ ბრინჯისკის მოგაგონებთ. მრავალ ნახატა შორის პავლიკის ყურადღება ერთმა მიიქცია — „გულის ვადანერგვა“. ასე ერქვა ნახატს. პავლიკი დაინტერესდა როდის შეიქმნა ნახატი. პირველ ოპერაციამდე თუ შემდეგ? ოპერაციამდე ძალიან დიდი ხნით ადრე. ასეა, როცა ხელოვნება უსწრებს ცხოვრებას. ჩვენ ვჩერდებით „თეთრი ცხენების“, „ხილის კრებვის“, „მომლიანე ქართველი ქალის“ და „გაზაფხულის“ წინ. ჩვენ სპეციალისტები არა ვართ, მაგრამ შთაბეჭდილება კი უდიდესი მივიღეთ. ამ შთაბეჭდილებათა სრული გადმოცემა შეუძლებელია.

შემემლო ბევრი მელაპარაკა ჩვენს შთაბეჭდილებებზე, საქართველოს არქიტექტურაზე, სკეტურცხველზე, მთაწმინდის პანთეონზე, გრიბოელოვის საფლავზე, მაგრამ ფერთიხობა, ბოროტად არ გამოვიყენო მკითხველის ნიშნა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ — ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც ადამიანებმა მოახდინეს ჩვენზე, ადამიანებმა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, შრომობენ და ამ თბილისის განუყოფელ ატმოსფეროს ქმნიან. მე აღნიშნავთ, რომ ვარწმუნედი კაცისათვის პარისი, ბუდაპეშტა და ლენინგრადს სპეციალური მომხიბლობა გააჩნია მეტივ. დღეს ამ სამ ქალაქს მეოთხეს — თბილისს ვუმაჯებ.

ჩვენი შემოქმედებების თაობაზე, მართალია, მოკლედ, მაგრამ მაინც ამომწურავად ვესაუბრეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეს დ. ანთაქის — (იგი ძალიან ჰგავს პოფფესორ კრანოვეცკის). ჩვენ ძალიან ჩქარობდით, რადგან წინ კიდევ მოსკოვი იყო. ხელის ჩამორთმევა, დამშვიდობება სუენერების ვაცელა, საჩუქრების მიღება და ჩვენ უნაქ პაერში ვართ. წასულამდე სტ. რაიჩის ვიხოვეთ ქართველი მეგობრებისათვის გადათარგმნა ცუხარის ცნობილი ამოთქმის ჩვენიველი ინტერპრეტაცია: „მოვიდით, ვინახეთ, დავმარცხდით“. როცა სტ. რაიჩი აღბათ, ამ ფრაზას ნ. შვანგირაძის და ვ. იაკაშვილს უთარგმნიდა, ჩვენ უძლიერეს ტუ-104-ში ვისხედით.

საიუბილეო საღამო

17 აპრილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კმ თო კალინინის სახ. რაიკომის მეორე მდივანმა ი. თურმანიძემ.

მოსხენება თემაზე — „ლენინის სახე ქართულ დრამატურგიასა და თეატრში“ — წაიკითხა დ. ჯანელიძემ.

საღამოს მონაწილენი შეხვდნენ ლენინური პრემიის ლაურეატებს — სსრკ სახალხო არტისტებს, ლენინური და სახელმწიფო პრემიების

ლაურეატებს ვახტანგ ჰაბუციანს და სერგო ზაქარიას. მათს შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა ნ. შვანგირაძემ.

მოგონებებით გამოვიდნენ ქართული ლენინის მონაწილეები: სსრკ სახალხო არტისტები, ლენინის ორდენოსნები მ. ჭიაურელი და აქ. ვასაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე.

ამვე დღეს გაიხსნა გამოფენა „ლენინის სახე საქართველოს თეატრების სცენაზე“, რომელიც მოაწყეს თეატრალურმა საზოგადოებამ, სათეატრო მუზეუმმა და ხელოვნების მუშაკთა სახლმა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოებრივი მედიის ცენტრი

9 მარტს საქართველოს თეატრალური საზოგადოების კრიტიკის სექციამ მოაწყო რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლის „სამანიშვილის დედინაცვლის“ განხილვა.

განხილვა გახსნა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ გ. იაკაშვილმა. მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დოცენტმა შ. მაჭავარიანმა. შ. მაჭავარიანმა აღნიშნა, რომ რეჟისორებმა თემურ ჩხეიძემ და რობერტ სტურუამ „უღრესად თავისებური, სრულიად განსხვავებული ფორმა მონახეს... სპექტაკლი პირობით ასპექტში გადაწყვიტეს, მაგრამ საოცარი სიმართლის ძალა მისცეს“.

მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლის თონაწილ მსახიობთა — ს. ზაქარაიის, გ. გიგუქორის, რ. ჩხეიძის და სხვათა შემსრულებლობით ოსტატობას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: თეატრმცოდნე ელენე ვიროკველია, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ, რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე ქ. იმედაშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძემ და სსრკ სახალხო არტისტმა, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა — ს. ზაქარაიამ.

სამართლებელი თეატრალურმა საზოგადოებამ და თბილისის ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრმა გამართეს ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის, მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის დღე მკელაძის დაბადებიდან 80 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. მოხსენება: „დღეიდან ძნელადის ცხოვრება და მოღვაწეობა წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ბ. გამრეკელმა.“

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სსრკ სახალხო არტისტი მ. ჭიაურელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, მარჯანიშვილის თეატრის სახელაფი სსრკ სახალხო არტისტები: ვ. ანჯაფარიძე, ვ. გომიანიშვილი და თეატრის დირექტორი ან. ქუთათელაძე, რუსთაველის სახ. თეატრის სახელით — რესპუბლიკის

სახალხო არტისტები ემ. აფხაიძე და ბ. ზაქარაიძე, კულტურის სამინისტროს სახელით — ე. მითაიშვილი და სხვები.

27 მარტს ტელევიზიის მეოხებით აღინიშნა თეატრის საერთაშორისო დღე, ამ დღისადმი მძღვენილ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დ. ანთაძემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა დ. ჭანელიძემ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ილაპარაკეს ქართულ თეატრში მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

30 მარტს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ზესტაფონის სახალხო თეატრთან ერთად თბილისში შემოქმედებითი საღამო გაუუმართა ამავე თეატრის მსახიობებს — ანკო არაბიძესა და პაპუნა წერეთელს.

საღამო გახსნა და იმბილარებს მიესალმა დ. ანთაძე. მოხსენება ანკო არაბიძისა და პაპუნა წერეთლის შემოქმედებითი გზის შესახებ წაიკითხა გ. ხიჯაიძემ. მისასალმებელ სიტყვებში გამოვიდნენ: თბილისის გარკის სახ. კლუბის სახელით — ბ. ვაშაძე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის სახელით — ნ. ჩხეიძე, რეინგზის სახალხო თეატრის სახელით — ე. კიკაბიძე, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით — ნ. გომარტელი, პროფესორის ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით დრამატურგი აკ. დევიძე, ხელოვნების მუშაკთა სახლის სახელით — ნ. თეატრი, ვაქრობის მუშაკთა კულტურის სახლის სახელით — მ. მოსიშვილი, თეატრალური საზოგადოების სახელით — ნ. შვანგირაძე, ზესტაფონის სახალხო თეატრის სახელით — ტ. მაჭავარიანი.

7 აპრილს თეატრალური საზოგადოების საბავშვო თეატრალურმა სექციამ განიხილა თბილისის თოჯინების თეატრის სპექტაკლები. სხდომა გახსნა ამავე თეატრის დირექტორმა, თეატრმცოდნე თ. ჭანელიძემ, სპექტაკლების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ე. კარსანოვმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა რ. შაფთოშვილმა და თეატრმცოდნე ნ. არველაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. შვანგირაძემ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. ცუცქერიძემ.

მიხეილ ქორეალის მოგონებები და ნაჩილაბი

პივი ჯიოჯვილი



ამ ცოტა ხნის წინათ ქართველმა მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი ახალი წიგნი — მიხეილ ქორეალის „მოგონებები და წერილები“¹.

წიგნი წარმოადგენს ჩვენი ქართული კულტურის მოღვაწეების და მათი საქმიანობის შესახებ მოგონებების კრებულს, რომელთაგან ყველაზე ვრცელი ნარკვევი ეხება ავტორის მამის, პირველი ქართველი მომხრელი მსახიობის ფილიმონ ასესს მე ქორიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს ბიოგრაფიული ნარკვევი ცალკე წიგნად პირველად გამოიცა 1949 წელს. ამ მოთხრობილი ფაქტები ავტორს ნაწილი ფილიმონისაგან აქვს მოსმენილი, ხოლო მეტი ნაწილის მამსწრე და მხასველი კი თითონ ყოფილა.

მ. ქორელი ფილიმონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას იწყებს ქორიძეთა გენეალოგიით, შემდეგ გვიხატავს ხელ ბავშვობას, რომელიც გაატარა მომავალმა ხელოვანმა გურიაში. ავტორი აღწერს ფილიმონის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და თბილისის სემინარიაში სწავლის წლებს. წიგნიდან ვგებულობთ, რომ ფილიმონი პირველი ქართველი მსახიობია, რომელიც სიმღერის შესასწავლად იტალიაში მიიწვიეს გაემგზავრა. სხვადასხვა დროს ფ. ქორიძე მოღვაწეობდა პეტერბურგში, იტალიაში, ბოლოს ჩამოვიდა სამშობლოში და დიდ საშვილიშვილო საქმეს — ქართული სიმღერა-გალობის ჩაწერას მოჰკიდა ხელი.

მოგონების ავტორს პირადი მეგობრობა აკავშირებდა გამოჩენილი ქართველ მოღვაწეებთან — ზაქარია ფალიაშვილთან, ლადო მესხიშვილთან, დავით კლდიაშვილთან, ვიორჯი არაღელ-იშხნელთან და სხვ. მათთან გატარებულ შემოქმედებით თანამეგობრობაზე საინტერესოდ არის მოთხრობილი კრებულში.

მომდევნო თავში მკითხველი დიდი სიამაყით გაიგებს, რომ ჯერ კიდევ რევოლუციამდე, რეაქციის მძინვარე წლებში, საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მცხოვრებ ქართველების მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერების გუნდი. ამ წამოწყების მესვეურმა ე. ანდრონიკაშვილმა, რომელიც მამის პარიზში სობორნის უნივერსიტეტში სწავლობდა, გუნდის ხელმძღვანელად იმხანად პარიზში მყოფი მიხეილ ქორელი მიიწვია. მ. ქორელის ენერჯიული და თავდადებული შრომის შედეგად პარიზში დიდი პოპულარობა მოიპოვეს ქართულმა სიმღერებმა.

კრებულის უკანასკნელ თავში მოთხრობილია მ. გორკის პიესის „უქანასკენლის“ ქუთაისის სცენაზე დადგმის ამბავი. ეს დადგმა 1910 წლის სეზონში განახორციელა მ. ქორელმა. „უქანასკენლის“

ქნელნი“ ცენზურის მიერ აკრძალულ პიესად ითვლებოდა. მ. ქორელი ბევრს ეცადა და როგორც იქნა გამოსტყუა ცენზურას ამ პიესის დადგმის ნებართვა. „უქანასკენლის“ დადგმა ქართულ თეატრალურ ცხოვრების ისტორიაში დიდ მოვლენად არის მიჩნეული.

მ. ქორელი როგორც თეორიულად, ისე პოლიტიკურად მომხადებული რეჟისორი იყო. მან კარგად აუღო ალღო ეპოქის დამახასიათებელ მოვლენას. რევოლუციის დროებითი მარცხით პეისისტურად განწყობილ საზოგადოებას განხეხევდა ესაპირებოდა. პროლეტარული მწერლის მ. გორკის დრამატურგიაში ცხოვრების გარდაქმნის მთავარ მამოძრავებელ ძალად გამოყვანილი იყო ხალხი, ამიტომაც მიიტანა მ. ქორელმა არჩევანი აღნიშნულ პიესაზე.

მიხეილ ქორელს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხალხური შემოქმედებისადმი ინტერესი, უყვარდა თეატრი, მუსიკა. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად, ჩაირიცხა შუშის ქარხნის მუშაოთვითომქმედ თეატრალურ კოლექტივში, რომელსაც რევოლუციურად განწყობილი სახალხო მასწავლებლები ხელმძღვანელობდნენ. მათთან კავშირითიერთობის შედეგად მ. ქორელი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსამიმედო პარტიზენი, აითვალწუნეს, რის გამოც იძულებული შეიქნა დაეტოვებინა პეტერბურგი, გადასულიყო მოსკოვში და ჩარიცხულიყო ლანარევის ინსტიტუტში. მოსკოვშიც აქტიურად ჩაება სახალხო თეატრის საქმიანობაში, მკვლევარ კონტაქტი დაამყარა სამხატვრო თეატრთან, დაიარებოდა სპექტაკლებზე, ეწირებოდა რეპერტიციებს. იმ დროს სამხატვრო თეატრში მიმდინარეობდა ბრძოლა რეალისტური და სახალხო ტრადიციული დამკვიდრებისათვის, რასაც დიდი ყურადღება მიჰქცია მომავალმა რეჟისორმა. ასეთია მ. ქორელის მიერ განვლილი ის რთული და საინტერესო ცხოვრების გზა, რომელსაც ვერცხობით წიგნის ბოლოში დართულ ლ. კაპანაძის კრიტიკულ წერილში.

სარეცენზო წიგნის ირველიც გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც, რომელიც წიგნის ღირსებას ჩრდილს არ აყენებს. ასე მაგალითად: ჩვენი აზრით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა წიგნის სათაურად ჰქონოდა „მოგონებები“ და არა „მოგონებები და წერილები“, რადგან აქ მოთავსებული მასალა მთლიანად მოგონებებს შეიცავს. არც წიგნის საჩივრე გამოიყურება სწორად. თუ საჩივრს მივყვებით, მე-3 გვერდზე უნდა იყოს სათაური „მიხეილ ქორელი“, სინამდვილე-

¹ საქართველოს თეატრალური საზოგადოება, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1969 წ., შემდგენილი ლ. კაპანაძე.



ში წიგნში ეხებებით სხვას — „მომავალ ქართული სცენისა“. მართალია, შინაარსით ეს იგივე „მიხეივ ქორელია“, მაგრამ სარჩევს ხომ „წიგნში მითაქსებულ ნაწარმოებთა ან ცალკეული ნაწარმოებების თავების, პრაგმატების სიაა, რომელიც თავში ან ბოლოში ერთვის წიგნს გვეზღვრის მითითებით“.

გავყვით სარჩევს: მე-7 გვერდზე მითითებულია „ფილიმონის ბავშვობა“, სინამდვილეში წიგნის ამ გვერდზე მოთავსებულია ნარკვევის მოთვარი სახელწოდება — „ფილიმონ ქორიძე“, ხოლო „ფილიმონის ბავშვობა“ — კი ქვეთავია. აღნიშნული ნარკვევი თორმეტი ასეთი თავისაგან შედგება, რაც სარჩევში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი, ე. ი. ქვეთავი — მოთვარი თავისაგან არ არის გამოყოფილი.

ლ. კახანაძე არსად არ ასახელებს მ. ქორელის დაბადების და გარდაცვალების თარიღებს. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ თვით

მ. ქორელი თავის დაბადების თარიღად სხვადასხვა წლებს გეთავაზობს; სარეცენზიო წიგნში (გვ. 42) ვკითხულობთ: „მე თქვენი მონა-მორჩილი 1875 წელს დაიბადე“, უფრო „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1969 წ., № 2, გვ. 81) კი თვითრმცოდნე ვ. კენაძეს მოჰყავს მ. ქორელი-სავე ავტობიოგრაფიული ჩანაწერი, სადაც წერს: „დაიბადე იტალიაში, ქ. მილანში, 1876 წელს“.

წიგნი საინტერესოა და მისი გამოცემა მისასალმებელია, მით უფრო, რომ დროა შეიქმნას სერია — „ქართული რეჟისორის ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად დაისახავს ქართველი რეჟისორების ესთეტიკური შეხედულებების და მათ შესახებ გამოთქმული ნააზრევების წიგნებად გამოცემა. ამ მხრივ ეს წიგნი ერთი პირველთაგანია.

¹ „თეატრალური ენციკლოპედის“ მე-3 ტომშიც (გვ. 195) მ. ქორელის დაბადების თარიღად 1876 წელია დასახელებული.

თქალის ერთი ბელაჯილით არჩილ ღაბითიანი

მომხმ სომხეთის თეატრალური საზოგადოების სერია — „სომხური სცენის ოსტატები“ — კიდევ ერთი მონოგრაფიით გაძლიერდა. ეს არის სურენ არუთუნიანის შრომა ნაციონალური სუპერით, რომელსაც თეთრი ასოებით აწერა „ალექსანდრე აბარიანი“. დიან, მონოგრაფია ეძღვნება სომხური სცენის ამაღარს, საქართველოს და სომხეთის სს რესპუბლიკების ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის — ალექსანდრე აბარიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ავტორს გულმოდგინედ შეუსწავლია ქართული, სომხური და რუსულ პერიოდულ პრესაში ა. აბარიანის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნებული მასალები, თვითონ აბარიანის მიერ სასცენო ხელოვნებაზე დაბეჭდილი წერილები, აგრეთვე მისი მემორანდუმისა და აღზრდილების მოგონებები და მათი ვაზარების ფონზე აცოცხლებს ა. აბარიანის, როგორც ნაჭიერი მსახიობის, მგზნებარე რეჟისორისა და თეატრისათვის თავდადებული მოღვაწის სახეს.

ა. აბარიანს შემოქმედებითი ცხოვრების საინტერესო გზა გაუვლია. მას 107 სექტაქლი დაუდგამს სახელმწიფო თეატრებში, 70 როლი შეუსრულებია, დაუწერია მრავალი გიგანტური ხელოვნების პრობლემებზე. ამ სტატიებიდან ჩანს, რომ მას, როგორც რეჟისორს, ევერტი ვახტანგოვის, კოტე მარჯანიშვილის, არშაკ ბურჯანიანის, ალექსანდრე ახმეტელის გავლენები განუცდია, თავის უშუალო მასწავლებლად კი კ. სტანისლავსკი მიანიჭდა... ახალი ცხოვრების წლებში, როცა ფართო შემოქმედებითი ასპარეზი გადაიშალა მის წინაშე, თავისი სექტაქლებით ა. აბარიანი იბრძოდა კულტურული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის პათოსის გამომხატველი ისეთი მაღალ-იდეური თეატრისათვის, სადაც წამყვან ადგილს იღებდა ახალი ადამიანის მსოფლშემეცნება; სექტაქლებით — „ინტერვენცია“, „კრემლის კურანტები“, „ფსკერზე“, „არისტოკრატები“, „მტრები“ ა. აბარიანს ახალი სურნაქვა შეუტანია სტ. შაუშიანის სახ. თბილისის სომხური თეატრის შემოქმედებითს

ცხოვრებაში. ეს ყველაფერი წიგნში თანამიმდევრულად არის აღწერულ-გააზრებული, მაგრამ ქართული მითხველს, ბუნებრივია, პირველ რიგში აინტერესებს საქართველოში მოღვაწე რეჟისორის ქართულ სინამდვილესთან ურთიერთობა. ამიტომ უპირველეს ყოვლისა წიგნის იმ ადგილებზე შეეჩერდება, სადაც ნათლად ჩანს ა. აბარიანის შეხვედრები ქართულ სინამდვილესთან.

პირველი შეხვედრა დაკავშირებული ყოფილა დიდი ქართველი მწერლის რომანტიკული ეპოპეის — „არსენა მარაბდელის“ სომხურ სცენაზე ამტყველებასთან. არსენას როლის შემსრულებელი ბ. ნერსისიანი (ამჟამად სომხეთის სსრ სახალხო არტისტი) იმ დროს გამოქვეყნებულ წერილში ასე იგონებს იმ პერიოდს: „რეჟისორმა ა. აბარიანმა „არსენა მარაბდელი“ საგმირო-რომანტიკული სულით გაფენილი სექტაქლად გაიზარა. ამას სხვა პერსონაჟების შვაი სამოსიდან გამოჩეული ჩემი ტანსაცმელიც დალაგებდა. მე ცოტა გვიან მივხვდი, რომ ჩემს არსენას კარლოსის („ყაჩაღები“) სული ჰქონდა, მაგრამ ქართული და თეატრულია. როლი დამაძლევია, აღზათ, ტემპერამენტით თამაშმა და იმ სინამდვილისადმი რწმუნებამ, რასაც პიესა ასახავდა. სომხურ „არსენა მარაბდელს“ დაესწრო მ. ჯავახიშვილი (რომანის ავტორი). ნამდვილი ზემოის დღეები იყო: ჩვენ ქართულ „არსენას“ ენათულობდით, ქართველები სომხურ „არსენას“. ყველა ვახარებელი ვიყავით, მტკბარე აბარაანი“ (გახ. „პროლოგები“, 1936 წ., № 93).

მეორე შეხვედრა: სომხურ სცენაზე შალვა დადიანის ღამა — „ნაპერსკლიანი“. პიესის დადგამს სტ. შაუშიანის თეატრში დიდი გამოხმაურება ჰქონდა. დრამატურგს გულთბილი სტრიქონებით მიუმართავს ა. აბარიანისთვის: „მე დღეს ვემადლოვებები საქართველოს სსრ უმაღლეს სახელის დეპუტატს, თეატრის მოთავს რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ამხანაგ აბარიანს იმ უზარმაზარი მუშაობისათვის, რაც მას გაუწევია პიესის დასადგმელად“ (გახ. „ხორპურდანი ვრასტანი“, 1939 წ., № 84).

მესამე შეხვედრა: საქართველოში დიდი პოე-



ტის აკაი წერეთლის დაბადების 100 წლისთავით აღინიშნება. თბილისის სომხურ თეატრში ა. აბარიანის ინიციატივით ტარდება აკ. წერეთლის სახელის მიძღვნილი საღამო. სხდომა შესავალი სიტყვით გაუხსნია ა. აბარიანს. პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება გაუკეთებია ცნობილ კრიტიკოს ბ. ჯღერტი. შემდეგ წარმოუდგინათ აკ. წერეთლის კომედი „ქინტი“, რომელიც ა. აბარიანს ქართული ხალხის ამ ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად მოუშალა.

მეოთხე შეხვედრა: სომხურ სცენაზე ა. სუმბათაშვილი-იუვიჩის „ლალი“. რეჟისორია ა. აბარიანი. მონაწილეობენ სომხური თეატრის წამყვანი მსახიობები: სულემანი (არტ. ლუსინიანი), ოთარ-ბეგი (ა. დორი-ამირბეიანი), ანა-ლი (ა. ბერბიანი), ზეინაბი (მ. ბერბიანი) და სხვ.

„ლალი“ ისტორიულ-ლეგენდარული სიუჟეტი, მისი იდეოლოგია სექტაკალი დიდი ისტორიებით არის გამოხატული. ამით აიხსნება ის ცხოველმყოფელობა, მაღალი და გმირული პათოსი, რომელიც ბოლომდე გასდევს წარმოდგენას. — წერს შ. აფხაიძე (გაზ. „ხორპრდინი ვრსატნი“, 1944 წ., № 12).

მეხუთე შეხვედრა: სტ. შაუმიანის სახ. სახელმწიფო თეატრში პირველად გამოჩნდებიან ილია ჭავჭავაძის პერსონაჟები. თბილისის სომხური თეატრის არსებობის 100 წლის თავზე ა. აბარიანი დგამს „გლახის ნაშობობა“. ქართული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს სექტაკლს: „მწვევე სოციალურ ფონზე იშლება შინაგანი დინამიკით და გამომსახველობით აღბეჭდილი სცენები, რომლებშიც წინა პლანზე დგება წარმოების არსი — თავდაზნაურობასა და გულგნობას შორის ჭეშმარიტი სიყვარულის შეუძლებლობის ტრაგიკული კონფლიქტი“ (გაზ. „თბილისი“, 1958 წ., № 122).

წიგნში რამდენჯერმე არის მოხსენებული სექტაკლების დამსახურებელი მოღვაწე გუგუზი ბუნხიაშვილი. იგი მაღალ შეფასებას აძლევს ა. აბარიანის რეჟისორული ნიჭის და მის ეროვნოტ სექტაკლს (გურგენ ბორიანის „ერთ ჰერქეში“) „უდავო წარმატებად“ თვლის (გაზ. „ვეჩერნი ტბილისი“, 1959 წ., № 34).

საქ. სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე წიგნის ავტორთან საუბარში ასე ახასიათებს ა. აბარიანს: „ქართველ-სომხები ხალხებისათვის მას შეეძლო სარგებლობა მოეტანა როგორც ინიცინერს, მხენელ-მთესველს, ექიმს... მაგრამ მან სახალხო თეატრი, თეატრალური ხელოვნება ირჩია და თავისი არჩევანისათვის ბოლომდე არ უღალატია. ა. აბარიანის დადგმული სექტაკლები დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ არა მარტო სომხ, არამედ ქართველ, რუს, აზერბაიჯანულ და სხვა მაცურებლებშიც“. აქვეა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის, ბალეტმეისტრის დ. მაკავარიანისა და თეატრმეიქანის მ. გოვიაშვილის გულთბილი სტრიაჟებიც. ა. აბარიანის პიროვნულ ღირსებებზე, მის თეატრულ მოღვაწეობაზე.

რა თქმა უნდა, წიგნი უნაყოფი არ არის, შეიძლებოდა მის ნაკლებ რამდენიმე სიტყვა თქმულიყო, მაგრამ სჯობია ეს წერილი ასე დასრულდეს. ა. აბარიანმა თავისი მოღვაწეობის დიდი ნაწილი საქართველოში გაატარა, თბილისში ჰპოვა თავისი ნიჭის გაფორმების ასპარეზი, აქ ეხორა საზოგადოებრივ აღიარება-დაფასებას და აქვე განისვენა, ამიტომ, როცა ასეთ მოღვაწეზე მონოგრაფია იწერება და ქართულ სინამდვილესთან მისი ურთიერთობა პიროვნულად და საღებავების გაუმჭვირებად არის წარმოსახული — ასეთი ნაშრომის ავტორისადმი მაღალმოს მტერი არა გვეთქმის რა და მეიც ამ გრძნობით ვამთავრებ თვითონ ერთი გადართულით ჩაითხულ წიგნზე საუბარს.

თეატრალური ლიბრაჟურის ბიბლიოგრაფია

1961 — 1970 წ.წ.

აკაი ხორავა. — დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული (შემდგ. ნ. შვანგირაძე). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965 წ., 89 გვ.
ალექსიძე დ. — რეჟისორის მუშაობა სექტაკლზე. თბ., „ხელოვნება“, 1961, 261 გვ.
ალიშანაძე ა. — ბეთსევენი. (მთარგმნ. ვ. ბერიშვილი). თბ., „ნაკადული“, 1963, 295 გვ.
ამირანაშვილი შ. — საქართველოს წვლილი მხატვრული კულტურის სავანძურში. თბ., „საბჭ. საქართველო“, 1965, 28 გვ.
ანთაძე დ. — დღეები ახლო წარსულისა. (მოგონებები). თბ., „ხელოვნება“, 1962, 378 გვ.
ანთაძე დ. — დღეები ახლო წარსულისა. (რეჟისორის მოგონებანი). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966, 403 გვ.
ასათიანი მ. — დღო ანთაძე. (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., „ხელოვნება“, 1962, 57 გვ.
აფხაიძე შ. — აკაი ხორავა. (მონოგრაფია). თბ., „ხელოვნება“, 1962, 121 გვ.
აღსაბაძე შ. — სამსახიობო ხელოვნების საკითხები. (რეჟისორის ნაფიქრ-ნააზრები). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965, 111 გვ.
ახმეტელი ალ. — წერილები. (შეადგ. წინასიტყ. და შენიშვნები დიურთო ვ. კიკნაძემ). თბ.,

„ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964, 181 გვ.
ბარამიძე გ. — კოტე მარჯანიშვილი. თბ., 1967, 19 გვ.
ბარელი-უანჩელი გ. — სცენისმოყვარის ჩანაწერები. თბ., 1962, 104 გვ.
ბაკანიძე თ. — უკრაინული თეატრი თბილისში. თბილისის უნ-ტის გამბა, 1967, 396 გვ.
ბატურაძე ზ. — საქართველოს ფილარმონია. (მოკლე ნარკვევი). თბ., „ხელოვნება“, 1962, 47 გვ.
ბურთიკაშვილი ა. — თეატრალური პორტრეტები. თბ., „ხელოვნება“, 1962, 158 გვ.
ბურთიკაშვილი ა. — ლაღო მესხიშვილი. (ცხოვრება და შემოქმედება). თბ., „ნაკადული“, 1962, 121 გვ.
ბურთიკაშვილი ა. — ნინო ჩხეიძე. (მონოგრაფია). თბ., 1963, 26 გვ.
ბურთიკაშვილი ა. — უშიშარი და გულმართალი. (მონოგრაფია გ. გუნიავაზე). თბ., „საბჭ. საქართველო“, 1965, 180 გვ.
ბურთიკაშვილი ა. — დღეები ჩხეიძე ცხოვრებისა. (მოგონებანი). თბ., საქართველოს თეატრალური საზოგადოება. 1968, 176 გვ.
ბუხნიკაშვილი გ. — გორის თეატრი (დაარსე-



ბიდან 100 წლისთვის გამო). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965. 120 გვ.

ბუნხიაშვილი გ. — თამარ ჰავევაძე. თბ., „ხელოვნება“, 1961. 32 გვ.

ბუნხიაშვილი გურ. — თამარა ჰავევაძე (მსახიობის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1969. 29 გვ.

ბუნხიაშვილი გ. — წერილები თეატრზე. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964. 292 გვ.

გამრეკელი თ. — 30 წელი საოპერო სცენაზე (მოგონებები). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964. 17 გვ.

გაჩიჩიანი ა. — ნარკვევები XIX საუკუნის მეროვი ნახევრის ქართული დრამატურგიისა და თეატრის ისტორიიდან. თბ., საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1963. ნაწ. 2, 388 გვ.

გაგეჭკორი კ. — ლტობნარის მოგონებანი. თბ., „ხელოვნება“, 1961. 115 გვ.

გვარამია ლ. — მთაწმინდელი მოცეკვავე-ალექსი ალექსიძე. თბ., „ხელოვნება“, 1962. 59 გვ.

გომელაური შ. — მოგონებანი. მე-2 შეცხ. გამ. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1962. 193 გვ.

გორჩაოვი ნ. — კ. ს. სტანისლავსკის რეჟისორული გავებით. სუბრები და რეჟისორის ჩანაწერები. თარგმნა ე. ქუთათელაძემ. თბ., „ხელოვნება“, 1962. 542 გვ.

გრიშავილი ი. — თხზულებათა კრებული 5 ტომად. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1965. ტ. V, მინიატურები, ლიტერატურული ნარკვევები, ქართულ თეატრში. მოგონებანი. 468 გვ.

გუგუშვილი ე. — ავაი ხორავა. (სსრკ სახალხო არტისტი). თბ., „ნაკადული“, 1962. 70 გვ.

გუგუშვილი ე. — თეატრალური პორტრეტები (ვ. ანჯაფარიძე, გ. გომიშვილი, ავ. ვასაძე, ს. ზაქარაძე, ბ. კობახიძე, ავ. ხორავა, ვ. ჰაბუკიანი, თ. ჰავევაძე). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965. 247 გვ.

გუგუშვილი ე. — ქართული საბჭოთა თეატრი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1964. 32 გვ.

გუგუშვილი ე. — პიერ კობახიძე (მონოგრაფია). თბ., 1968. 28 გვ.

გურაბანიძე ნ. — გიორგი შავგულიძე (მონოგრაფია). თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1963. 92 გვ.

გურაბანიძე ნ. — სტანისლავსკი. (მონოგრაფია). თბ., „ნაკადული“, 1963. 157 გვ.

გურაბანიძე ნ. — სცენა, რეჟისორი, მსახიობი. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1966. 289 გვ.

დასავლეთ ვერძობის თეატრის ისტორია (დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლ. თეატრალური სკოლების თეატრმოდერნიზაციის ფაქულტეტებისათვის). ს. მოკელისკის საერთო რედ. ტ. I თბ., „ცოდნა“, 1961. 841 გვ.

დიტაიანი ვ. — ლეონარდო და ვინჩი (მთარგმნ. ლ. მიციანი). თბ., „ნაკადული“, 1963. 197 გვ.

დოლიძე ნ. — ჩემი ძმა ვიქტორი. (მოგონებები). თბ., „ნაკადული“, 1969. 171 გვ.

ევაძე ო. — ქართული ბალეტი. ქორეოგრაფიული ნარკვევები. თბ., „ხელოვნება“, 1961. 233 გვ.

ვასო გომიაშვილი. — დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბრილო კრებული. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965. 111 გვ.

ვანაძე ნ. — მოგონებანი და შეხვედრები.

თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966. 175 გვ.

ვახანიშვილი თ. — კოტე მარჯანიშვილის ექვსი სექტაჯლი (ქართულ და რუსულ სცენებზე). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963. 185 გვ.

ვაჭარია ფალიაშვილი. ბიოგრ. ცნობარი. თბ., 1964. 32 გვ.

თაყაიშვილი ალ. — მოგონებები (ვ. კენჭაძის წინასიტყვაობით). თბ., საქართველოს თეატრალური საზოგადოება. 1969. 100 გვ.

თფუაძე ა. — უშანგი ჩხიძე. (მონოგრაფია). თბ., პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, 1961. 39 გვ.

იაკაშვილი გ. — ბავუფი დრამატიკოსი. (რეჟისორი. ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1969. 25 გვ.

იმედლავილი ა. — მოგონებანი. (ტ. იაშვილის შესავალი წერილით). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963. 221 გვ.

ინაიშვილი ა., ნოღაიდელი ჯ. და ჩხიკავაძე გრ. — აპარული მუსიკალური ფოლკლორიდან. თბ., საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1961. 70 გვ.

იოხაშვილი ს. — დები იშხნელები (ესტრადის მომღერლები). თბ., „საბჭ. საქართველო“, 1964. 27 გვ.

კალაშნიკოვი ი. — სტანისლავსკის თეატრალური ეთიკა. მთარგმნ. ფატი გოციელი. თბ., „ხელოვნება“, 1963. 115 გვ.

კასრაძე ს. — ავსტრალი (ვაგარელი. (ბიოგრაფ. ნარკვევი). თბ., „საბჭ. საქართველო“, 1966. 86 გვ.

კაშმაძე შ. — ვანო სარაჯიშვილი. მონოგრაფია. თბ., „ხელოვნება“, 1969. 275 გვ.

კეკელიშვილი ნ. — ალექსანდრე თაყაიშვილი (რეჟისორის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1968. 27 გვ.

კეკელიშვილი ნ. — პლასტურული ქართველი მოღვაწე. (ოლღა წერეთელი, პედაგოგი, სცენის-მოყვარე). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966. 47 გვ.

კიკნაძე ვ. — ალექსანდრე წულუწა. თბ., 1967. 29 გვ.

კიკნაძე ვ. — თეატრალური ძიებანი. თბ., „ხელოვნება“, 1962. 133 გვ.

კიკნაძე ვ. — სანდრო ახმეტელი. (მონოგრაფია რეჟისორზე). თბ., „ნაკადული“, 1964. 118 გვ.

კიკნაძე ვ. — სანდრო ახმეტელი (ცხოვრება და შემოქმედება). თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967. 124 გვ.

კიკნაძე ვ. — შოთა აღსაძე. (რეჟისორი. ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1968. 38 გვ.

კიკნაძე ვ. — ქართველი რეჟისორები. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968. 199 გვ.

კოტე მარჯანიშვილი. — კრებული. თბ., „ხელოვნება“, 1961. 414 გვ.

კრავიშვილი ბ. — შეხვედრები წარსულთან. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1966. 165 გვ.

კუნიანი ი. — პეტრე ილიას ძე ჩიკოვსკი. (მთარგმნ. ნ. აბაშიძე და მ. კაკაბაძე). თბ., „საბჭ. საქართველო“, 1964. 329 გვ.

კუპრაშვილი გ. — კვლევა თქვენზე ვფიქრობ. თბ., „ნაკადული“, 1966. 166 გვ.

კუპრაშვილი გ. — მე ისევ თქვენზე ვფიქრობ. თბ., „ხელოვნება“, 1962. 148 გვ.

ლევიშვილი ს. — ი. რატილი საქართველოში. თბ., „საბჭ. საქართველო“, 1961. 59 გვ.

СОДЕРЖАНИЕ

Театральная ленинiana	3
Ал. Кочлавашвили — В годы революционного подъема	5
Дм. Джанелидзе — Из театроведческих записок	9

У театральной афиши республики

Н. Кикодзе — Человек рождается один раз	11
К. Хуцишвили — Победа театра	13
Г. Николадзе — Я хочу стать княгиней	15
В. Касрадзе — К истории Цхинвальского грузинского театра	16

Наши юбиляры

Акакию Хорава 75 лет	19
С. Нацашвили — Художник и педагог	20
А. Гачечиладзе — Композитор-пианист	21

Вспомним заслуженных

Д. Шуглиашвили — Нико Шнукашвили	23
Д. Чхеидзе — Елена Донаури	26
Л. Марташвили — Димитрий Мачханели и театр	27
В. Сихарулидзе — На сцене небольшого города	29

На сценах народных театров

Ф. Хорава — Жертва	33
Т. Гомартели — Студенческий эстрадный оркестр	34

Прощание

Н. Кевлишвили — Георгий Иоселiani	36
Амб. Гачечиладзе — Исаак Тори	37
И. Гоголевский — От Кутанси до Варшавы	39
Юбилейный вечер	41
Хроника	42

Книжная полка

Г. Джиошвили — Воспоминания и статьи Михаила Корели	43
А. Давитiani — С первого взгляда	44
Библиография театральной литературы	45

В Е С Т Н И К
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ
(на грузинском языке)
Тбилиси — 1970
№ 2 (54)

ფასი 25 კაპ.
Цена 25 коп.

გადაეცა წარმოებას 19/IV 1970 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/ V 1970 წ.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 3.

შ. 1512

უე. 10237

ბ. 700

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. თბილისი, გორკის ქ. № 3
Типография театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3